

# ლიტერატურული გაზეთი

№19 (323) 14 - 27 ოქტომბერი 2022

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 80 თეთრი

## ოთარ ჩხეიძის გამოუქვეყნებელი კინომოთხრობა ვისია ვისი







ლიბრეტო

მანქანა მოსრიალებს ფართო შარა გზაზედა. ოდნავი დაღმართია. აი მცირე ბეჭობიცა. ბეჭობთან გაჩერდება მანქანა. ორნი გადმოდიან. ერთი უკვე მოხუცად ითქმის, ოლონდ ჭარმაგ მოხუცადა. მეორე ახალგაზრდაა. სოფელს გაჰხედავენ, მცირე ფერდობზე დაფენილ სოფელსა. ზევით ძველი ნაწილია სოფლისა: ეკლესია, ციხედარბაზების ნანგრევები, ძველებური და ახლებური შენობები არეული ერთმანეთშია, მიტოვებული სახლებიცაა, მიტოვებული ეზოებიცა. სოფლის ერთი ნაწილი დაბლა ჩამოსულა, ბაღებში ჩამდგარა მშვენიერი შენობები, ვენახებში ჩამდგარა, ეს სულ ახალთახალი ნაწილია სოფლისა. ზევით ძველებური თავისებურებაა, ქვევით ახლებური. ერთიც მოსწონს და მეორეცა ბეჭობზე გადმოდგარ მოხუცსა, — რამდენი ხანია მოსამართლე ვარ ამ რაიონისაო, — ეუბნება ახალგაზრდას. სასამართლოში ჩავბერდი, რა არ მინახავს, რა საქმე არ გამირჩევია, აქედან არაფერი მსმენია, აქ არც არაფერი მომხდარა არასოდესა, ასეთი მშვიდი და ტკბილი ადგილი არც მეგულება, აი, პენსიაზე გადავალ და აქ დავსახლებები, აქ, ამ მყუდროებასა და სიმშვიდეში გავატარებ დარჩენილ დღეებსაო.

და უცებ კივილი მოისმის სოფლიდანა, ზევიდან მოისმის, სოფლის ძველი ნაწილიდანა, კივილი მძაფრი, მომწოდებელი, ყველას რომ ესმას, ზევითაცა, ქვევითაცა, გაღმით-გაღმაცა, მთლად ქვეყანასაც რომ გასწვდებოდეს, იმ განზრახვის კივილი გახლავთ. ესენი აქ შეჩქვიფდებიან, — მოხუცი მოსამართლე და ახალგაზრდა, ყმანვილი კაცი, მდივანი სასამართლოსი. იქით, სხვა მხარეს სოფლისა, ვეება კაკლის ხესთან ორი ყმანვილიც შეჩქვიფდება. ერთი სოფლელი ბიჭია, ოცობოცოი, ცოტა უცნაური, ცოტა დაუფიქრებელი, ხან მოუზომავი, ხანაც, მოულოდნელად, თითქოს ბრძენიცა, გულარხენი და უდარდელი. მეორე ახალგაზრდა ქალაქური იერისაა, — ნოდარი, ზრდილი, ნესიერი, გატაცებული ფოტოგადაღებითა, ყოველი კუნჭული გადაუღია სოფელშია, ყველა გადაუღია, აი, აჰაა, ოცობოცოსათვისაც მოუსწვრია კაკლის ხეზედა, კაკალს რომ ბერტყავს, ვინ უწყის სხვის კაკალსაცა, ფოტო აპარატი დაუმიზნებია, კივილიც ატეხილა, მძაფრი იგი კივილი, — გაუსხლტება ოცობოცოცა, გაუსხლტება ნოდარის აპარატსა და ფხაჭას აიტანს კაკლის კენწეროზედა, — მაგდა არისო, — ნოდარს ჩამოსძახებს ოცობოცოი, — აქ ამბავი ისე ადვილადაც არ ჩაივლის, რახან მაგდა აკივლებულაო.

მაგდა აკივლებულაო და მაგდას კივილი თითქოს გაფრენს სოფლის თავზე გამტკნარებულ კამკამა ზეცასა, ბაღებს დააცხრება კივილი, მინდორს დაეცემა, საკოლმეურნეო კანტორაში შეიჭრება, ხილის მიმღებ პუნქტში დაკონიანდება, სამედიცინო პუნქტსა თუ მაღაზიას მოედება, ავტობუსსა თუ ავტომანქანებს შეაჩერებს გზაზედა. აიყრებიან ბაღებიდანა ხილის მკრეფავეები, ჩამწყობები, გამზიდავეები, ტრაქტორებს მიატოვებენ მეტრაქტორენი, შინიდან გამორბიან მოხუცები თუ შინ დარჩენილნი, საექიმო პუნქტიდან ექიმი თუ ექთანი ავადმყოფიანდა, ავტობუსი თუ ავტომანქანები დაცარიელდება, სკოლაში ბავშვებს ვეღარ იკავებენ მასწავლებლები... გამორბიან და გამორბიან, ზევიდანა და ქვევიდანა, ბილიკებითა თუ ღობე-ღობე სკუპსკუპითა, გამორბიან, ერთმანეთს უსწრებენ, იქცევიან, დგებიან, მიეშურებიან, მიექანებიან, ძალა თუ აღარა ჰყოფნით მოხუცებსა, ყმანვილებს ჩასჭიდებიან, ყრუ დაუინებით მოითხოვს, აუხსნან თუ რა მომხდარა, მეგზურს მოუხმობს ბრმაი, ძაღლები გნისებენ, ხბორებს აუნყვეტიათ და აქეთ-იქით აწყედებიან, გაფოფრილა დედალორიცა, გარს უვლის თავის გოჭებსა და ვის მიეტანოს აღარ იცის, — ხბოსა, ძაღლსა, ადამიანსა, აღარ იცის, აღარ გაეგება, მამლებიც ყვირიან ამ შუადღის გულზედა, ცხარე დღეა, ცხელი დღეა, შემოდგომური ცხელი დღეა.

II-III






დასაწყისი პირველ გვერდზე

ჰოდა მირიან აქედანა, იქიდანა, იქიდანა, აქედანა, მირიან, ერტყმიან ეკლესიასა, ძველ ეკლესიასა რაღა თქმა უნდა, ბექობზეა ეკლესია, მაგდა გადმომდგარა ეკლესიის ბექობზედა, ორმოციოდე წლის გოროზი, მკაცრი, დაუთმობელი ქალი გადმომდგარა, გადმომდგარა და თანაც ვერც გადმომდგარა, იკავებს და ვერც იკავებს ვისისა, მუნჯ გოგონასა, ლამაზ გოგონასა, ცრემლი რომა სდის ღაბაღაბითა, ცრემლი სირცხვილისა, რაღაც გამოუცნობი იდუმალებისა, აქამდის ჩუმად რომ უტარებდა და მოულოდნელად გამოაშკარავებულა, თანაც სასირცხვილოდ გამოაშკარავებულა. კაბა შებლაღვია თუ ჩახევია, უფროც ეხევა მაგდასთან ჭიდილშია, თმაც ასწენია, სახეც არევია, უფროც ეწენება თუ ერევა მაგდასთან ბრძოლაშია, — მხოლოდ ცალი ხელი აქვს თავისუფალი, რაღაც უჭირავს მეორე ხელშია. ამიტომაც ვერ გასხლტომია, ესეც უშლის ხელსა, ხალხი რომ მოცვივა, აღარც თავი აქვს ბრძოლისა თუ გაქცევისა, ჩაჰკიდებს თავსა, ტირის, ცრემლი სდის ღვარადა.

საღღაც შორიანხლოს მოდგება მოსამართლესა. საერთო ყაყანში ადვილადაც არ გაირკვევა თუ რა მომხდარა. მოსამართლის თანხლები მაინც გაძვრებ-გამოძვრება, მალე გამოიტანს ამბავსა, თუმცა ისევე გნისაია, აურზაურია, მაინც გამოიტანს ამბავსა, — გაუპატიურებდა. — მოახსენებს მოსამართლესა. მოსამართლე შეცბება, წავიდეთო, ბრძანებს აჩქარებითა. ამ საქმის გარჩევა მაინც თქვენ მოგიწევთო, — შეჰქიმიდა მდივანი. მანამდის პენსიაზე გავალა, — იმედინად მიუგებს მოსამართლეს. და დაესახლებით ამ მყუდრო სოფელშიო... — შეახსენებს მდივანი. მოსამართლე მოიღუბება, — განა ყველაფერი უნდა დაიხსომო, — წყრება, — ჩქარა, დასაძარი მანქანაო. და მიჰქრის მანქანა მოსამართლისა, შორდება სოფელი, ეკლესია შორდება, შორდება მაგდაცა შეყრილი ხალხითა, პატარავდება, პატარავდება და უეცრად ამოიზიდება, კვლავ ამოიზიდება ყველაფერი ერთბაშად, უწინარესყოფილსა მაგდაი, განრისხებული, სამართლიანობისა და მაღალი ზნეობისათვის თავდადებული მაგდაი.

შეჰხედეთო, მოსთქვამს თუ ქადაგებს მაგდაი, შეჰხედეთ და დასტკბით თუ როგორ შერყენილა სოფელიო. მამაპაპური თავდაჭერილობა დარღვეულა, ქალის კდემამოსილება დაკარგულა, ვაჟი წრეს გადასულა და აჰა იხილეთ თუ რა მომხდარა დღისითა, მზისითა, აჰა, იხილეთო, — უნდა წინ წამოაგდოს ვისი, მაგრამ ვერა, ვერ უხერხდება, თვალს არ უსწორებს ვისი არავისა, მხოლოდ გაქცევა სურს, მიწაც რომ გაუსკდეს, ურჩევნიან. მერე რაო, მაგდა მაინც არ იშლის თავისასა: გოგო-ბიჭები ერთმანეთში არეულანო, ხორცი გაუშვილებითა მოგოვბასო, ეგრე ჩაუცვამთ, მთლად სიმომველ უკეთესიაო, ეგრე ჩაუცვამთ, ეგრე იცვლიან სამოსსა, უფრო და უფრო რომ აქეზებენ ისედაც წრეგადასულ ბიჭებსაო. ვეღარც გაამტყუნებ, მაგრამ არც დაითმობაო, ჩვენს სოფელში მაინც არ დაითმობაო, პატრონების დანიხლვა არ დაითმობაო, უნდა გამოვიძიოთ ავკაცობა ვის ჩაუდენიაო, უნდა დავსაჯოთო, კანონიც ჩვენა ვართ და სამართალიცაო, ჩვენვე უნდა დავსაჯოთო, ცეცხლი მივცეთ, ქვა და გუნდა მივაყაროთო, ჩაეკოლოთო, სამუდამოდ ჩაეკოლოთ უნამუსობა და ავკაცობაო. — ასე და ამგვარად ეძიებს გარკვევით თუ ვინ შებლაღვი მუნჯი გოგოი. მაინც არა ნებდება მუნჯი გოგოი, ის იქით მიიწევს, ეს აქეთ ეწევა, ის ღმუის, ნივის, ფხაჭნის ცალი ხელითა, ეს აქეთ ეწევა, ვინ იყოო, თქვიო.

ხალხისთვის სერიოა, შემბრალებელთათვისაც სერიოა, შეუბრალებელთათვის რაღა თქმა უნდა, ვიღაცა ღიზი იმასაც ამბობს, ნეტავი მუნჯი როგორილა რა გემოსიაო, ერთი რამ მაინც ყველას მონდომებია, ყველას უნდა გაიგოს თუ ავკაცობა ვინ ჩაიდინა, რა ქმნილა, სად გადამაღულა, როგორ გამოჰპარვია მაგდას თვალსა. გამოჰპარვია და ვეღარ გამოუპარვია, მუნჯი რა არის ან სხვა ვინ რა არის, როგორ გაუძლებს მაგდას ჩაცვივასა?!. მუნჯი მაინც თითქოს უძლებს თუ ვერ გაუბრძვის, არც არას ანიშნებს, მხოლოდ ესაა, რაღაც გაუვარდება ამა ძიძგილსა თუ ჩაცვივებაშია, რაღაც გაუვარდება და მაგდა აიტაცებს,



ოთარ ჩხვიძე  
ვისია ვისი

წინათქმის გახიარ

1986 წლის 1 იანვარს რომ გადახედავდა წინა წლის ნამუშევარს ოთარ ჩხვიძე, გულნაკლული დარჩებოდა, რაკილა ბევრს სთხოვდა თავს:

რამდენი რამ მრჩება გასაკეთებელი და რა უმოწყალოდ მირბის ეს წლებიო!..

ამას დღიურში ჩაინიშნავდა, ამასობაში ავტობიოგრაფიულ რომანადაც რომ უნდა შეკრულიყო: „დროდადრო“ — თუმც სინანული ცოტაოდნავ უნდა გაექარწყლებინა იმ პიესას — „ვისია ვისი“ — რომელიც ძველიც გახლდათ და ახალიც:

დაეწერე ხელახლადო.

წარმატებული დაერქმეოდა ამ კომედიას, რაკილა არაერთ თეატრს მოივლიდა: გორის, თელავის, ზესტაფონის, ჭიათურის, დმანისის, თბილისში მარჯანიშვილისა და შავგულიძის, და ცხინვალის თეატრიც რომ დადგამდა, პრემიერა თამარაშენში გაიმართებოდა, თანაც რა პირობებში — უკვე რომ გამოებრძვინა რუსეთის ჩვენთვის შიდა ქართლის ეს მხარე და ოსი გამყოლები დაგვჭირდებოდა. სულაც იქ რომ არ დავეტოვებინეთ ციხეში, გამოსასყიდის მოლოდინში...

თუმც ეს სხვა მოსაყოლია.

მთავარი ამჯერად ისაა, გული მაინც რომ ვერ შეეფერებინა ოთარ ჩხვიძეს ამ კომედიისათვის და ჩასწორება-რედაქტირებას კი არ დაიწყებდა, არამედ საერთოდ გადადებდა იმ ვერსიას და ახლიდან დაწერდა, ისევე როგორც თავის დროზე ასევე გადაედო ტრავმული „მამაო თედორე“ და ხელმეორედ დაწერა — ან უკვე „თედორედ“ სახელმძღვანელო — ანტიკური ტრავმების ზოგადი სტრუქტურის აღდგენით.

„ვისია ვისის“ სიუჟეტური ქარგა შენარჩუნდებოდა, ის გამჭვირვალე მინიშნება, მუნჯ გოგონაზე რომ იძალადებენ და მას კი ხმა ვერ გაუღია და ვერავისთვის შეუჩივლია თავისი უბედურება. სახალისო, მხიარული ეპიზოდები ვერა ფარავდა ვისის გასაჭირს და ამიტომაც მიუხედავად მაყურებელი მწერალს ჩანაფიქრს, ვახტანგ ნინუა კიდევ რომ ამცნობდა თავის მიხედვრას ვასილ კიკნაძეს, იმჟამად კულტურის სამინისტროს განყოფილების გამგეს:

— ვისი საქართველოს გულისხმობს, ასე არ არის?!

„კარგი ხარ“, გაიფიქრებდა ვასილ კიკნაძე, თქმით კი ეტყოდა:

— აბა, რას ამბობ, რა საქართველო და რომელი საქართველო, ჩემთან ვითქვამს, სხვასთან აღარ წამოგცდეს.

ისე მოხდებოდა, რომ:

ამ სიუჟეტზე ოთარ ჩხვიძეს სცენარის დანერგასაც შესთავაზებდნენ ფილმისათვის, მწერალი ერთი ზიზზით რომ არ აჰყვებოდა ამ შემთავაზებას, რაკილა არ ეიმედებოდა ფილმად გადაღება. თუმც თავის მხრივ არ გაანბილებდათ და ასე შეიქმნებოდა ეს სცენარი. არსებითად კინომოთხრობა, რომელიც გაიმეორებდა პიესის ზოგად მონახაზს. მაგრამ დამოუკიდებელი მხატვრული თხზულებაა.

ჩვენში რატომღაც ძალიანა დამცირებული კინოსცენარის ჟანრი, რომელიც მიიჩნევა არა ცალკე მოვლენად, არამედ ნედლეულად კინემატოგრაფისათვის.

სწორედ იმ დღეშია ჩაყენებული, როგორც ოდესღაც პიესა — მხოლოდგან ნედლეულად რომ უნდა გამოყენებინათ სპექტაკლისათვის.

თავის დროს მოჭამდა ეს ზერელე, ყოვლად გაუმართლებელი მოსაზრება და პიესას დიდი ხანია მიჩენილი აქვს თავისი საპატიო ადგილი ლიტერატურულ ჟანრებს შორის.

და როდისღა უნდა დადგეს დრო კინოსცენარისათვის, მოიპოვოს თავისი კუთვნილი და საპატიო ადგილი?

თუნდ რეზო ჭეიშვილისა და ერლომ ახვლედიანის სცენარები, არსებითად კინომოთხრობები, ცალკევე არ უნდა იყოს გამოქვეყნებული?

მშვენიერი ტომები შედგებოდა — დასტური კინოსცენარის მხატვრული ლირებისა, მისი თავისებური და განუმეორებელი ელფერისა.

და ამ ლირებსა ადასტურებს ოთარ ჩხვიძის ეს ერთადერთი კინომოთხრობაც „ვისია ვისი“, კინემატოგრაფიული ხედვა ისედაც რომ მომადლებოდა მწერალს, აკაკი წერეთლისა არ იყოს, კინომოთხრობად რომ შექმნიდა „ბაში-აჩუკს“... ჯერ კიდევ კინოს ვაჩვენებდით...

ფილმისათვის მისწრება რომ გახლავთ ოთარ ჩხვიძის ბელეტრისტიული თხზულებანი, ეს უკვე „ბორიაცა“ და „ნისლას“ ეკრანიზაციას უნდა დაედასტურებინა; გრიგოლ აბაშიძე თანამოკალმის ამ ხედვას ადვილად რომ ამოიცნობდა და ურჩევდა ახალგაზრდა რეჟისორებს — ძველებისა აღარ ეიმედებოდა — ხელიდან არ გაეშვათ ოთარ ჩხვიძის რომანები თუ ნოველები:

— დიდი რამ ჩარევა არ დასჭირდება სცენარების მომზადებას, შეიკვეცება და პირდაპირ შეიძლება ფილმად გადაღება!..

მოგვიანებით „ბორიაცაზე“ ეტყოდა გიორგი შენგელაია:

გამზადებული სცენარია, აღარაფერი აღარ უნდაო!..

მიუგებდა ოთარ ჩხვიძე:

„ცხრანყაროც“ სცენარია, ანთუ კომპოზიცია ამისიც დრამატურგიულია, ასეა სხვა რომანებშიც, კომპოზიციის მხოლოდ კლასიკურ ფორმას ვირჩევ, სხვაგვარმა ხომ ვერც გაამართლა, ანთუ მხოლოდ მარცხი გამოდგაო...

თუმც ეს ყოველივე სხვა მოსაყოლია... და სხვა სამსჯელოც...

იქნებ არც სამსჯელო და კინორეჟისორები ადრე თუ გვიან მიჰყვნენ ამ რჩევას „ლაშარელას“ შემოქმედისა, „ვისია ვისის“ სცენარს კი ხელის შევლებაც აღარ დასჭირდება...

როსტომ ჩხიძე

აიტაცებს აღმომჩენის ალტაცებითა, შური-სძიების მრისხანებითა, იმას აიტაცებს და ამას მოეშვება, თუმცა ვისი აღარ ეშვება მაგდასა, უნდა წაართვას, თავისი ფოტოსურათი უნდა წაართვას, ის ეჭირა, იმას უფრთხილდებოდა ამდენხანსა. მაგდა ადვილად იგერიებს ვისისა, სურათს დააფრიალებს, შეჰხედეთ, შეჰხედეთ, დაგებრმავდეთ თვალი, დაგიყრუვდეთ ყური, აი ვის შეუბლაღავს სინმინდე და სილამაზე ჩვენი სოფლისაო, აჰა იხილეთ და თუ სოფელი ხართ ხმა ამოიღეთ, თუ ყრუმუნჯი ხართ, ამაზე ყრუმუნჯნი, ჯანდაბამდისაც გზა გქონიათ, არცა მჭირდებით, უთქვენოდ მივაკვლიე ავკაცსა, უთქვენოდაც გაეუსწორდებო.

თუ ვის მიაკვლია, ვერ გაუგია სოფელსა, შეფიქრიანებულა სოფელი. თითქოსა ზეიმობს მაგდაი, ზეიმობს მწვავედა და დამცინავდა, — ესეცაო დაახლოვებო ქალაქისა და სოფლისაო, გაიხარეთო, აჰაა და გაიხარეთო, — სურათს რომ დააფრიალებს, ქირქილებს ამდაგვარადა. ჰოდა შეფიქრიანებულა სოფელი, ჯერ ანიკო გამოიღებს თავსა, — მეზობელია მაგდასი, ალალი ქალია, ადვილად მოსარევიცაა თავისი სიალალითა, ოლონდ მაგდას შესჯავახებია, არ მოსწონს ეს დაუთმობელი და გარეთ გამოჭრილი ქალი, ჰოდა ანიკო გამოიღებს თავსა: რის ქალაქიო, რა სოფელიო, რასა მატრბაზობო, რასა მატრბაკვეცობო. ანიკოს დათა აუბამს მხარსა, ქმარი აუბამს მხარსა, ისიც ალალი და მშრომელი კაცი, ჰოდა თურმე სწორედ ეს უნდოდა მაგდასა, ამათ იწვევდა, ესენიც წამოეგნენ უცაბედადა, წამოეგნენ და იმათ აუფრიალებს ვისის ფოტოსურათსა, თქვენი ნაქნარია, თქვენი ავკაცობააო, თქვენი ნოდარის ავკაცობააო. ნოდარი დისწულია ანიკოსი, ეს ის ნოდარია, ფოტოგრაფიას რომ გაუტაცებია, ისა და ოცობოცოც მოსულან, შემომატებინა ხალხსა. ახლა იმათ მიეჭრება მაგდაი. თავს იმართლებს ნოდარი, მე მხოლოდ სურათი გადავუღეო, ჰკითხეთ ოცობოცოსაო. ვერაფერი თავისმართლებია მაგდასთან, დაჩვივისა, დარჩენია ზურთი და მოედანი, აქეზებს ხალხსა, სოფელი აქეზებს გადამწყვეტი მოქმედებისთვისა, ვერ აიყოლიებს, იმუქრება, მიათრევს ვისისა მუქართა, რისხვითა. სოფელი საქმეს უბრუნდება. ვაშლის ხეებზე ადიან მკრეფავები, მზიდავები ეზიდებიან, აწყობენ ჩამწყობნი, დატვირთული მანქანები გადის ბალებიდანა, მიმღებ პუნქტიცი დიდი ფუსფუსია, ირჩევა ხილი, ხარისხდება, საუკეთესო შორს გასაგზავნად, ანარჩევა საკონსერვო ქარხნისთვისა. თითქოს გამოცოცხლებულა ხალხი, სასერიო მიეცა და გამოცოცხლებულა. ტრექტორებიც აგუგუნდება, ავტობუსებიც დაიდრებიან, ავტომანქანებიცა, ყველაფერი ამოდრავდება, აქამდის რომ შეებოროკა მაგდასა. კვანძი მაინც ამოუხსნელია, ბევრს არა სჯერა ავკაცობა ნოდარისა, ბევრსა სჯერა, მთავარი ისაა, მაგდას რომ სჯერა და რომ არ დასთმობს არაფერსა.

სჯერა და მიუძღვის ვისისა, მიუძღვის მუნჯ გოგონასა, მიუძღვის მფარველი, დაუძინებელი გუშაგი სიმართლისა, მიუძღვის შუკაშუკა, მიუძღვის კრიახითა და ქოთქოთითა, ანიკოს ჭიშკართან უმატებს ქოთქოთსა, წაიყვანათ, ნამუშისი მოსწონდეთ კარგი ქორწილითა, თორემო მერე გვიანლა იქნება თითზე კბენანო, კარგა იფიქრეთ და კარგად გადასწყვიტეთ, მანამდე ჩემთან იქნება, აქ ვიქნებით, აქ დაგელოდებით. მუქარა მუქარაა, ოლონდ თვენი ამ ცუდი შემთხვევითაც შეძრწუნებულან ანიკოანნი; სირცხვილით ენა ვეღარ მოუბრუნებია დათასა, ანიკოს არა სჯერა, მაგდასი არაფერი სჯერა, მაგრამ რა საბუთია ესა, სოფელს როგორ წარუდგება ამა საბუთითა? ნოდარის მშობლები შეძრწუნებულან და შეეჭვებულან (ანიკონათა ჩამოსულან ნოდარის მშობლებიცა, სტუმრად ჩამოსულან, მამა ავადმყოფობს, გულს უჩივის, ცალკე ეს აწუხებს დედას ნოდარისა), რა ჰქნან არ იცინან, ნოდარისაცა სჯერათ, რომ არა სჯეროდათ, მაშინ ადვილი გადასაწყვეტია, ოცობოცოც უდასტურებს ნოდარისა, ცოლად არ იყოს სასაცილო დასტური ესე, ოლონდ ეს არაფერი, ბევრი არაფერი, საერთოდ სჯერათ ნოდარისა, ახლა ეცოდებათ კიდევცა, ასე რომ სასწონარკვეთილა ცილისწამებისაგანა, ჰოდა რა ჰქნან, რა ილონონ აღარ გაეგებათ, როცა ასე მრისხანეთ წამომართულა ბრალდება მაგდასი, ხოლო გოგონა მუნჯია,



— ღმერთო ჩემო მუნჯი მანც არ იყოსო, მოსთქვამს დედაი ნოდარისა. მიხვედრილა მაგდაი თუ რა ამბავია ანიკოანთა, მიხვედრილა, მაგრამ მოთმინებაც აღარა ჰყოფნის, გამოენთება დროდადროდა, შეუკეთებს და შეუკეთებს, კრიახებს ანიკოი, უარესად დაბნეულა დათაი, დედაც დაბნეულა ნოდარისა, ვინ იცის ქმარიც ელუპება და შვილიცა ერთდროულადა, ოღონდ აქ ისევ მამა გადასწყვეტს, — უნდა ნავიყვანოთ ვისიო, ნადი და მომგვარეო, დათასა სთხოვს.

და აი დათა მამულადა თუ მექორწილედ... მაგდა ზეიმობს, გამარჯვებულა და ზეიმობს, ამაცობს, რომ შეუძლიან დაიცვას პატიოსნება სოფლისა, ხოლო თუ შეირყა, ძალუძს, აღკვეთოს ავი, აბორკოს მაცდური. ზეიმობს და არც ეგრე უბრალოდ გაისტუმრებს ვისისა, ეგრე მშრალადა, ეგრე დათას ამარადა, თუმცა კარი კარს მიმდგარან, მაგრამ მერე რაო, ყველაფერს თავისი ლაზათი აქვსო. ჰოდა ყველაფერს თავისი ლაზათი რომ აქვსო, კართან ფიალა გამოუდგამს მაგდასა, მეზობლები მოუწვევია, ამვლელ-ჩამვლელი შეუჩერებია, ასმევს, ალოცვინებს. შეთვრებიან სახელდახელო სტუმარის მაგდასი, აღარც დაგიდევნე, რა რისგანაა, და რა რისთვისააო, მღერიან, ლხინობენ, დათასაც ასმევნენ, ცეკვავენ, აცეკვებენ დათასაცა, თითქოს დავიწყებიათ ყველაფერი, არც არაფრის მოგონება უნდათო. მაგდას მანც ახსოვს რაღა თქმა უნდა, უნდა გაისტუმროს ვისი, ბოლოსდაბოლოს უნდა გაისტუმროს, გაატანოს დათასა, მაგრამ აი უარსაა ვისი, ლხენით ილხენს, აწყევლა მომლხენთა, კიდევაც იცეკვებს, ოღონდ რად უნდა ნაჰყვეს დათასა, ან რა უნდა დათაანთა, არც იცის და არცა კითხულობს ან რა უნდა იკითხოს, აქაი იმისი ადგილი, ფეხს არ მოიცვლის აქედანა. მაგდა ეწვევა დათასკენა, ვისი მიიწვევს მაგდას სახლისკენა, გაუსხლტება, შევარდება, მოკეტავს და მოანება ჭიმკარსა. უსაზღვროა განწმამება მაგდასი, მრისხანება უსაზღვროა, ძალაც აღარ უჭირის აქამდის ძლევა მოსილა, როგორღაც ნალმა-უკულმა მოექცა ყველაფერი სიკეთისათვის თავდადებულსა და არც არავინ ექომაგება, შემთვრალან და მიჰყვებიან თავთავიანთ გზასა. ანიკო ქირქილებს, ახლა ანიკო ქირქილებს და მოუხმობს დათასა, — წამო, გამოადგი ფეხი, თავში ქვაც უხლია მაგდასაო... მაგდა მარტოა, თავის სახლშიც ვეღარ შესულა.

ეს ახალი რამ გაკვანძულა, ახალი ხლართია და უფრო სასერიოც არის სოფლისთვისა და კიდევაცა სერიოზუნ ტოტებზე გასულნი ხლის საკრეფიდა, ხორა ხორას ემატება, დგას მთები ხლისა ნაირფერისა და ნაირგვარისა, დოლოთიანობის მხიარულებაცაა და რახან მხიარულება დოვლათისა, ყველაფერიც სასერიოა, თავშესაქცევია ყველაფერი, მითუმეტეს ამბავი მაგდასი. და ეს ამბავი აქ ჰო არა მთავრდება, ისე, ახირებულად ჰო არ დარჩენილა ვისი მაგდასთანა? — არა, სხვა რამე ირკვევა, ვისის დედა შინ არა ყოფილა ამ ხანებშია, აი, დაბრუნებულა და, მუნჯის ენა დედამ იცისო, სწორედაც დედას გაურკვევია, რომ თუ რამე ყოფილა, სიყვარულის ბრალი ყოფილა, თუ რამე ყოფილა, ვისისა და ვახოს (მაგდას ვაჟია) შორისა ყოფილა და ნოდარი არაფერ შუაშია რაღა თქმა უნდა, ვახო დამფრთხალა და მიმალულა დედის შიშითა, მთელი აურზაური ვისის დასტეხია, ოღონდ რაც უნდა იყოს, უკვე შინ მოსულა, თავისი ქმრის სახლში მოსულა და ვახოც გამოჩნდება მალეო, — ასეთია მსჯელობა ვისისა, მუნჯი გოგონასი, დედას რომ გააგებინა, აუხსნა და დედამაც ვისისა, ავი იყო თუ კარგი, სხვა რა ჩარა ჰქონდა, მაგდასაც გააგებინა და სოფელსაცა.

გააგებინაო ადვილი სათქმელია, — გაიგებს და უფროც გახელდება მაგდაი: უპატიოსნება ისევ უპატიოსნებადა რჩება, რაც ქორწინების მერე უნდა მომხდარიყო, შინ უნდა მომხდარიყო, მოხდა ქორწინებამდისა თუ უქორწინოდა, მოხდა ველურადა და თანაც ყველაფერი საქვეყნოდ გავარდა. ამაზე მეტი სირცხვილი აღარც იქნება, მაგდას აღარც ძალუძს გაძლება ამ სირცხვილისა, ვერა, სახელგატეხილ ქალს ვერ მოიყვანს ოჯახში და თუ უკვე მოსულა, გააძევეს რაღაც უნდა დაუჯდეს. ან როდემდის ჩაუჯდება სახლში, როდემდის დაელოდება ი ბედოვლათ ვახოსა?! იმას მანც აღარ შემოუშვებს შინა, თუ გადაკარ-

გულა, ბარემ სულაც გადაიკარგოს, თუ დაშინებულა, ბარემ სულაც დაშინდეს და აღარ მოიხედოს აქეთკენა. დაშინებით ჰო დააშინებს, დაუშინებია და კიდევაც დააშინებს, სასამართლოთიც დაემუქრება, ციხეციხობით დაემუქრება, ოღონდ როგორ მოითავხელოს, როგორ შეუთვალოს, სად მიმალულა, ვინ მიუტანს შიშსა და მუქარასა? და დადის მაგდაი, დადის თუ დაჰქრის, დაექებს ოცობოცოსა, ის თუ იპოვნის, ის თუ შეუნახავს საიდუმლოსა, იმისი დაშინებაც შეიძლება, მოსყიდვაც შეიძლება, დაპირებითაც მოისყიდება.

ასე ჰგონია მაგდასა, ასეც არ იქნება, ვერც ადვილად მოისყიდის, ვერც დააშინებს ეგრე ადვილად, ვერც გააგებინებს თუ რა უნდა, სად აგზავნის თუ რისთვის აგზავნის. ამდაგვარი გახლავთ ოცობოცოი, შენი არ გაეგება და თავისას გაგებინებს ადვილად. კვლავაც უნდა მრისხანებდეს მაგდაი, არაფერი გამოსდის მრისხანებითა, მავედრებლად დამდგარა მრისხანე ქალი, მახვეწრად დამდგარა, ტუჩებს იკვნეტს თანაცა, დამაცაო, შენს ოხტშიაც მოვალ, როცა იქნებაო. ბოლოს მანც გაუგებს ოცობოცოი, ბოლოს მანც გაეგზავნება, თავისას გაიტანს და გაეგზავნება. და კლდექალაქში დაეხეტება ოცობოცოი, უძველეს კლდექალაქში, დაეხეტება, დაექებს ვახოსა, თუ იქნება აქ სადმე იქნება, თუ იქნება დამშეული იქნება, ისედაც აქეთ მოდიოდა, შოთები მოჰქონდა და ქილით დოი, — მაგდას დაუმალა რაღა თქმა უნდა. ამდენი იცის, მიმალულ კაცს რომ მომიგდებდა, ამან იცის, სხვამ არავინ იცის თუ არავის ახსენდება, ყველა თავის საქმეშია, ყველასთვის მხოლოდ გასართობია ეს ამბავი. თავიდანვე გასართობად მოეჩვენათ, უფრო და უფრო გასართობი ხდება... იქ ვაჟსა შინა, იქ ვაჟი აუტანია შიშსა და სირცხვილსა. ახლა სხვა ამბავსაც წამოვრთავს ოცობოცოი, ვისი ლამის ნოდარის შეაჩქრა დედაშენმაო, — ეს მამონა, როცა ვახოს იპოვნის იმ დახლართულ ღრმულებსა, ქვაბულებსა და მიმოშლილ დარბაზებსა, როცა დედის მუქარასაც მიუტანს, — მილიცა დადეგებსო, გამომიძიებლები შინ გიცდიანო, — ამ მუქარასა, ასე დააბარა... უსაბელოდ დაბმულა ვახოი, და ბორგავს დაბმული უსაბელოდა, თან ილუკებდა მადიანადა, ხვერპავს დოსა მომშეულ-მონყურებული, არა ჰყოფნის, კიდევ ამოგიტანო, ჰპირდება ოცობოცოი. ვახო ნოდარის უთვლის მუქარასა, სხვა ვერაფერი მოუფიქრებია, — არ გეგონოს, ქალაქელი რო ხარო, ქალაქი და სოფელი ვიღამ იცისო.

როგორც უნდა იყოს, ვახო მანც გადაკარგულივითაა, ვისისთვის მანც გადაკარგულივითაა, მხოლოდ მოთმინებაღა უნდა მაგდასა, მამ რაო, როდემდის უყურეუტებს ვისიო, ადგება და ნავა თავის სახლშიო, მაგრამ საამისო არაფერი ეტყობა ვისისა, ერთი ოთახი აურჩევია თავისთვისა, დასტრიალებს, დაჰტურგურებს იმა ოთახსა, აწყობს ოჯახსა, ახალ ოჯახსა ახაპატარძალი. მაგდას უნდა კვლავ შესძრ-

ას სოფელი, კვლავ აიყოლიოს ყველა ერთბაშად, არ უხერხდება, ყველა გაურბის, გზა რომ იქაც ედოთ, იმა შუკაშია, ამჯობინებენ შორს მოვლასა. ვისაც თვალს შეასწრებს, გაეკიდება მაგდაი, გაეკიდება და მისძახის, რომ პატიოსნება აღარავის მიანიხა აღარაფრად, სხვისი ჭირი აღარ ეკითხება აღარავისა, აღარავის ედარდება აღარაფერი, ზრდილობა დაკარგულა, ზნეობა დაცემულა, ერთი პირი აღარა აქვს სოფელსა, სოფლობა აღარ ეთქმის სოფელსა, მამინ სამართალს თულა მიმართავს, სამართალი თუ იხსნის ურცხვ გოგოსგანა, ნამუსი რომ ჯაგებში დაუგდია და ოჯახში შეჭრილა, ვითომც არაფერიო.

და მიმართავს სასამართლოსა მაგდაი... მოსამართლე ჩამოდის, ის მოსამართლე ჩამოდის, პენსიაში გასვლა ვერ მოუსწვრია, ანდა ბარემ აქაური საქმეცა რგებია პენსიაში გასვლამდისა.

სასამართლოში ლამის აღარ იცნობა მაგდაი ანუ ამ მაგდას მხილველს გაუჭირდება წარმოიდგინოს ის მაგდაი, ის მრისხანე, დაუთმობელი და შეუპოვარი ადამიანი. დაუთმობელი აქაცაა, ოღონდ იწყებს სხვა ხერხითა, — მოსჩანს ყოვლად ალაღმართალი, ყოვლად დაჩაგრულ ქალადა, თითქოს ყოველი იმას აბიაბრუებს და სოფელში არავინაა, რომ გამოესარჩლოს, რომ სოფელი სოფელი აღარაა და პატიოსან ადამიანს ცხოვრება აღარ შეუძლიან იქა. ბოლოსდაბოლოს იქამდის აუგდიათ აბუჩადა, რომ თვით მუნჯი გოგო, ჯერ რომ მიწას არ ასცილებია, იმეგოა გოგო შესჭრია სახლში და შინ აღარ აყენებს, ეს სუბთლად გაუგონარი რამაა, ჯერ რომ არ მომხდარა, ისეთი რამააო. მხოლოდ კანონი თუ მისხნის, თქვენებრ კეთილი, თქვენებრ ქველი, თქვენებრ შორსმჭვრეტელი თუ მისხნის ამ უბედურობიდანაო.


პროცესი ბაღშია, ვეება ბაღში, აქეთ-იქით ყუთები რომაა ამართული, აქეთ ცარიელი ყუთები, იქით სავსე ყუთები, კედლებით რომაა აღმართული, იმათ შორისაა სასამართლო პროცესი, საჯარო პროცესი. საკმებდაც ყუთები წამოუპირქვავებითა, სასამართლოს მაგიდაც ყუთებისგანაა, ყველაფერი რიგზეა, მოსამართლე, მდივანი, მსაჯულები, ყველაფერზე რომ თავს უკანტურებენ მოსამართლესა, ყველაფერი რიგზეა. მხოლოდ ესაა, მოსამართლე დიდხანს ვერ ერკვევა ვერაფერში, მაგდა სიტყვას არ აცდის არავისა, ვახო ნოდარის იმსახურებს მოსამართლისა ეს საცოდავი, ეს დაჩაგრული ქალი. მოსამართლე მანცა ბრაზობს და მხოლოდ ანიკოზე და დათაზე ამოიყრის გულისბუხარსა, თითო სიტყვა წამოსცდებათ და გააძევეს „დარბაზიდანა“. მაგდა ზეიმობს, ეს კარგად ენიშნება, საიმისოდ გადასჭრის სამართალი. ოღონდ როგორღაც უფრო და უფრო იბნევა მოსამართლე, მაგდას მოუყვანია ისეთი მოწმეები, თითქოს მაგდასთვისა ლაპარაკობენ, მაგრამ არაფერს ამბობენ, ბევრსა ლაპარაკობენ, ოღონდ არაფერს ამბობენ ხელჩასაჭიდასა, არამცთუ მაგდას სას-

არგებლოსა, საერთოდ ხელჩასაჭიდას არაფერს ამბობენ. მაგდას ამათი იმედი ჰქონდა, თავს ვეღარ იკავებს მაგდაი, პურმარის აყვედრებს (ფიალა რომ გამოიტანა, ისინი ჰყავდა მთავარ სტუმრებადა), ლაჩრებად მოიხსენიებს, ვეღარც ამშვიდებს მოსამართლე.

მოსამართლე მანც მოსამართლეა და ბოლოს მაგდასაც მოუვლის, ამბავსაც გარკვევს, მუნჯე გოგონასაგან გაიგებს, მეტყველთაგან რაც ვერ გაუგია. ვისის დედა ჰყავს „თარჯიმნადა“, თანდათან მიჰყვება, თანდათანობით ამოხსნის საიდუმლოსა. ბოლოს მთლად დაბეჭდავს ოცობოცოი. ის შუამდგომელია კანონსა და დამნაშავეს შორისა, მონანიება და თხოვნა მოაქვს დამნაშავეს: თუ არ დამსჯითო ან რას მერჩითო, დედაჩემსაც გააგებინეთო, ვისი ცოლია და მე ქმარი, რა გინდათ ჩემგანაო. მაგდა მოიშლება, მრისხანებს ხანა, ხან იხვენება, ლამის მუხლებში ჩაუფარდეს მოსამართლესა, ლამის მუხლებით მიიწვევს თავისი მოწმეებისკენა თუ ყველა იმისკენა, სიტყვა ვისაც წამოსცდება, მაგრამ აღარავინაა იმისი ყურისმგებელი ანუ აღარავინ აღარაფრად აგდებს არცა მრისხანებასა, არცა მუდარასა მაგდასი. სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანადა. ისევ ყუთების კედლებს ეფარება, იქითაც ყუთებია ხილისა, იქითაცა, იქითაცა, ხორებიცაა ხილისა. მოუსვენია, ტოტები აუტაცნია მალლა გაკრეფულ ხილსა, ისევ დამძიმებულა, ტოტები ჩამოსტრევივა გაუკრეფავ ხეხილსა.

კიდევ იქით ყუთებისა თუ ხილის გროვისაკენ მიანიშნებს ოცობოცოი ვისისა. გაჰყვება ვისი ოცობოცოს მინიშნულ გზასა და... აი, ვახოი. მიჰყვებიან სულსწრაფი ცნობისმოყვარენი, მიჰყვებიან მერე ყველანი. მაგდა მარტოა სასამართლო დარბაზში, მაგდა ელოდება განაჩენსა. სასამართლოც გამოდის განაჩენითა. მაგდა დაძაბული უსმენს განაჩენსა, ხოლო იქით სახელდახელო ზეიმია, ლხინია, ულოცავენ და ეხვევიან ნეფედდოფალსა.

და მოსამართლის მანქანა ისევ მიჰყვება შარავზას. მოსამართლე დალილია. მანქანას გააჩერებინებს მდინარის პირსა. გაღმა პატარა სოფელი მოსჩანს. აქედან მანც არაფერი მსმენია ცუდი, — მოსამართლე ამბობს, — არცერთი საქმე არ გამირჩევია აქედანა. გავალ პენსიაზე, აქ დავსახლდები, აქ, მყუდროებაში გავატარებ დარჩენილ დღეებსა. და უცებ კვილი გაისმის, ხიდზე გამორბიან. მოსამართლის თანმხლები ახალგაზრდა ანუ სასამართლოს მდივანი გადაუდგება, ამბავი მოაქვს მოსამართლესთანა: მკვლელობაო. ნავი დეთო, — მოსამართლე ბრძანებს. შევიტყუოთ, მანც თქვენ მოგინებთ ამ საქმის გარჩევას. აღარა, პენსიაში გავალო, — მოსამართლე ირწმუნება. და დასახლდებით ამ სიმყუდროვეში?! — შეჰღიბის მდივანი. ნუ მაიმუნობო, — წყრება მოსამართლე, აჩქარებითა ჯდება მანქანაში. მანქანა მიჰქრის...







ვახტანგ კომახიძე

\*\*\*  
გინახავთ განვრთნილი ცხოველები  
ციურის არენაზე?  
ჩვენც ასე გაგვწვრთნეს...  
ბირთვულ ფიზიკასა  
და ტრიგონომეტრიაში ვერკვევით,  
ესკალატორზე მარჯვნივ ვდგებით და  
შაქრის ნატეხს ჩვენ თვითონ ვიდებთ პირში.

\*\*\*  
ტროტუარიდან  
ფოთოლი აეკრო  
ჩემს წინ მიმავალ  
გოგონას ფეხსაცმელს,  
მწვანე ფერები  
შემორჩენოდა ჯერ კიდევ  
ფოთოლს...  
თითქოს უკანასკნელ  
გზას მიუყვებოდა  
გოგონას მაღალი  
ქუსლიანი ფეხსაცმელებით,  
თითქოს არსებობის  
გახანგრძლივებას  
ცდილობდა იგი  
პირველსავე  
ფეხსანმენდამდე.

\*\*\*  
ტყვეობაში ვარ,  
ისეთ ტყვეობაში,  
რომ მხსნელს  
დავეძებ...  
მომყიდეთ აბები,  
ლოცვები,  
ლიტერატურა,  
ანტილიტერატურა,  
ან თუნდაც,  
შემომასაღეთ მასაჟორები,  
მიხსენით ტყვეობისგან  
თქვენი მორალით,  
ან ანტიმორალით;  
მომაძებნინეთ  
სადგომი, სამყო, დასაყუდარი;  
დამელაპარაკეთ  
ანგელოზთაგან ვინმე,  
ან რომელიმე წმინდანი —  
ყოფილი ადამიანთაგანი;  
თუ ტყვეობაში ხართ,  
თქვენც ტყვეობაში?

\*\*\*  
ხანდახან გრძნობის  
და ცრემლების  
ჩამონადენებს  
უჩნდება ხოლმე  
უსასრულოდ გადაკარგვის  
ლიანდაგები.

\*\*\*  
გაღვიძებამდე გაკოცებ ფრთხილად  
და სასთუმალთან მოგიტან ყავას,  
მოვუხმობ შენთვის ბედნიერ დილას,  
მოვუხმობ სხივებს, საამო ჰავას;

გაღვიძებამდე მოგიძღვნი ოდას,  
გეტყვი, რომ შენ ხარ, ვინც კი მებადე

და ჩავბარდები ტყვედ რეალობას  
ისევ მომდევნო გაღვიძებამდე.

\*\*\*  
სასმელი ავსებს  
უძილო ღამეებს,  
როგორც შთაგონება  
ღირსეულ ტკივილებს  
და ყოველდღიურობა  
დაეძებს  
შინაარსს...  
ქუჩის პირველსავე  
კუთხეში გხვდება  
თამაშის წესები  
და იერარქია;  
ვიღაც ფეხს იწმენდს,  
ფეხქვეშ გაგებულზე,  
და სადღაც იქვეა  
ცივილიზაცია,  
როგორც ხმაური,  
ონკანიდან  
წყლის ნაცვლად  
რომ მოედინება...

\*\*\*  
მეფიქრებინება შენზე,  
თითებით ვეხები ნაფიქრალს,  
იმ განზომილებას ვეძებ,  
რომელიც ჩვენ ორს აგვიტანს.

შევიგრძნობ, როგორ მოგინდები,  
ხელებს შემოგხვევ ნელზე  
და ვიბრძვი ხილვებთან ფიქრებით,  
მეფიქრებინება შენზე.

\*\*\*  
დაუსრულებლად  
სითბოს დაეძებ  
ამ სიცივეში  
და ბოლოს ხვდები,  
ცივია  
სითბოც.

\*\*\*  
უდიდესი პატივი იყო  
თქვენს გვერდით ყოფნა,  
ცხოვრება ერთად  
შეგრძნობებით  
კოცონთან თბობის;  
ყველა გულისთქმა  
რომ მოგვესმოდა,  
როცა ერთმანეთს  
სხეულების ვახვდით ნაწილს;  
თავის განირვა  
რომ გვინდებოდა  
ერთმანეთისთვის,  
თუნდაც ერთ-ერთი  
ჩვენთაგანის  
გადასარჩენად,  
რათა ცხოვრება  
მზრუნველად და კეთილად  
გვეგრძნობ;  
რომ დავდიოდით  
დაქანცულნი ქუჩათა შორის  
და წყვდიადებში  
ერთმანეთის მარტოობის  
განსაქარვებლად;

რომ მივიჩნევდით,  
ჩვენს გარშემო ნათელი იყო,  
რომელიც არსად,  
არასოდეს დაბნელდებოდა,  
ბოროტება კი  
შეგვეძლო, რომ  
ისე გაგვეყო,  
როგორც მარტივი  
ღვთაებრივი მემკვიდრეობა...  
უდიდესი პატივი იყო  
თქვენთან ცხოვრება.

\*\*\*  
ვხედავ უსასრულოდ  
შენს ფიქრებს  
თვალთაგან გამოუთქმელ  
სიტყვებად  
და შენ ყველაფერს  
დუმილით მიყვები.  
ვუსმენ შენს დუმილს  
უთქმელი სიტყვების  
და შენ თვალებში  
უსასრულოდ  
მოგიჩანს  
ფიქრები.

\*\*\*  
ჩემს თვალწინ ახლა  
შენი წასვლის პეიზაჟია,  
როგორ მიდიხარ  
მიტოვების სანაპიროსკენ,  
სადაც გიბოვის  
სხეული უცხო,  
შემოკრავს შენი  
დაპყრობის ზარებს  
და დაუნდობლად ააღვარებს  
სიმხურვალეს შენი სითბოს ნარჩენებისგან  
დაუფიქრებლად  
მიტოვების პეიზაჟებზე.

**ჩრდილების პანაშვილი**

ახლა სალამოა —  
ჩრდილების პანაშვიდი,  
ხანდაზმულ მანდილოსნებს  
ასდით ყავის სუნი,  
მუხლებზე შეშვენიით  
სიმორცხვე სიშიშვლის  
სურვილთა ჭირისუფალოთ.  
ჩრდილები ნავახშმევს  
ველარ გადაიტანს,  
აქ ისევ ყავის სუნი  
დარჩება ძალაში,  
გლოვით კი არავინ,  
არავინ იგლოვებს  
ჩრდილების პანაშვილს.


**სულაზის კონვერტები**

ყველა ანარეკლს  
აღბეჭდავს კარზე  
განგება, ხშირად რომელსაც აღებს,  
რათა სულელები კონვერტებივით  
გადააგზავნოს  
ზუსტ მისამართზე.  
თავისუფლება ხელისგულზე  
ეტევა მაშინ,  
როცა სამყარო შენს სულს ვერ იტევს  
და გვეაჭრება გახვრეტილი კაპიკიანი  
მშვენიერება და სისასტიკე.  
განგება საკეტს  
ურუმრად აღებს,  
და შენი სული ანაბეჭდად  
შერჩება მხოლოდ  
აღსასრულს კარზე.

**ქველი საათი**

ძველისძველია ეს საათი,  
რომლის ისრებიც დროს ჩამორჩა  
ბერიკაცის ნაბიჯებით,  
ველარ მისდევნენ დროის ქაოსს,  
სადაც ცხოვრება  
ერთჯერადი ბილეთია  
მიუღწეველ სიმაღლეების,  
საიდანაც უნდა დაეცე.  
სიყვარულის სიმებიც ცვდება,  
თუნდაც მას მუდამ ეხებოდნენ  
ფრთხილად და ნაზად...  
დახედავ საათს, რომ დრო შეიგრძნო —  
დრო ძველისძველი, ბერიკაცის ნაოჭებით,  
და მომავალიც ამ საათში ძველისძველია.





**სახლი**

სხვა სახლში ცხოვრებაზე არასოდეს მიფიქრია...  
 არც მაშინ, როცა ჭერიდან წვიმა ჟონავდა და  
 საწოლს ოთახის ერთი კუთხიდან  
 მეორეში დაატარებდნენ ჩემი მშობლები...  
 არც მაშინ, როცა იატაკმა ხმოზა და მტკრევა დაიწყო  
 და არც მაშინ, როცა  
 გადასასვლელად დედა ნივთებს ამზადებდა...

მას შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა,  
 მხოლოდ მამაჩემი...

ადგებოდა უთქმელად,  
 ჩაცვამდა თხელ ტანზე უზარმაზარ სვიტერს  
 და წავიდოდა...  
 მიდიოდნენ დღეებიც მამაჩემთან ერთად.  
 ის კი მშვიდად იჯდა თავის იატაკაცვენილ  
 და ჭერჩამონგრეულ სახლში,  
 თბილ ბუხართან,  
 ნახევრად დაცლილი ღვინის ბოთლით  
 და გადარჩენას ცდილობდა...

მე ვერ გადავარჩინე მამაჩემი,  
 რადგან მეგონა, რომ თავად მჭირდებოდა მისი შველა!

ხშირად მენატრებოდა მერე სახლი,  
 სახლი, რომელიც  
 მამაჩემის უჩინარ სურვილებს ინახავდა.  
 ხშირად მსიზმრებია მერე ჩვენი მიტოვებული ოთახი,  
 სადაც ბებიამაჩემმა მამაჩემი გაზარდა...

დედა ენატრებოდა ალბათ მამაჩემს.  
 მისი დატოვება ეძნელებოდა ალბათ...  
 მისი დაეინყების ეშინოდა  
 და,  
 როგორ მესმის მე ახლა მისი!

არასოდეს მიფიქრია სხვა სახლში ცხოვრებაზე,  
 არასოდეს მიფიქრია, რომ  
 ოდესღაც ასე ახლო ასე შორეული გახდებოდა...

მამაჩემთან ერთად ბევრი რამ შეიცვალა მერე.  
 მერე მეც შევიცვალე!  
 მხოლოდ დედაჩემი არ შეცვლილა,  
 ისევ ისეთი სპეტაკი და მზრუნველი იყო.  
 მერე მამაჩემმა სმა შეიყვარა — დედაჩემზე მეტად  
 და მე გავიზარდე!  
 გავიზარდე იმდენად, რომ სახლი,  
 რომლის დატოვებაც არასოდეს მიფიქრია —  
 დამიპატარავდა.  
 მხრებზე მიჭერდა ჩვენი პატარა ოთახი;  
 სულს მიხუთავდა;  
 და ყველა ოცნება  
 თითოეულ გადადგმულ ნაბიჯთან ერთად  
 ცვიოდა აცვენილ იატაკში.

იმ სახლს დაემსგავსა მერე ჩემი ცხოვრება!  
 იმ სახლს დავემსგავსე მეც!

მერე ოცნებას შევეშვი  
 და სხვაგან ცხოვრებაზე ფიქრი დავიწყე,  
 მაგრამ თავი სახლში აღარასდროს მიგრძენია!

**მამა**

წუხელ მამაჩემი დამესიზმრა...

შემიყვარეო, სიკვდილის წინ მევედრებოდა...  
 ახლა მაინც შემიყვარეო...  
 მიყურებდა თავისი მწვანე და წყლიანი თვალებით  
 და ტუჩები უკანკალებდა...

შემიყვარეო, ეს მითხრა მხოლოდ.  
 ხელებს ხმელი ტანის ქვეშ მალავდა,  
 თითქოს საკუთარი თავი უნდა გაესვენებინა...  
 ინვა საკუთარ ხელებზე და დუმდა.

დუმდა ყველაზე საშინელი დუმილით  
 და მე არ შემეძლო მისი მოსმენა...  
 ნელ-ნელა გახმა, დაცოტავდა, დაპატარავდა.  
 თითო ბავშვივით იყო.  
 მე მივეუბნე ყველაზე თეთრი ზენარი ზენრებს შორის  
 და გავახვიე იმ ზენარში  
 და მივიკარი გულზე...  
 ის არ მიყურებდა,  
 მხოლოდ ეჭირა ჩემი ხორბლისფერი თითები  
 და საკუთარ თავს იქ ეძებდა,  
 ხელისგულეებში.

როცა ძალიან პატარა ვიყავი,  
 ანუ მაშინ, როცა წყენას მარტივად ვიქრობდი,  
 მამაჩემმა ლეკვი მაჩუქა.  
 ზამთრის რომელიღაც თვეს,  
 რომელიღაც რიცხვში,  
 რომელიღაც თოვლის შემდეგ.  
 ის იყო თეთრი  
 და ის იყო ძაფი ჩვენს შორის,  
 რომელიც არ უნდა გამწყდარიყო.

და მე შევიყვარე ლეკვი მასზე მეტად.

დადიოდა ჩემგან შეუყვარები მამაჩემი  
 და დაქონდა მხრებით ჩემი გაბრაზებული მზერა.  
 ერთხელ არ დავუსჯივარ...  
 ერთხელ არ უსაყვედურია...  
 თითებს შორის მალავდა ცრემლებს,  
 ისე შემოდოდა სახლში...  
 გადმოაბიჯებდა ზღურბლს და მთელი სახით იღიმოდა...  
 და მე მძულდა, რომ მას შეეძლო ასე ეცხოვრა.

არასოდეს მომფერებია მამაჩემი.  
 არასოდეს გადაუსვამს თავზე ხელი  
 და  
 არასოდეს შევუქივარ...  
 მამასავით მამა არ იყო მამაჩემი  
 და მამასავით უნდოდა, მყვარებოდა.

მუშტებშეკრული ვუყურებდი ყოველთვის,  
 ყოველთვის თვალებში...  
 ახლა მაინც შემიყვარეო, ეს მითხრა მხოლოდ  
 და ხელისგულეებში ჩამაშტერდა...  
 აბა, როგორ მეთქვა,  
 რომ ხელისგულეებში ვიკემსავდი ყველა ტკივილს  
 და რასაც ვერ ვატყვებდი, მაჯებზე გადამქონდა.

უყურე ჩემს ხელისგულეებს,  
 იქ საკუთარ თავს ნამდვილად იპოვნი.

\*\*\*  
 მამა, ქარები ჩადგებიან  
 და წლების დუმილს გაიაზრებ,  
 ოცნებები? გაქრებიან!  
 — მე გავიზარდე!

დედა გაიმბობს უხმო ამბავს  
 და ეს იქნება შენთვის მიგნება...  
 სკოლა წლებია, დავამთავრე,  
 — გეცოდინება!

გვიან ბრუნდებოდა დედა როცა და შინ  
 ჩემი სურნელი უნდა მიეგნო,  
 ასე საკუთარ თავს, შიგადაშიგ,  
 უნდა მიენდო!

თვალები ცრემლებით რომ გეცხებოდა  
 და სხვის მოლოდინს ველარ მიეხი,  
 მაშინ ოჯახში იწყებოდა  
 — ლიტურგიები!

მამა, არსებობაც ამბოხია,  
 აქციე თუ ზურგი ცხოვრებას,  
 აზრად არასდროს არ მოგსვლია  
 — გამოთხოვება!

ცივა, წვიმებმა მოიმატა,  
 გაქრა მოლოდინი, დავდუმდი,  
 იმედებს ნაბიჯ-ნაბიჯ დაგიტოვებ,  
 — დაბრუნდი!

**სივრცის სიფოონია**

ოთახში ერთი კრესლო გიდგას,  
 ცივი, უხეში.  
 ზედ შენი ერთი წყვილი ტანის სამოსი ყრია.  
 დგახარ შიშველი  
 და სხეულზე ხელებს იფარებ...  
 და სულს ვერაფრით ვერ გიფარავს დახრილი თვალი.  
 ფანჯრიდან მოსჩანს აივნები, მკვდარი სახლები,  
 ტროტუარები, ბორდიული...  
 ისმის მუსიკაც...  
 შორეული.  
 დედას გაგონებს,  
 რომელსაც დაკვრა უყვარდა და დაივიწყა!  
 მინაზე თითებს აფათურებ, ორთქლავ, თამაშობ,  
 და გელიმება.  
 მერე ჯდები სადღაც კუთხეში, იატაკზე  
 და ჭერს უყურებ...  
 ახდილი აქვს სახლს სახურავი.  
 შორს მოსჩანს ზეცა,  
 ღრმავდება და ფიქრებს გიმრუდებს.  
 და თვალეებს ხუჭავ.  
 და ოცნებობ.  
 და თვალეებს ახელ.  
 დამე ვერაფრით შეიყვარე  
 და შენი თავი.  
 გახვედი გარეთ,  
 გაიხურე დაცლილი სახლის კარები  
 და ზურგჩანთიდან ოცნებები ამოალაგე,  
 შენი ფიქრები... და გაფანტე  
 ქუჩებში, სადაც  
 არავინ დადის...  
 მარტო ხარ და  
 მარტო იქნები.

ვერ შეგიყვარე...

შენ მოდიოდი ყოველ დღით, ვით წვიმის წვეთი  
 და სევდას დილის ძილის მსგავსად მაცლიდი ტანზე.

ამოიღებდი შენს დამტკრეულ, ნასისხლარ თითებს  
 ჯიბეებიდან და ჩემს ცივ სულს შარფივით ხვევდი.

მეუბნებოდი — ეგოისტი ვარ!!!  
 მხოლოდ შენი სუნთქვა მჭირდება,  
 რომ ჩემი გული მშვიდად ფეთქავდეს!!!  
 მე მივდიოდი.  
 და ჩემი ჩუმი ნაბიჯები იყო წყლისფერი.  
 შენ იხრჩობოდი საკუთარ ფიქრში.

ვერ შეგიყვარე, შეგატოვე მხრებზე წუხილი.  
 მხრებზე, რომლითაც ჩემი სევდაც საკუთრად ზიდე!

\*\*\*  
 მე სად ვიყავი,  
 როცა დედას ასე უჭირდა?!  
 სად იყო მამა,  
 როცა თავად მსურდა ნუგეში?!  
 ღმერთი სად იყო,  
 როცა მამა დაპატარავდა,  
 მოიხარა და ჩიტიც აღარ შერჩა უბეში?!

შენ სად იყავი,  
 ეს წვიმები როცა მიეწყო,  
 კოკისპირული, უდროო და გადაუღები?!  
 არ მინდა — შენი სიყვარულით ისევ გადაღლა,  
 არ მინდა — შენი მიტოვების ვზიდო უღელი!

თქვენ სად იყავით, სად გაქრით და სად მიიმალეთ,  
 როგორ დამალეთ ზედაპირზე მლაყვე თავები?!  
 რა ვქნა, სიცოცხლე, უარაფრო თუ მერყენები?!  
 რა ვქნა, ცხოვრებაც, მაინც თუკი მეცოტავეები?!

\*\*\*  
 ცისიქითელი იყო, ოცნებასავით მყავდა,  
 ვარგვედი ყოველ დღით ცრემლისოდენა სითბოს,  
 მისი თვალები — მინას, მიუვალ ადგილს ჰგავდა,  
 გრძნობდა და  
 ვერ გასცემდა იმავ სითბოს, თითქოს...

არ ეშინოდა, მხოლოდ მიუჩვევლობა სჭირდა.  
 გამოადებდა სივრცეს და ისუნთქავდა ხარბად  
 ჰაერს, რომელში წვეთიც კი აღარ იყო წმინდა,  
 მერე ხუჭავდა თვალებს —  
 ვით მოუთხრობელ ამბავს...

მხრებზე ელაგა ყველა უპასუხები გრძნობა  
 და ეზრდებოდა კუზად, რასაც გასცემდა თვითონ...  
 უყურებდა და ხშირად თავს ველარაფრით ცნობდა,  
 გადასხვაფერდა, რადგან — ცისიქითელი იყო.



— უფულო კაცი უკუდო ვირიანო, ბიძაჩემი ილო იტყოდა ხოლმე, ცხონებული სულ მესიზმრებოდა და ამ ბოლო დროს, ეტყობა, რამეზე შემომწყრავა, — ჩაეცინა ბადრიას, — რა ვიცი, შენდობას არ ვაკლებ, მაგრამ... ეტყობა, მიცვალელებიც ბრაზდებიან, მკვდარმაც იცის გაბუტება.

მართალი იყო ილო. რა, ეგრე არ არი? ფული რო გაქ, ისა ფარავს, რაც კი უკეთურება გჭირს. გინდა კოჭლი იყო, გინდა ბრუციანი, მთავარი, ის გიჭყაოდეს ჯიბეში, — რალაცნაირად დაიჯღანა ბადრია, — მერე როგორი ჭყვილი იცის, ყველას ესმის იმის ხმა, ფულიანი რო ხარ, მიდი-მოვდივარ, აიმივით გენებებთან, ყველა უცბათ დაგიძმაცადება, ყველა შენი ახლობელი ხდება, — ხელი ჩაიქნია.

კი ამოიყვანა და გადახურა, თუმცა, მეორე სართულზე თივა გვეყარა ხოლმე. ერთხელაც ცეცხლი გაგვიჩნდა, აბურბურდა ჩვენი სახლი, ისევე მეზობლებმა გვიშველეს, როგორი ნამხდარიც არ უნდა იყოს კაცი, ღვთის ნაწილი მაინც შერჩენილი აქვს... იმ-ათ გვიშველეს, თორემ რაცა გვექონდა, ისიც აღარ გვექნებოდა. როგორც ააშენა მეორე სართული, ისე დარჩა. ნატრობდა ხოლმე ცხონებული, ნეტა ისე არ მომკლას ღმერთმა, რო მალლა „ზალაში“ დიდი სუფრა არ გავშალოო. პირველი სართულიდან გავასვენეთ. მალლა ისევე თივა გვეყარა.

მე და რუსიკოს რო ერთმანეთი შეგვიყვარდა, ჩემი სასიამაო სახლში მომეჭრა. ბალებზე დავიტიშე, გამგელელებული გურამა რო დავინახე. შორიდან ვუყურებდი, დე-

ბრუნებდი, რუსიკოს რო ლანდივით დავდევი-მეთქი. ყველა ადამიანი ღმერთის ნაწილია, გამჩენის ნახელავი ვართ, მაგრამ არაფერია წუთისოფელში იმაზე ღვთიური, როცა შეყვარებული ხარ, როცა შენ თვითონაც არ იცი, რატომ ხარ ყველაზე ბედნიერი, ყველასაგან განსხვავებული, როცა ყველაზე მეტად გრძნობ საკუთარ თავს. დამიჯერე, რაც უნდა გადაგხდეს ცხოვრებაში, როგორც გზაც უნდა გაიარო, შენში არსებულ ღმერთს, ხანდახან ცაში რო დაეძებ, ისე ვერასოდეს ვერაფერი გაგრძნობინებს, როგორც ის არსება, ცხადი და სიზმარი ერთნაირი რო გახადა.

მე მაშინ ვიგრძენი ჩემი თავი და ამიტომ დავფრინავდი. მთელი სამყარო გაჩენის დღიდან ღმერთის ძიებაშია და შენ კი იმ

ოვე. მეგონა, რო კარგა ხანი მახვენივინებდა, როგორც იცოდა ხოლმე. გულივერი კარგ ხასიათზე დამახვედრა გამჩენმა. გამომიტანა და მომცა.

ლუკმას ვერ ვლევავდი, პირთუნანილო ვიყავი, მარტო ვენეოდი, გეგონება, ქვეყნის დარდი მეკიდა მხრებზე. უკან დამდეგდა სანყალი დედაჩემი, ეზოში რო დავბორიალობდი.

— რა მოგივიდა, შვილო, რამე ხო არ შეგემთხვაო.

ალბათ გული ცუდს ეუბნებოდა. რას ვეტყვოდი, თან გაუხარდებოდა, თან შეეშინებოდა. შვილის გაბედნიერება რომელ მშობელს წყნინება, მაგრამ... გაჭირვების დედა ვატირე, ხო იცი, ნათქვამი როა „ცოლსა დიდი ცომი უნდაო“. თან სიხარული შემოდოდა ჩვენ ოჯახში, თან ახალი სადარდებელი. ნარმოვიდგენდი, დედაჩემს რო მოეჭრებოდნენ გურამაანი. ტანში მაცივება, მაგრამ თან იმას ვფიქრობდი: — „ჩემი გოგო თანახმა იყო, თავის ნებით მომდეგდა და რა ფეხებს მომჭამდნენ“. გაივლიდა დრო და შეეგუებოდნენ.

მოკლედ, შენს გასაკეთებელს სხვა არასოდეს გააკეთებს, ეს უნდა გახსოვდეს! გავიპარეთ მე და რუსიკო. კაციშვილმა არაფერი იცოდა. ავტობუსით წავედი. ვიარეთ, ვიარეთ და მამაჩემის მამიდაშვილებთან ამოვყავით თავი რუსიში. რო დავინახეს, გაუკვირდით ჩემ ნათესავეებს, ფრთხილობდნენ, რამე ხათბალაში არ გავეხვიოთო, მაგრამ როდის იყო მოტაცებული პატარძალი ავტობუსით მიჰყავდათ.

გავბედნიერდით. რუსიკო უკვე ჩემი ცოლი იყო, მაგრამ რალაცნაირად არა მჯეროდა. მალ-მალე გულში ჩავიკრავდი, თითქოს ჩემ თავს ვარწმუნებდი რო სიზმარში არ ვიყავი.

გურამაანმა ამბები დაატრიალეს, დედა შვილს არ აიყვანდა. მამაჩემის მამიდაშვილის შვილი ჩავიდა ჩვენთან, დედაჩემი ნახა, იქაური ამბები გაიგო. გვეძებდნენ, შემოიარეს ჩენი ნათესავეები, რუსიშიც ჩამოგვაკითხეს, მაგრამ კაკომ, მამაჩემის ღვიძლმა მამიდაშვილმა, სხვის სახლში გადაგვმალა. მაინც გვიპოვეს, მილიცია დაგვადგა, მაგრამ რუსიკომ ცივი წყალი გადაასხა ფორმიანებს. დაწერა, რო ჩემი ნებით გავყვეო და შეგვეშვენენ.

კარგა ხანი სოფელში ვერ მივდიოდით, ხიჭი-პრიჭა კაცი იყო ჩემი სიამარი. ეგრე იოლად არ მანატივებდა. რუსიკო ნერვიულობდა, თითქოს გვიან-გვიან მიხვდა, რაც მოხდა და ნანობდა, რა ნაბიჯიც გადადგა. ბოლოს ჩამოვედით, ჩემ ღარიბულ სახლს მივაკითხე. მურაბა კი შეგვაჭამა დედაჩემმა, მაგრამ მურაბა არა შევლოდა საქმეს. გაილია ეს ჩემი ცოლი ნერვიულობით. რა მექნა, არ ვიცოდი. თვეები გავიდა, ჩემი ცოლი დაფეხმძიმდა, ვიფიქრე, ეხლა მაინც მოუღებოდა გული, მოვლენ, შვილსა ნახავენ-მეთქი. ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, გურამა კატასავით ზურგზე არ ეცემოდა. ბოლოს ჩემი სიდღერი ამოვიდა ღამით ბალებზე. გურამას რო გავეგო, თავს წააგლიდა, მაგრამ მაინც გაბედა. დედის გული ხო იცი, როგორია. თვალები გამოუთენდა ჩემ ცოლს. ტანსაცმელი მოუტანა დედამისმა, ფულიც დაუტოვა.

როგორი სიყვარულითაც უნდა ენთოს სახლი, გაჭირვება მაინც თავისასა შერევა. თითქოს ჩემს იღბალზე უარესდებოდა ამბები. ეს ქვეყანა დანყნარებული და დალაგებული ვის ახსოვს, — თავი გაიქნია ბადრიამ და შემომხვდა, — ვინც ჩათლახობით და უნამუსობით შოულობს, სულ ბედნიერ ქვეყანაში ცხოვრობს და გაჭირვება არ გამოუცვია. ის წლები რო გამახსენდება, არეულობის წლები, მიკვირს, აქამდე სული როგორ მოიტანა ხალხმა. ოჯახი კი შევექმენი, მიხაროდა, ჩემი გოგო რო გვერდით მყავდა, მაგრამ რა მექნა, რა ქვისთვის მენახლა თავი. ბიძაჩემი ილო იტყოდა ხოლმე — „ცოცხალ კაცს როგორ უნდა გაუჭირდეს, ორი ხელი გაქვს, ორი ფეხი, ორი თვალი, ორი ყური, ქვეყანას ცხრა კარი აბიაო“. გქონდეს ორი ხელი და ორი ფეხი, როცა ცხრავე კარები ჩაკეტილია შენთვის და შენტვრევის თავიც არაა გაქ. დავდიოდით, დავბორიალობდი, ოღონდ საქმე გამოჩენილიყო და რაზე ვიტყვოდი უარს, მაგრამ, — მხრები აიჩჩა ბადრიამ, — ციციანთელებიან ორლობებში რო შეეცინებოდათ ერთმანეთს, კომკებს რო ვუგებდი, ეხლა თითქოს გაბუტულებივით ვიყავი. გაჭირვება თრთვილივით დაედება ხოლმე სიყვარულის კოცონს. მეშინოდა, ღამეები არ მე-



გიორგი სოსიაშვილი

# მამა ბავსდი

გოგი ფილიშვილის ხსოვნას

მე სად მექვავა ფული, გვიჭირდა, წელი არ მოგვდეგდა. რავი, ერთი რო წავა ოჯახის საქმე, ხო იცი, სანყალ კაცს ქვა აღმართში ეწევა და დალხინებულს უფრო მეტს აძლევს ბედი. მამაჩემი წლებზე ფეხს იდგამდა, დღესა და ღამეს ასწორებდა, მაგრამ ხელში არაფერი გვეჭირა. არ უნდა გამჩენს და არ გამდიდრებს, მორჩა და გათავდა. მთავარი სიყვარულია ოჯახში, სითბო და ლუკმა-პურს ყოველთვის იშოვის კაციო, მეტყობა ხოლმე მამაჩემი, მაგრამ ხო ვხედავდი, ამას იმიტომ ამბობდა, რო სხვა გზა არა ჰქონდა. უფულო კაცმა თავი რალაცნით ხო უნდა დაიმშვიდოს. მეზობლებისკენ გაიშვერდა ხოლმე თითხა, აი, მაგათა ფული ბლომად აქვთ, მაგრამ რა ოხრად უნდათ?! დღე და ღამე დაქმა აქვთ სახლშიო. მამაჩემს ტყუილიც რო ეთქვა, მაინც ვიჯერებდი. ის ყველაზე ბრძენი და მართალი კაცი იყო ჩემთვის.

ჩვენი სახლიდან ხმამალალი სიტყვა არ გადიოდა. ფული არა გვექონდა, მაგრამ ტკბილად ვიყავით და მეც იმას ვფიქრობდი, რა ჯანდაბად გვინდა ფული და სიმდიდრე, მთავარია, რო სიტკბოება გვაქვს სახლში-მეთქი.

როცა ერთი ადგილი არა გაქვს ცხოვრებისა, არიფი ხარ და სხვაზე ნაკლებად ცხოვრობ — იმის ძიებაში ხარ, რო შენში ის იპოვო, რაც იმ სხვას არა აქვს და თავი ინუგეშო. რაც შენა გაქვს, იმას არა აქვს — ეგრე ფიქრობ ღარიბი კაცი და თითქოს მშვიდდები, მაგრამ შური მაინც ოხერი რამეა. გულიდან არაყივით მოწანწკარებს შური, შენ თავზე კი არ ბრაზდები, უფხო რო ხარ და კაი ცხოვრების თავი არა გაქვს, შენზე კარგად რო ცხოვრობენ, ისინი გეჯავრებთან და ხანდახან საყვედურიანი თვალები ცისკენაც კი გაგეცეკვა...

ხო იტყვიან ხოლმე ძლიერ ოჯახებზე — მოსდევთო. ზოგს პაპისგან მოსდევს, ზოგს ბიძისგან, ზოგს მამისგან... მე არავისგან არაფერი მომდეგდა. სახლს მეორე სართული კი დაადაგა მამაჩემმა, მაგრამ ვერა და ვერ გამართა. პირველ სართულზეც ვეტყოდით, მაგრამ ხო ვატყობდი, სხვების გამო გაიჭირვა და დაადაგა მეორე სართული, იმიტო გაიჭირვა, რო სხვებივით ჩვენც ორსართულიანი სახლი გვექონდა. მეზობლებს რო გაუკვირდათ, მამაჩემის სიხარული ეგ იყო, მაგრამ რად გინდა, კედლები

დაჩემს რო მკვდარი და ცოცხალი არ დაუტოვა. თითებს ვიჭამდი, მაგრამ რა უნდა მექნა, შემეჭამდნენ და მომიწლებდნენ. რაც მე „ავლა-დიდება“ მქონდა, ნავაგი მოეგვებოდა. კოლეტივში გავლენიანი კაცი იყო, მამაჩემივით უფხო და სანყალი კი არა. მაშინ ვისაც თავი ჰქონდა, ყველა იპარავდა. დიდი მენველი ძროხასავით ქვეყანა იყო, ვინც მიუცუტქედებოდა, ყველა წველიდა. მამაჩემისნაირებს ახლო არ იკარებდა ღალიანი მენველი ფური, — ჩაიქირქილა ბადრიამ.

სიყვარული იმიტომაც არის სიყვარული, რო არც ორსართულიანი გამართული სახლები იცის, არც ფული და არც კაი ცხოვრება. თუ მართლა გიყვარს, შენზე მდიდარი და ბედნიერი კაცი არ არი. მეც ეგრე ვიყავი. არაფერი მეზობა, მაგრამ ყველაფერი თავზე გადამდიოდა, ჩემდენი ქონება არავისა ჰქონდა. რუსიკოს რო დავინახავდი, დედამინაზე ჩემზე ბედნიერი არავინ დააბიჯებდა. ის იყო ყველაფერი ჩემთვის, სუნთქვაც ის იყო, წყალიც ის იყო, პურიც და შემწვარ-მობრაკულიც. დღეც ბედნიერი ვიყავ და ღამეც. მაშინ მივხვდი, რო ნამდვილი ბედნიერება ეს იყო. ფული რო მქონოდა, ბევრი ფული და ისე შეეყვარებოდი ვინმეს, ამას მაღლი არ ექნებოდა. ალბათ მდიდრებმაც იციან სიყვარული, მაგრამ ესეთს ვინ იგრძნობდა, მე რო მარჯქა დალოცვილობა ღმერთმა.

დღიურ მუშად დავერთიანი და ცხოვრება მიხაროდა. თვალნი სულ ის მყავდა, სულ იმაზე ვფიქრობდი, ყველა ჩასუნთქვაზე და ამოსუნთქვაზე იმაზე ვფიქრობდი. ორი თუ სამი წელი გრძელდებოდა ეს ამბავი, გურამას შიშით რუსიკოანთ უბანს ვერ ვეკარებოდი, სადმე რო დავეჭირე ფეხებით ჩამომეკიდებდა, მაგრამ ჩვენ ჩვენი ალაგები გვექონდა და იქა ვხვდებოდით. ბნელ ორლობებში კუთხე-კუნჭული დახუბირებული მქონდა. თუ მთვარე იყო, ხო თავს არ გვანებებდა, ბილიკებს გაგვიჩაჩხახებდა ხოლმე, თუ არა და ციციანთელებს დაგვახვედრებდა ხოლმე გამჩენი. სადაც სიყვარული იბადება, ღმერთი იმ ალაგს დასცქერის. დავებრდი და სულ ის დღეები მენატრება. განა ეხლა არ მიყვარს, მაგრამ ეტყობა, ძან რო მიეჩვევი, ისე ველარ გრძნობ. რამდენჯერ მინატრია, ცხოვრების გადახვევა რო შემეძლოს, იმ წუთებს დავა-

დალოცვილს ზაფხულის ბედნიერ ღამეს ციციანთელებთან ორლობებში პოულობ, — თითქოს ცრემლები მოადგა თვალებზე ბადრიას, — ჩვენთან არს ღმერთიო, იტყვიან ხოლმე. როცა გიყვარს, მაშინ არის შენთან ღმერთი, რომელიც ან მთვარედ დაგყურებს, ან დღემძვრალა ჩიტად დაგენახვება, ან ციციანთელად აენთება, ეგრეა!

გავიპაროთო, რუსიკომ, — ღიმილი დაუბრუნდა ბადრიას, — სათქმელად ადვილია, მაგრამ, მიდი, აბა, გაიპარე. გურამას სახე რო დამიდგებოდა თვალნი, სისხლი მიცივდებოდა, თუმცა, იმ გაციებულ სისხლს ისევე ჩემი გოგოს თვალები ათბობდა.

მივისესხ-მოვისესხე ფული. სანყალი დედაჩემი ერთი კვირა კრიჭაშეკრულს რო მიყურებდა, ფერიფური მისდიოდა, ხუმრობა ხო არ იყო, ცოლი მომყავდა, ოჯახსა ვეძინიდი, თან ნახესხი ფულით. არ მიყვარს ოხერი ფული, არც მაშინ მიყვარდა, მაგრამ რო გჭირდება?! ცოდვით რო ვერ დახარჯავ კაპიკ-კაპიკ მინებებულს, გავკარი ეგეთ ბედნიერებას, მაგრამ რუსიკოს როგორ ვაგრძნობინებდი.

დალამდა, გულივერს მივადექი, ის იყო ხოლმე ჩემი ოჯახის გაჭირვების ტალკეესი. სახლი იმას არ უფარგოდა და კარი, რო შეგეჭყიტა იმის არე-მარეზე, კამეჩი ფეხს მოიტეხავდა, მაგრამ... ფული სულ ჰქონდა, მოსავალი მოჰყავდა, საქონელი ბევრი ჰყავდა, დორებს ზრდიდა, რავი, ყველაფერი ჰყავდა. გამიჭირდებოდა და გულივერს მივადგებოდი ხოლმე. გაკრიჭავდა კბილებს — „სადა მაქ ფული, ბანკი კი არა მაქ აქაო“. გამოვტრიალდებოდი ხელცარიელი და კულამოძუებული, მაგრამ იმის სახლს რო ცოტა გამოვცადებოდი, ოჯახსა მძახებდა — „მოდი აქა, ბიჯოო, — ენა ძუნნი ჰქონდა, გული — კეთილი. აჰაანდე და მაშინდელივით არ დამიგვიანო, დროზე იცოდე მოტანაო“. მაშინდელივით არ დამიგვიანო და როცა კი მასესხა, სულ ვუგვიანებდი. ხან დედაჩემიც მიმიგზავნიდა. ვიცოდი, რო უარს არ ეტყოდა.

— ის სად არი, ისა, შენ გამოგვზავნა არა? — თავს გააქნევდა...

დედაჩემს არასოდეს უთქვამს, მაგრამ ვიცოდი, რო ეგრე იქნებოდა. მივადექი და ვესესხე. რავი, რა ხასიათზე იყო, გეგონება, გრძნეულივით მიხვდა, რა ამბავზეც ვთხ-



ძინა. ვაითუ, გული აიცრუს ჩემზე ამ გოგომ და გადაუყვარდნენ-მეთქი. ასე მეგონა, სიყვარულის ჰაერს მასუნთქავდა დალოცვილი ღმერთი და ყველა ჩასუნთქავდა უფრო და უფრო მიყვარდებოდა.

დავყურებდი ჩემ მიძინარე მზეთუნახავს და გული მიკვნესოდა. ერთ დღესაც უარი რომ თქვას ჩემ ცოლობაზე, ამდენი გაჭირვებას ვერ გაუძლო, ადგეს და წავიდეს, თავი როგორღა უნდა ვიცოცხლო-მეთქი. ფეხმძიმედ რომ დარჩა, სიხარულით დაფარინავდი, რაღა გამეკეთებინა, არ ვიცოდი.

— ღმერთო, მამა უნდა გავხდე, შვილი უნდა გვეყვაროს...

ვეფერებოდი და ჩემზე ბედნიერი კაცი არ იყო. რომ წარმოიდგენ, სადღაც თვლემს შენი ნაწილი, რომელმაც მამობის სიხარული უნდა გაგრძობინოს.

გურამას მაინც არ მოუღება გული. ჩემი სიდედრი ისევე მოდიოდა ჩემ-ჩემად, ღამ-ღამობით, მაგრამ მე არ მეღალატებოდა, თითქოს ვერცა მხედავდა. შეიძლება ძალიანაც უნდოდა დალაპარაკება, მაგრამ გურამას შიშით ვერ გაუბედნა. მუცელი წამოეზარდა რუსიკოს, ორსული ქალის ამბავი ხო იცი, როგორც არის, ხან რა მოუხდებოდა, ხან რა, მაგრამ... გული რომ არ ეტკინა ჩემთვის, არაფერს მეუბნებოდა. სანამ გათხოვდებოდა, გურამა შემწვარ-მობრაკულებს არ აკლებდა და სოფელში იმნაირად ჩაცმულ-დახურული ბევრი არ დადიოდა. აქ კიდევ სიღარიბე უნდა აეტანა და მხოლოდ ეოცნებებოდა. მაშინ ხომ კომპლექსებს ვუგებდი ციციანთელეზიან ღობეზე, გეგონებოდა, სადღაც ზანდუკით მქონდა მამაჩემის დატოვილი ფული და ოქრო-ვერცხლი ჩაფლული, ეხლა არ ვიტყვი იხტიბარს და კომპლექსებს აშენებოდა ვიყავი, კაცი ცხოვრებას ვპირდებოდი, გეგმებს ვანყოფიდი, თავს მიქნევდა, მიღიმოდა, მაგრამ ის ღიმილი უფრო იმიტომ ჰქონდა, რომ ჩემთვის გული არ ეტკინა. ვუყვარდი, რასაც სიყვარული ჰქვია, ეგ იყო, ჩემით სუნთქავდა, მაგრამ სადღაც შიში ჰქონდა, ცხოვრების შიში, ვიღაცები რომ ჭორაობდნენ, თვალს გამოითხარა გურამას ცეცხლი, თავიდან ყურადღებას არ აქცევდა, ფეხებზე ეკიდა ამ ჭორიკანა დედაკაცების ლაქლაქი, მერე თანდათან ჩაფიქრდა. არ იმჩინებდა, მაგრამ ხო ვატყობდი.

თვალს გამოითხარაო. მე ვიყავი თვალის გამომთხრელი, წვეტიანი ეკალი. სიყვარული ზოგჯერ შეიძლება ზასრ ეკლად იქცეს და ეს მაშინებდა. რაღაც უნდა მეღონა, ნემსის ყუნწი უნდა გავმძვრალიყავი, გველის ტყავში უნდა გავტყულიყავი და ჩემი გოგოსთვის დამემტკიცებინა, რომ ცხოვრება შემეძლო და არიფი არ ვიყავი. ღამეებსა ვტყუებდი ფიქრში, ეგრე თეთრად ჩამომავთენდებოდა ხოლმე. უძილობა ერთმა რამემ იცის — უფულობა. უფულო კაცს, მშინერ კაცს რა ჯანდაბა დაგაძინებს, ძალიან უნდა ნკმუტუნებ და ლუკმის საშოვარ გზას ეძებ, ფულმაც იცის უძილობა, — ჩაეცინა ბადრიას, — გგონია, ფულიანი ხალხი არხეინად არი და ხვრინავს? ეგრე არ არი, ჯიგარო. ფული რომ გაქ, ფხიზლად უნდა ყოფნა. თუმცა ფულიან უძილობას გაუძლებს კაცი როგორც იქნება, არა? — ჩაიხიხითითა, — უძლებენ კიდევ, ყოჩაღათ არიან. უფულობით ძილგატეხილი კაცი კიდევ მალე ბერდება და სიბერეზევე ეტყობა კაცს, რამაც დააბერა. გაჭირვებაში დაბერებულ კაცზე ცუდი დასაწახი რა არი, აბა? ნაცემი ძალიან არი, ნაადრევად ჩამომჭკნარ-ჩამომდნარი.

თვეში სანამ ჩადგებოდა ჩემი ცოლი, სიდედრი მოვიდა, ოღონდ ისე არ მოვიდა, ღამ-ღამობით როგორც მოდიოდა ხოლმე, ბალებზე, გურამას ჩემად... დღისით მოვიდა, რუსიკო უნდა წაეყვანა — „ჩემთან უნდა მოვალოგინოო, წესი ეგრეა, პირველ შვილს რომ აჩენს ქალი, მშობლები წაიყვანენ ხოლმე“. აქ რა ნესებზე უნდა გვეფიქრა, ყველაფერი არეული-დარეული მქონდა. გაჭირვებაში კი ვიყავი, მაგრამ ეს გაჭირვება მაინც ვერ ანელებდა იმ დიდ სიხარულს, შვილის მოლოდინის სიხარულს. სახე გაუფოჯოვდა რუსიკოს, ლოყებზე და საფეთქლებზე ლაქები გაუჩნდა, მუცელი გაეზარდა, გაიბერა, დამიძინდა. ღამის ჩამეყლაპა ჩემი ცოლი. სიყვარულს ვეღარ ვუძლებდი, სისხლი მქონდა ადუღებული და გული ჩახარული. ვერ გადმოგვიცემ, ეს თუ არ გამოსცადე, ისე ვერ გაიგებ. მუცელზე ხელს დაეადებდი და ტანში მაჭრებოდა, ახალი სიცოცხლე ბორგავდა რუსიკოს წიაღში. ჩვენი შვილი, მალ-მალე დამიწვლით

წარმოვთქვამდი ამ სიტყვას — შვილი. ალბათ ყველა მამა ამას განიცდის, ორსული ცოლის მუცელს რომ ხელს ახებ. ყველა ესეით დღეშია, ყველას ტანში აჭრებოდა და სიხარულით ყვირილი უნდებოდა. არადა, მეგონა, რომ დედამიწაზე მე გამომარჩია ღმერთმა და მე მიბოძა ყველაზე დიდი სიხარული.

მამა უნდა გავხდე, მამა უნდა გავხდე, — ვეჭურჩულებოდი ჩემ თავს. ნეტავ როგორი იქნება ჩემი შვილი, ბიჭი იქნება თუ გოგო, პირველი რომ ბიჭი იყოს ცუდი არ იქნება, მაგრამ ენაზე ვიკბინე, ღმერთო, მაპატიე, ბიჭიც ღმერთისაა და გოგოც. ღვეთისმშობელი გოგო იყო... — პირველად გადინებდა ბადრიამ, — მამობის სიხარულს ყველაზე მეტად გამჩენი გაგიგებს, ის არის მამა თუ არის, და ოდესღაც ისიც ხო თბილი მზერით დასქეროდა წამოზრდილ მუცელზე ღვეთისმშობელს, ხელით შეხება არ შეეძლო, თორემ თვალებით ხო ეფერებოდა, ღმერთის თვალებით.

მამა რომ შვილს ელოდებოდა, ოცნებებს კომპლექსებს აგებს, გეგმებს ანყოფს. მეც ეგრე ვიყავი, ოცნებაში ვაჭირვებოდა რა უნდა, იქ სულ ზედნიერი და თავისუფალი ხარ. გოგო გაჩნდებოდა თუ ბიჭი, წინასწარ ვიცოდი, როგორ უნდა გამეზრდა, ბედნიერი ცხოვრება უნდა მეჩქებინა.

საიდანღაც მოდიოდა ჩემი შვილი, უფრო სწორად, საიდანღაც კი არა, თვალთუხილავი სამყაროდან მოდიოდა, ღმერთი მიგზავნიდა შვილს. ყველაზე კარგად შენი შვილით ვაჩვენებ საკუთარ თავს გამჩენი. ის არის შენი ნამდვილი სახე.

თვეში ჩადგა ჩემი გოგო, დამიძინდა, ძლივს დადიოდა, როგორც ხელისბიჭი, ისე ვემსახურებოდი. ვატყობდი, რომ ხასიათი შეეცვალა, სხვანაირი რუსიკო გახდა. პატარა რამეზე მეზღუდებოდა, თვალეში გასათენებლად მიყურებოდა მზის მიზინდული შუქი უდგა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ვეებერთელა მუცლით მე დამატარებდა ჩემი ცოლი, თითქოს დღეები იყო დარჩენილი ჩემს დაბადებამდე.

ვეფერებოდი, აღარ ვიცოდი, რა მექნა, არა სიამოვნებდა. ციციანთელეზიან ორლობეში რომ ვკოცნიდი და მიინაბებოდა, ის რუსიკო არ იყო. დაღლილი ჩანდა და თითქოს შიში ეტყობოდა.

თვეში ჩამდგარი ჩემთან აღარ გააჩერა დედამისმა. თითქოს ვუთხევიდი, ძილი არ მეკარებოდა, ოღონდ ერთად უნდა დავგნეყებოდა ტკივილები. მიძინარე დავყურებდი და ვგრძნობდი, რომ სიყვარული ვეღარ ეტეოდა სულში. სულს განელევა არ შეუძლია.

\*\*\*

მშიშარა კაცი არასოდეს არა ვყოფილვარ. გაჭირვებაში რომ იზრდები, მიშინი გიქრება. როცა დასაკარგი ბევრი რამე არა გაქვს, რა ჯანდაბის უნდა გეშინოდეს. „ტაურის“ ბიჭი — შალვა — მომეყვებოდა და თითქოს მატყობდა, რომ ველავდი. გზადაგზა მამხნეებდა.

— რა ყურები ჩამოგიყრია, ცოტა ფხიანად მოიქეცი, მამა უნდა გახდე ბოლობოლო.

მუცელი სტკიოდა რუსიკოს და სამშობიაროში უნდა წავიყვანა. გურამას ზიგუელი ეზოს გარეთ იდგა, რუსიკოვანთ მეზობელი ამორანი შევამჩნიე მანქანასთან. გურამას სახლს რომ მივუახლოვდი, უფრო უარესად გავხდე, გული მიფრიალებდა, ფეხები აღარ მემორჩინებოდა.

— ეხლა რომ ამან რაღაცეები დამიწყოს, — გურამას დანახვაზე ოფლმა დამასხა. — დაგინყოს კი არა... — ჩაილაპარაკა შალვამ, — დამწყები აქამდე დაგინყებდა. — ხო იცი, როგორ ვეჯავრები... — ჩურჩულით ვთქვი.

— მოდი რა... თუ რამე უნდა, გვითხრას, — თქვა შალვამ, — თავიდან ეგრე იცინა და მერე დატკბებიან ხოლმე.

რუსიკოვანთ სახლთან ვაჭერდი. თავი ვავიძნევე, ძალა მოვიკრიბე, გურამას და ამირანს მივესალმე.

მიყურებდა, სისხლი მოსწოლოდა თვალებში, რა ექნა, არ იცოდა, გინება პირზე იდგა და ბრაზი მუშტებზე. ბოლოს ძალით იოკებდა, მაგრამ, ვინ ამ დაუკება. გურამას ერთი კი გაუფრთხილავი თვალი, მაგრამ მეტი ვერ გაუფრთხილავი იმის ჩასისხლიანებულ მზერას, დამნაშავესავით ჩავლუნე თავი.

— მაგარი ბიჭი ხარ, არა? — თქვა და რაღაც გაურკვეველად წაიბუტბუტა. ცოტადა აკლდა და წიხლებზე გამიგებდა. დამცირებული კაცი რას არ იზამს.

მეშინოდა, ემანდ თქავა-თქუფი არ ამიყენოს-მეთქი. ვიდექი ეგრე და სად წამელო დაბნეული თვალები, არ ვიცოდი.

— ყველაფერს მოვიფიქრებდი, მარა... — ამირანს შეაღვენიო გამწარებული მზერა.

— დამშვიდდი... — თქვა ამირანმა და დრო რომ რაღაცით გაეყვანა, გურამას „ჟიგულის“ საბურავს ფეხით მიანვა, იცოდა, რომ დაშვებული არ იყო, მაგრამ მაინც მოსინჯა, თან ჩვენსკენ გამოაპარა მზერა.

— დამშვიდდი კი არა... — კბილები გააკრატუნა ჩემმა სიმამრმა, — ამას რა უნდა ვუთხრა, ამ... ამ... — ენა დაეხა ღვეთისაგან გურამას, — ამ წუნანასა, თვუი... ჩემ წამპალ შვილს უნდა კალიასავით გაგლეჯვა, — თქვა და ისე ააცმაცუნა ტუჩები, მეგონა, შემაფურთხებდა, — ხო მაგარი ბიჭი ხარ... — ისევ ვიგრძენი გურამას ცეცხლიანი თვალები, — ჰოდა... ერთი რამე მოგიკვლია... მარტო ცოლის მოყვანა კი არ არი, შენახვის ტრაკი უნდა გქონდეს... ქალს ვინ მისცა ჭკუა, ამის... — რუსიკოს სამსართულიანი გადაუკურთხა.

\*\*\*

ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მეცა მტკიოდა მუცელი... დედაჩემის ნათქვამი მახსენდებოდა:

— კაცებმა რა იცით მშობიარობის ტკივილისა... ყველა ძვალი რომ დაგამტკრიონ ერთად, ეგეთი ტკივილია, კაცები მაგას ვერ გაუძლებთო.

— კაცებს სხვანაირი ტკივილები აქვთ, კაცების ტკივილებს ქალები ვერ გაუძლებენ-მეთქი.

— ეგრე გეგონოსო, — მიღიმოდა დედაჩემი, — ყველა ტკივილი რომ გააერთიანოს, ეგ არი მშობიარობის ტკივილიო.

თვალებს დაეხევა და რუსიკოს ტკივილები წამოიხედავდა ხოლმე. არის ტკივილი, რომელსაც თანაბრად გრძნობს სულიც და სხეულიც. ეგრე ვიყავი, თითქოს ჩემში არსებული სიყვარული მტკიოდა. ყველა კაპილარში და სულის ნაპრალში ვგრძნობდი სიყვარულის ტკივილს. ჩემში არსებული ბედნიერება ბორგავდა. მე და ტაურის ბიჭი შალვა ცალკე ვიდექით სამშობიაროს ეზოში. რუსიკოსები მოშორებით იდგნენ. ლოდინი ხო იცი, როგორ ამძაფრებს ყველაფერს, დაბოროტობს მე და შალვა და რუსიკოსებს ახლოს ვერ ვეკარებოდი. ერთი-ორჯერ რუსიკოს ქალაქელი ბიძაშვილი, ჩვენი ტოლი ბიჭი მოვიდა შორიასხლო, დაგველაპარაკა, მოგვიკითხა, მაგრამ ეტყობა, იმასაც გურამასი ეშინოდა, ახლოს მოსვლისაგან თავს იკავებდა, რუსიკოს პატარა ძმაც გამოგვცქეროდა, ისეთი გამოხედვა ჰქონდა, ვატყობდი, რომ რუსიკოსებს ჩემზე გაჰქონდათ და გამოჰქონდათ.

— შენი თავი რომ შენი ნება არ იქნება, რა... — მოულოდნელად წაიბურტყუნა შალვამ და გურამას გადაუკურთხა.

— რაზე ამბობ-მეთქი?

— რაზე ვამბობ და მაგ საქონელ კაცზე ვამბობ, — მეორე გინებაც დაუმატა, — გოგო რომ გაიზრდება, ვისაც უნდა, იმას უნდა გაჰყვებს და ბიჭს კიდევ ვინც გაუსწორდება, ის უნდა მოიყვანოს. ძალით შექმნილ ოჯახს ვაკუარო. არ შეარგეს იმ გოგოს სიყვარული.

სამი თუ ოთხი საათი ვიყურებოდი სამშობიაროს ეზოში, შემოგვალამდა. შუქები სად ჯანდაბაში იყო, „დეიჟოკები“ დაქოქეს სამშობიაროში. იმათ რახრახზე მშობიარეების კვნესას ვინა ვაგიგებდა? კარი გაიღო, თეთრხალათიანი ქალი გამოვიდა, რუსიკოს დედა და ნათესავები მიეხვივნენ.

— მიდი, ბიჯო, — ხელი წამკრა შალვამ.

თეთრხალათიანი ქალი, გეგონება ახალი გამოღვიძებული იყო, ისე ჭუტავდა თვალებს.

— ჯერ არაფერი არ იქნება, ძლიერი ტკივილები არა აქვს, ოთხი-ხუთი საათი მაინც დაჭირდებაო.

დეიჟოკის სინათლით გაჩახახებული ფანჯრიდან კვნესის ხმამ გამოჟონა. სისხლი გამიცვივდა, თითქოს რუსიკოს ხმა იყო, მაგრამ მერე ვიფიქრე — რამდენი მშობიარე ქალა და ვინ იცის, ვისი კვნესის ხმა იყო-მეთქი.

კარგა დაღამდა. ტაურის ბიჭს მაგრამ მოშვიდა. მე კუჭის კვნესას ვერც ვგრძნობდი. გურამასებელი მანქანასთან იდგნენ და ხატაპურებით იღმურძლებოდნენ.

ბოლოს ტაურის ბიჭმა აღარ დამაყენა.

არ მივდევი, კბილები გავკრიჭე. ჩემი გოგო იქ ტკივილებით იტანჯებოდა, მე სად ჯანდაბაში წავსულიყავი. გავივლიდი-გამოვივლიდი, უცნაური ღამე იყო, ჩემი მამობის ღამე. თან მიხაროდა, თან მეშინოდა. რაც მახარებდა, ის მაშინებდა. თან სევდა მანვა გულზე, ერთი უთქმელი სიხარული დამტრიალებდა. მე ვიბადებოდი ხელახლა... დამცქეროდა ის დალოცვილი ღრუბლებჩარღვეული ციდან და ნეტავ რას ფიქრობდა ჩემზე. იმასაც ხო იგივე განცდა ექნებოდა, როცა ბეთლემში ბიჭი იბადებოდა. მუცელი უქოთოთებდა ტაურის ბიჭს და აღარ ისვენებდა.

— ვის ცოლი არ მოუყვანია და ვინ სამშობიაროში არა ყოფილა, გახმა კუჭი შიმშილით...

სამშობიაროს გადასწვრივ ჩაბნელებული კორპუსები იდგა, კი ვიცოდი, რომ რომელიღაც ბინაში ტაურის ბიჭის ნათესავი ცხოვრობდა.

— ოთხი-ხუთი საათი აქ ტყუილა ყურყუტს და გურამას ცქერას, გოგისთან ავიდეთ, პური შეგვამოთ, ცოტა თვალეში გამოვიხედავთო, — ვეღარ ისვენებდა.

შიშშილი სად მახსოვდა, ანგელოზებს ჩემი შვილი უნდა მოეყვანათ და უარი ვუთხარი შალვას.

— შენ წადი, მე არა მშია, აქ მირჩევნია ვიყვე-მეთქი.

ასე მეგონა, სამშობიაროს ფანჯრიდან ჩემი გოგო მაკირდებოდა, ანტერესებდა, წავიდოდი თუ არა. აიბრუსხა ტაურის ბიჭი, ცხვირი ჩამოშვდა. ვიფიქრე, კაცი ჩემ ამბავზეა წამოსული და აქ ბორიას, ხასიათს გავუსწორებ-მეთქი.

იმ ჩაბნელებულ კორპუსში მივადექით შალვას ნათესავ გოგიას. აღარ მახსოვს ოსური გვარი ჰქონდა, — ჩაფიქრდა ბადრია, მაგრამ ვერ გაიხსენა, — რა მნიშვნელობა აქვს გვარს... ოსი რაა და ქართველი რაა, ღმერთმა აცხონოს ის კაცი, ბნელი არ მიჰკარებოდეს იმის სულს, ეხლახანს გავიგე, რომ მოურჩენელი სატიკივანი მომკვდარა. რა კაცი... — თავი გააქვია რამდენჯერმე სინანულით, — ცოტა გრძელი რომ იყვეს ეს ოხერი სიცოცხლე, რა იქნებოდა, შა, სულ ცოტათი გრძელი.

— მერე კიდევ ცოტათი გრძელი მოგვინდებოდა, — ჩამეღიმა.

— რა მოხდა მერე, — ცერად შემომხედდა ბადრია, გეგონება, მე ვამოკლებდი წუთისოფელს, — იმ გრძელ და დაუსრულებელ ცხოვრებას რომ ცოტა მოაკლდეს და აქ დაემატოს, — თქვა და ჩაფიქრდა, მერე თვითონვე გაეღიმა თავის ნათქვამზე, — ეხლა იმათ ვკითხოთ... ყველაფერი რაღაცის ხარჯზეა.

— სიყვარული რის ხარჯზეა? — მოულოდნელად ვკითხე.

— ტკივილების ხარჯზეა, სულის ხარჯზეა, — არც დაფიქრებულა, ისე მითხრა, თითქოს კითხვას ელოდა, — სულ სანთელივით იწვის, როცა ვიყვარს, — თქვა და ისევ შალვას ნათესავზე გააგრძელა, — მაგარი კაცი იყო, გულიანი... რომ ვაიგო სამშობიაროში ვიყავი და მამა უნდა გავმხდარიყავი, დატრიალდა და გამალა სუფრა. შეგვატყო, რომ ვაფხევილები ვიყავით. რაც ჰქონდა და არა ჰქონდა, გამოანყო გოგიას ცოლმა. ეგეთი ტკბილი ცოლ-ქმარი იშვიათად მინახავს.

წავიხმსოთ, წავიხმსოთ და ხო იცი, ჩვენი ნახესებოდა როგორც არის. ტაურის ბიჭს რამდენჯერმე წავჭურჩულე, აქ დალევის დრო არ არის, ჩემ გოგოს იქნებ რა გაუჭირდეს-მეთქი, მაგრამ... ჩარტყმა უყვარს ამ შობელძალს, მსუნავი თვალებით ისე უყურებდა გრაფინას, ვიცოდი, რომ ეგრე იოლად არ წამოვიდოდა. ტაურის ბიჭს გაუტკბა გოგიასთან პურისჭამა, თუმცა რაღა პურისჭამა, კარგა მაგრა გამოთვრა. ორი-სამი ჭიქა მეც დავლიე, მაგრამ მერე პირი აღარ დავაკარე, ჭიქაზე ხელი დავუფარე გოგიას. ქეიფი მაშინ არი კარგი, როცა სუფრაზე ხარ ფიქრით.

— ნამო, ბიჯო, ნამო, ბიჯო, ნამო, ნამო... — ყბები გვერდზე მომექცა. ვერ წამოვყავენე ეს შობელძალი. ქინქლასავით ვარდებოდა ღვინის ჭიქაში, — რახან არ მოდიხარ, მე წავალ-მეთქი.

გოგიას მადლობა გადაუხადე და დავემე ბნელი კორპუსის კიბეზე, თან შალვაზე მომდიოდა გული, თუ გამომეყე, შვილოსა, და პატივი მეცი, ბარემ ბოლომდე ჩემ გვერდით იყავ... გზაში ქაქანი დაემეცა. სლოკინ-სლოკინი გაუდიოდა.





ალა დათუკიშვილი

**მელანქოლია**

შენ სულ გეშინოდა იმ დღეების როცა გაზაფხული მოდიოდა, როცა მოძრაობდნენ ლეღების კენჭები, როგორც მიდიები.

როცა გადამდნარი ნაკადული ფეხზე გველებივით გვეხვეოდა, როცა მთვარე იყო გაბადრული ზეცის იისფერი საყელოთი.

სხვები ამღერებდნენ ლაით ნოტებს სულს რომ არა და არ ეამა, მე და შენ გვიყვარდა ნინო როცა — მელანქოლიების ნათლიმამა.

გვინდოდა ცხრა მთის გადავლა და ცხრა ზღვის უნავებოდ გადაცურვა, ან სულ ერთმანეთის გადამალვა ამ ცრუ წუთისოფლით დანაცრულებს.

დღე კი ნავლებოდა ბუხარივით, თითქოს ჭალას ჩიტი შემჯდარიყო, მიხაროდა და უხაროდი, ზღაპარ იყო და არა იყო.

ახლა რეალობის გავხდი მგზავრი, რომელმაც ზღაპარი გადარია, ზოგჯერ ლექსებს ვწერ და იქ ვაგზავნი, სადაც ცხრაასი წლის ჭადარია.

სადაც კუსტე დადის დარდიანი, სადაც ექთანს დარჩა ძმა და რიმა, სადაც მზე ამოსვლას აგვიანებს და მეც ადრიანად აღარ მივალ.

გული ერთადერთი ყველას ჯობნის თუ კი სიყვარული დაიბედა, მღერის ასტრალური გილა ჯონის — მელანქოლიების ნათლიდედა.

რწმენა რომ ყოველთვის თან არ მქონდეს, უდაბნოს ალქაჯი გეგონები, ღმერთო, არ მატკინო არასოდეს ჩემი დარდიანი მეგობრები.

**მჰვილოზა**

როცა ბედუინთა განთიადებს ფეხებს დაუბანენ ბარხანები, დაე, შაითანი გატილდეს, შენს ბანაკთან ახლოს დავხანდები.

ლამებს გამოვდევნი პალმის სახრით ჰანით შეგიღებავ ფეხის გულებს, როცა მოგწყურდება, მარტო მიხმე, აქლემის კუზივით გიერთგულეებ.

მერე მოგიყვები ჩემი ქვეყნის შავ ზღვაზე, მედეას ჰელადოსზე, ისე მოგიყვები, მისი ნახვის სურვილს ვერ იკლავდე ვერასოდეს.

თავად მოგიხარშავ რძიან ჩაის, ვინც რძე არ დალია, გაითვალა, მზეს გადაგიხურავ პალმის ჩალმით, კანი არ დაგინვას კაკლის თვალა.

ლამით დაიკვილებს შევარდენი, შუბლთან სიამაყით განვიმდები, გითარგმნი, როგორ ნავარდობენ კავკასიონის არნივები.

და შენ მათი ნახვაც მოგინდება, მოგინდება და განახებენ, მდინარე უნდა გადალახო — ალმა მორბენალი კალმახები.

უნდა გადახედო ნისლებიდან როგორ იბადება ცისარტყელა, ძმა მყავს გენერალი გმირებიდან, ფეხით რომ დროშა არ გათელა.

ჩვენი ჩოხა უნდა დაინახო, ჩვენი ქამარ-ხანჯლის ნაპერკლები, არ აქვს მნიშვნელობა საიდან ხარ, ჯუთაზე ჯიხვივით აცეკვდები.

ისე დაგიხვდება ჩემი მინა, როგორც შინ გხვდებიან შენი დები, ვინძლო ვერასოდეს დაივიწყო, როცა ცათამბჯენში დაბრუნდები.

როცა ბედუინთა განთიადებს ფეხებს დაუბანენ ბარხანები, დაე, შაითანი გატილდეს, მშვიდობავ, მოხვალ და დახანდები!



**მე**

სიზმრის გადაღმა ვინცა ვარ, ვიცი, მხოლოდ გადმოღმა დამაქვს ნილაბი, ანუ არა ვარ, ვინც ვარ ან ის, ვინც შეიძლება ცყოფილიყავი.

**ფაქრი**

ჩუმად იყავი, როგორც მზის ჩასვლა უდაბნოში, ისე აემღვრა სისხლი ღანწებს, ჩუმად, ბედუინებს ნუ გამოშლი, ყველა დანვა.

რიჟრაჟზე მთები უნდა გადალახონ, მთები ჯაბელ ჯისის, ჩუმად, ვითომ და აქ არა ხარ, ვითომ და არც რა იცი.

არ იცი, როგორი უძილობის ქაჯები დამიდიან, არ იცი, რომ წლებია მზე ყულფია ზეცა კი საკიდა.

მასვეს აქლემის რძე ქალწულებმა, არ ვუჩივი წყურვილს, უკვე ყველა წყლული ამომიწვეს, გარდა ერთი წყლულის.

ჩუმად, საცაა, ფაჟრის ლოცვისათვის განიბანებიან, გვხედავენ, იცოდე, ქვიშის დიუნები უდაბნოს თვალებია.

აგერ ნამოდგენ და ფეხით დაიფინეს თეთრი შეილები, ასეთ დროს ვწყვეტ ხოლმე ყულფზე გაფიქრებას, აღარ შეიძლება!

ასეთ დროს გავიგე, სულს რა ვეებერთელა შვება მოვაკელი, ასეთ დროს გადავჩი, რათა მომეყოლა შენთვის ყველაფერი.



ჩუმიად,  
მზე ამოდის უდაბნოში უკვე,  
არის ლოცვის ჯერი,  
ჩუმიად,  
ვითომ აქ ხარ,  
ერთადერთხელ  
ვითომ გვერა ჩემი!

**ქვიშის შტორმი**

როდესაც ქვიშის შტორმებია,  
სულ მხრებით უნდა გაიტანო,  
რადგან არასდროს ტოლდებიან  
კლდე და ქვიშანი, შაითანო.

როდესაც ყელში ცრემლებია,  
თვალისგან უნდა გადმოღვარო,  
თორემ სულს ლოდად ედებინა,  
შენ მოგაგვანან, შაითანო.

განვედ,  
ვერც ჭებში ეტევი და  
ვერც გაპურებენ მონეტები,  
უდაბნოს მშრალი სტეპებიდან  
რძეს მიირთმევენ პოეტები.

თეთრი ფარდების ბაირაღებს  
აფახურებენ ხის კარვები,  
აქ თვითმკვლევლობის იარაღებს  
ყველაზე ნაკლებ ვეტიანებით.

ღრიანკალები რამ დალიოს,  
ღრიანკალები მასებია,  
სისხლისმსმელთ ღმერთმა აპატიოს,  
ჩვენ მოთმინება აგვესებია.

როდესაც ომის შტორმებია  
სულ ბრძოლით უნდა გაიტანო,  
არა,  
არასდროს ტოლდებიან  
მტერი და მცველი, შაითანო!

რადგან მახვილით შემომდგარი  
თავად მახვილით განიგმირა  
და ვინც დაიცვა საკუთარი,  
მარადისობის იქცა გმირად.

ახლა ისეთი დრო მოვიდა,  
ერქვას ჰორმონის მომეტებით,  
განდევნილები ომონისგან —  
ომში მიდიან პოეტები.

**ამირაზი**

როცა უშენობას თეთრი ყვავილები  
მიუსამძიმებენ,  
მიწა ყამირები თალხი პერანგებით  
გამოიშლებიან,  
როგორც ამირები, ისე დასხდებიან  
მთებზე არნივები  
აკი ამბობდი, რომ არნივთა მოფრენა  
კარგის ნიშნებია

აბა სად ხარ ახლა,  
რისი ნიშანია ეს გამოდარება,  
აკი ამბობდი, რო ჯიხვებს კლდეებისას  
ფეხით დაშიკლავდი,  
ახლა მეშინია, ამ ოხერ კლდეებში  
თავად არ გავება,  
გეძებ და ვიხსენებ, თუ როგორ გიყვარდი,  
თუ როგორ მიყვარდი.

მე არა, პირობას ლექსები ტეხავენ,  
შენზე საუბრობენ,  
აქვე სამტეხლოსთან თეთრი  
ნისლი წვება განთიადებისას,  
არ ვიცი, რა ვუყო ან რა მოვუხერხო  
ამ ომებს უღმობელს,  
მშვიდობა,  
მშვიდობა,  
მშვიდობა,  
მშვიდობა  
რით ველარ გვეღირსა.

აკი ამბობდი, რომ მხოლოდ ერთი რამის  
შიში დაგყვებოდა,  
ცრემლი არ გენახა თვალეებზე,  
რომლებიც შენს სულში არიან,  
აკი ამბობდი, რომ  
არასდროს არავის უცქერდი ზემოდან,  
ზეცას რომ შევცქერი და  
მაღალ ქარაფებს, რისი ნიშანია.

ჯერ რომ არ დამეტყო დაღლა, როგორც კალამს,  
რა ვქნა დამარიგე,  
ტუჩები ვარდი და თმები დაფენილი  
ისევ გიშრება,  
შენს გზას შემაყენებს ვიცი უსათუოდ ეს ბედის გამრიგე,  
ნელზე შემორტყმული მძიმე სატევერები ამის ნიშნებია.



ალექსანდრე ნარსია

\*\*\*  
იქნებ  
ვარსკვლავებიც  
ითვლიან  
ზეციდან  
აქ  
მოციმციმე  
ადამიანებს...

\*\*\*  
მჯერა,  
ერთხელაც  
დაბრუნდება  
ქარი  
ატმებთან  
და  
დაუბრუნებს  
შორს  
გაფანტულ  
ლამაზ  
ყვავილებს...

\*\*\*  
მესმოდა  
როგორ  
უყვებოდა  
ნისქვილს  
მდინარე  
წყალდიდობისას  
ჩატეხილი  
ხიდების  
ტკივილს...

\*\*\*  
რაკრაკით  
ჰყვება  
ჩემი  
სოფლის  
პატარა  
ღელე  
ამბავს,  
რომელზეც  
ზღვები  
ლეღვას  
ველარ  
მაღავენ...

\*\*\*  
არ  
ილიმიან  
ბავშვები  
და  
ალარც  
გაზაფხულს  
არ  
შენის  
თითქოს  
ალუბლების  
აყვავილებს...

\*\*\*  
გთხოვ,  
ერთხელ  
მაინც  
აიყვანე  
ხელში,  
ნიაგო,  
ფოთოლი  
ხიდან  
„ობლის  
ცრემლივით“  
ჩამოვარდნილი...

\*\*\*  
ვინ  
იცის,  
როგორ  
ენატრებათ

გაყიდულ  
მინებს  
ხელდაკოჟრილი  
გუთნისდედის  
ტკბილი  
სიმღერა...

\*\*\*  
დაორთქლილ  
ფანჯრებთან  
ზის  
ლამით  
ბავშვი,  
შორს  
ნასულ  
დედის  
მოლოდინს  
ხატავს...

\*\*\*  
მიტოვებულ  
საფლავეზე  
ათას  
სარეველას  
შორის  
ამოსულა  
იასამანი,  
ასე  
ლამაზად  
არცერთ  
ბალში  
არ  
ჰყვავის  
იგი...

\*\*\*  
შენ  
ხოზისწყალთან  
ჩემს  
სიშორეს  
ტიროდი  
ნუხელ,  
ბედნიერების  
ყვავილებმა  
დაინყეს  
ჭკნობა...

\*\*\*  
გლების  
ბიჭს  
ახურავს  
ჭილოფის  
ქუდი,  
ჰგავს  
შარავანდელით  
მოსილ  
ანგელოზს...

\*\*\*  
ღმერთო,  
სიზმარშიც  
ნუ  
ანახებ  
იქ,  
თბილ  
ქვეყნებში,  
გაფრენილ  
მერცხლებს  
მათ  
ნანგრევებად  
ქცეულ  
ბუდეებს...

\*\*\*  
განა  
ყველაფერი  
ლამაზი,

რასაც  
კი  
ხედავთ,  
ბედნიერია?! —  
შემომჩვილა  
სასაფლაოს  
გალავანზე  
ამოსულმა  
ლურჯმა  
ყვავილმა...

\*\*\*  
ნეტავი ისევ  
მოვიდოდეს თბილი ზამთარი,  
კიდე ერთხელ გაკვალავდე თოვლს  
ოდიდან ჭიშკრამდე,  
მორებით ხელში,  
მძიმედ დაიბერტყავდე ფეხებს კარებთან,  
კუდის ქიციანით შინ შემოგყვებს ჩვენი „ბათია“  
და ძველ გაზეთში შეახვიო ნედლი თუთუნი,  
შემდეგ ორივე მიეფიცხოთ გამთბარ კერიას,  
გვერდზე, ნისქვილში ნასაღებად, გედოს საფქვაკი,  
მენისქვილისთვის — შებოლილი შაშხის ნაჭერი,  
უბეში „ზესკვის ჩილაპური“ — ბოთლი არაყი...  
მე ავირბენდე სახლის წინა მხარეს ფერდობზე  
და  
კვლავ ვტკბებოდე  
ჩვენი ბუხრიდან ამოსული კვამლის ყურებით,  
ვითვლიდე ციდან ჩამოშვებულ სოფლის „ჯარგვალებს“  
და შაშხს აფრთხობდეს შორეული თოფის ჭახანი...  
ნეტავი, ისევ მოვიდოდეს თბილი ზამთარი,  
ნეტავი ისევ,  
მამაჩემო...





დასასრული

— რა იყო, ბადრი, რა გეწყინაო, — ცხრაჯერ მაინცა მკითხა, შემატყო, რო ვერ ვიყა ხასიათზე.

გზა გადავჭერი, სიბნელე და სიჩუმე იყო, აქა-იქ მანქანა თუ გაივლიდა. „დვიყო-კების“ რახრახი ისმოდა. ტრასის პირზე სავაჭრო „ბუტკები“ იდგა, პაპიროსი და ტკბილეული იყიდებოდა, ზოგან ნამლები და წვრილმანი რაღაცები. სანთლები ერთ-ერთ ბუტკებში, ზოგან უფრო ჯანიანი სინათლე იყო, მაშინ გაზის ლამპები ახალი შემოსული იყო და ვისაც ისა ჰქონდა, ბიჭი იყო, — ჩაეცინა ბადრიას, — გაზის ლამპა რო გენთო სახლში, ყველა შენ შემოგნატროდა, ეგეთი ცხოვრება იყო... აბა, რა ახალგაზრდობა უნდა გაგვეტარებინა?! ყველაზე მაგარი წლები ლამპის შუქზე და ნათხოვარ ტანისამოსში რო აქვს გავლილი, ხალხს რა ჭკუა უნდა შერჩეს?! იმიტომაც ვართ ეგრე, ნახევრად გიჟები, — ჩაეცინა, — კიდე უკვირო.

გზადაგზა გული მომდიოდა ჩემ თავზე, რუსიკო რამდენ ტკივილებს იტანდა, რამდენ წამებას უძლებდა, მე კიდე... სამი საათი ვერ გავძელი სამშობიაროს ეზოში.

შალვა რაღაცებს ბოდილობდა, მამხნევებდა, მთვრალი კაცი ხო იცი, როგორც არის? მთას გადადგამს და გადმოდგამს და რო გამოფხიზლდება, ამ მთისკენ გახედვისაც ეშინია.

ჩემს სიმამრზე გაჰქონდა და გამოჰქონდა, მაგას შენ დაჩაგვრას არ ვაპატიებ, მე ვიცი, რასაც ვუზამ, თვალში ვეპატარავებით და კარგა არ იცის, ვისთან დაიჭირა საქმეო, ბაქი-ბუქობდა. ის ვიფიქრე, ამ მთვრალმა და გატილებულმა იქ არაფერი იბოდიხლოს, რუსიკოს ხალხს რამე არ აკადროს და ყველაფერი წყალში არ გადამიყაროს-მეთქი. გავაჩერე და ვუთხარი, ზედმეტი არაფერი თქვა, მე და გურამა მოვრიგდებით, სიტყვა არ დაგცდეს, თორემ მაგრა გაგიბრაზდება-მეთქი.

ენყინა, შეფხუკიანდა, მე შენსკენ ვარ და შენ კიდე ეშმაკებისკენაო. უადგილოდ სტვენა დაიწყო. გეგონებოდა, ჩემს ჯიბრზე იქცეოდა.

მისულები არ ვიყათ, ის იყო, რუსიკოს დედისთვის უნდა მეკითხა, რა ხდება, ახალი ამბავი ხო არაფერი გამოუტანიათ სამშობიაროდან-მეთქი და ღმერთო!.. მახარობელმა ქალმა გამოჰყო თავი, ჩემი გვარი გამოაცხადა.

გული ამიჩქარდა, თუმცა აჩქარება არ ერქვა, რაღაცნაირად დახტოდა გული, მუხლები მეკვეთებოდა, ძლივს მივიღე სამშობიაროს კართან. ყველაზე მაგარი ხელობა ამ თეთრხალათიან ქალსა ჰქონდა — მახარობელი. ყველა სიხარულზე დიდი სიხარულის მომნიჭებელი იყო ის ქალი. გეგონება, შალვას სიმთვრალე გადამედო, ნავბარბაცდი.

— მამა გახდით, ბიჭი დაიბადა... მეგონა, რო სიზმარში ვიყავი, ჩემ ცხოვრებაში ასეთი სიამოვნება არ მიგრძნია, სული გამითბა. სულის სითბოც პირველად ვიგრძენი.

„მამა გახდი, მამა გახდი, მამა გახდი...“ — თითქოს ციდან ჩამომძახოდა ჩემი მზარველი ანგელოზი.


— სამახარობლო, სამახარობლო! — მთვრალი შალვას ხმა ჩამესმა.

ამოვიღე ის ჩემი ნახესხი ფული და ხალათის ჯიბეში ჩავუტენე, ესეც ძლივს მოვახერხე, ისე ვიყა დაბნეული, რა გამეკეთებინა, არ ვიცოდი.

— რა უნდა დაარქვა, ბიჭო! — ჩამყვიროდა ტაურის ბიჭი, — ჰა, რა უნდა დაარქვა?

კი მქონდა მოფიქრებული სახელები, უფრო სწორად, მე და რუსიკომ ერთად მოვიფიქრეთ, გოგო თუ დაიბადებოდა, თეკლა უნდა დაგვექმია, თუ ბიჭი გაჩნდებოდა — პაპუნა. არც დედაჩემის სახელს ვარქმევდი და არც მამაჩემის. განა იმიტომ კი არა, რო სიგიჟემდე არ მიყვარდა მშობლები, მინდოდა, რო მოჯადოებული წრე დასრულებულიყო, სულ ერთი და იგივე დამთავრებულიყო და ჩემს სახლში „ახალ“ ადამიანებს ეცხოვრათ, იქნებ რამე უკეთესობისკენ შეცვლილიყო.

რუსიკოს ნათესავებმა მომილოცეს, უფრო სწორად, ჯერ სიღებრმა მომილოცა, პირველი შვილიშვილი იყო და ხო ვატიყობდი, რა დაემართა, ცაში დაფრინავდა სიხარულით. უნდოდა, უფრო გულიანად მოელოცა, გადამხევიდა, ესეთ დროს ყველა



გიორგი სოსიაშვილი  
მამა გავხდი

წყენა და ტკივილი გავიწყდება. სხვანაირად გადაშალა ჩვენი ცხოვრების წიგნი პატარა ანგელოზმა, ჩემმა პატარა კაცმა.

ქმრის შიში მაინც მისწვდა, იმ ბედნიერ წამებშიც გურამამ დააღდა ფეხი... მაგას არა ვჩიოდი. მთავარი ის იყო, რო რუსიკო კარგად იყო, ათასი ცუდი აზრი მოგდის ასეთ დროს კაცს, ხო იცი. მაღლობა უფალსა, — პირველი გადამინერა ბადრიამ.

ეს ჩემი სიმამრი... — თავი გააქნია, — ვის გოგო არ გასთხოვებია. იმის მერე ათასჯერ მაინც მომიბოდიშა, ათასჯერ მაინც მაგრძობინა, რო მიქარული ჰქონდა, სიმართლე გითხრა, მე წყენა არ ჩამიღია გულში. ოღონდ ის ვერ დავივიწყე, რუსიკოს სამშობიაროში წაყვანის წინ ამირანის თანდასწრებით რო შემამკო და შეფურთხებას მიპირებდა. ცვადე, მაგრამ ვერ დავივიწყე, თუმცა არასოდეს გამიხსენებია. ცუდის გახსენებას კარგი არაფერი მოაქვს, — ანდაზასავით გამოუვიდა ბადრიას.

წყენაზე დრო როგორ უნდა დაკარგო. არ მოვიდა, არ მომილოცა სიმამრმა. ველოდებოდი, ან ეხლა ამინეკვს ყურსა, ან ეხლა-მეთქი. შენც არ მომიკვდე!

ტაურის ბიჭი მაგრა იყო გახარებული, ყვიროდა, მღეროდა, ტაშს უკრავდა, სამშობიაროს კარისკაცმა დაუცაცხანა:

— ბაზარი კი არ არი, აქ მშობიარეები არიან.

თუმცა, შალვას რა გააჩუმებდა... ბიჭის მამა გავხდი, ღმერთო, წამში სხვა ადამიანად ვიქეცი, ცოლ-შვილი მყავდა, ცოლ-შვილიანი კაცი ვიყავი, შვილი, შვილი... მინდოდა, რო ჩემი სიხარული და ბედნიერება ყველას გაეგო. ესეთი წამები ერთხელ არის ცხოვრებაში. ასეთ ბედნიერებას მეორედ ვეღარ იგრძნობ. ნუთისოფელს ვეღარ ვაამეორებ. სულ რამდენიმე ასეთი ბედნიერი წამის გამო მოდიხარ ადამიანი ამ ქვეყანაზე, სიცოცხლეს ამ რამდენიმე წამისთვის ხარჯავ, ცხოვრების ჯოჯოხეთს ამ რამდენიმე წამისთვის გადაიხარ. ერთი ხელის თითები თუ დაგჭირდა ასეთი წამების გასახსენებლად, დიდი ბედნიერებაა. შენი სიცოცხლე თითქოს სანჯავად ჭირდება ამ რამდენიმე ბედნიერი წამის ამოძრწინებას.

მინდოდა, მეყვირა, მერბინა, მეკოტრილა, რაღაცა სიგიჟეები ჩამედინა. რუსიკოს კისკისის ხმა ჩამესმოდა.

— დალოცვა უნდა ბიჭსა, დალოცვა, — შემომჩხვლა შალვამ.

ჯიბეში გავხრეტილი შაურიანი ალარ მედო, ერთი ბოთლი შამპანურის ყიდვის ტ...კი არა მქონდა და წელანდელი ალტაცება და სიხარული წამში გაქრა. რაც უნდა მოხდეს ჩემ ნუთისოფელში, როგორც უნდა ბედნიერი ვიყავი, ის ნუთები რო გამახსენდება, ეკლები მერჭობა სულში.

მამა გავხდი და ერთი ბოთლი შამპანურის ფული არა მქონდა... მაშინ მივხვდი, რას ნიშნავს, გაჭირებული რო ხარ... უფულობა ისეთ უმწიკვლავს გაგრძობინებს, გაჩენის დღეს დაიწყევილი.

ვიდექი ეგრე ჩასვრილი ბავშვივით... გავიხედე და შალვას ნათესავის — გოგიას სიძე შემოგრიალდა მანქანით. გოგიასაც კარგა მოჰკიდებოდა სასმელი. გადმოვიდა სიძე-სიმამრი, აპხადეს ბალაჯინკსა და ამოაწყვეს და ამოაწყვეს შამპანურები. რა გამეკეთებინა, არ ვიცოდი. ცას ავეყურები და ცრემლები ჩამომდიოდა.

რუსიკოსებსაც დავეუძახეთ, ფეხები კი უკანა მრჩებოდა, მაგრამ... გოგია და მისი სიძე — პაატა... ეგრე ცოცხლად დავატარებ იმ ბედნიერ ნუთებს... ღმერთის გამოგზავნილები იყვნენ, დავლოცეთ ჩემი პაპუნა. ენკენისთვე იყო, ახალმთვარეობა.

\*\*\*

გამჩენი როგორ ხასიათზეც იქნება, ისე ნავა ჩვენი ცხოვრება. უდაბნოში რო გადახვიდე საცხოვრებლად, თუ უფალი გწყალობს, აქაც წყალი ამოხეიქავს და გამწვანდება გარშემო ყველაფერი. ჩემი საქმეც ეგრე იყო, ტკბილი ოჯახი მქონდა, რაც გვექონდა, საქრად გვერგებოდა, დასაყვედრებელი ლუკმა არ გავცილებოდა, მაგრამ მართო ლუკმის გაღებვა არ არის ცხოვრება. ითხი წლის მერე თეკლაც გავციინდა, იმათი უღურტული იყო ჩემი სიმდიდრე. როგორი დაზაფრული და ცხოვრებაზე გულაყრილიც უნდა იყო, შვილი რო ავაცოცდებოდა მუხლზე და მოგეფადილება, ყველაფერი გავიწყდება.

პაპუნას ცხოვრება... რავი, როგორ გითხრა, — სიქაჩლემეპარული კეფა მოიფხანა ბადრიამ, — ყველა ადამიანი თავისი ბედით იბადება, მეც ეხლა ახალ რამეს ვამბობ... მოსაბეზრებელ ნუთისოფელში ხანდახან უცნაური მზე ამოიწვერება და გაგრძობინებს, რო სიცოცხლეც კარგი არაფერი შეუქმნია გამჩენს. ის ამოწვერილი მზე, უცნაურ შუქს რო შემოიტანს ამ შენ

ბინდიან ყოფაში, შეიძლება ცოლი იყოს, შეიძლება შვილი, შეიძლება უცხოც იყოს ვინმე, გააჩნია, ვის გამოგვიზავნის ის დალოცვილი... ჩემი ცხოვრება პაპუნას დაბადებას უნდა შეეცვალა, ჩვენი გაჭირების წლები უნდა დასრულებულიყო. მეგონა, რო ჩემს მოდგმას სიღარიბე ჰქონდა მისჯილი, მაგრამ ღმერთი ეგრე არა ფიქრობდა. მთავარი, იცი, რა არი? — შემომხედა და კეთილად ჩაელიმა ბადრიას, — ჩვენი ცხოვრება იმ დალოცვილის ფიქრებს დაემთხვეს, თუ ბოლომდე არ დაემთხვევა, ძანაც ნუ ასცდება. იმის ნაფიქრალს აცელილი კაცის ყოფნას კაპიკის ფასიც არა აქვს.

ნამოიზარდა ეს ჩემი ბიჭი. თავიდანვე ეტყობოდა ისე, როგორც მოდიოდა, მამა-ჩემი სულ მეჩხუბებოდა ხოლმე ცხონებული — „საქმეს მიეტანე, ბიჭო, საქმეს მიეტანე, ხელობა ისწავლე, რამის კეთება ისწავლე, თუ არაფრის კეთება არ იცი, მშიერი მოკვდებიო“. ცხოვრებისგან შეშინებულ კაცს სულ შიშილი და გაჭირება ელანდება. ჩვენი მოლანდებაც ეგეთი იყო. ერთი მეზობელი კაცი გყავდა ხოლმე, ვიგენტა, ნაფრონტალი იყო, ტყვეობაში მოხვედრილი, პარიკმახერობით გაეტანა თავი იმ ჯოჯოხეთში, მამაჩემს ერთავად პირზე ეკერა ხოლმე მისი ხელობის ამბავი და ხშირად იმეორებდა — „ვიგენტას რო პარიკმახერობა არა სცოდნოდა, მაგისი ძვლებიც აღარ იქნებოდაო“.

ეს ჩემი ბიჭი პატარაობიდანვე სხვანაირი იყო, ცეცხლი გასდოდა ხელებში, არაფერი ეზარებოდა, სკოლაში ხო კარგა სწავლობდა და ბალ-ვენახებში უმაგისოდ ვერაფერს ვაკეთებდი. სულ პაპუნა მეკერა პირზე — „ბალი, პაპუნა. საქონელი, პაპუნა. გაგზავნა, პაპუნა. გამოგზავნა...“ ერთხელ პაპიროსის მოსანევადა გამოვედი ეზოში, ღამე იყო, ეს შობელძაღლი თუთის ქვეშა ზის და ცას ასცქერის.

— რას აკეთებ-მეთქი. ათი-თორმეტი წლისა იქნებოდა, განა დიდი კი არ იყო. ჯერ არაფერი მითხრა, ცას მიმტერებოდა.

— რა დაგემართა, ხმა ამოიღე-მეთქი. თან ძალი უნვა ფეხებთან და იმას ევერებოდა.

— ბედის ვარსკვლავს ვეძებო.

ცხონებულ ბიძაჩემ ილოს უთქვამს — „ვარსკვლავებით მოჭედო ცაზე თუ შენი ბედის ვარსკვლავი იპოვე, უსათუოდ გამდიდრდებიო“.

გამეცინა. — როგორ მიხვდები, რო შენი ბედის ვარსკვლავია-მეთქი.

— მივხვდებიო, — ჩაილაპარაკა ჩემმა ბიჭმა.

— სიმდიდრე რათ გინდა-მეთქი. შემომხედა.

— მდიდარი რო ხარ, ბევრი რამე შეგიძლია და ყველასთვის საინტერესო ხარ. ღარიბი არავის არაფერში ჭირდება.

იტყობი, რო ერთხელ დაბერებული და გაჯილეული იყო. გული ჩამეწვა. ადამიანი მხოლოდ მაშინ ალწვეს თავს სიღარიბეს და გაჭირებას, როცა ამის სურვილი აქვს.

მთავარი სურვილია, იქიდან იწყება ყველაფერი. დავფიქრდი, ჩემ თავში ჩავყვინთე, გაჭირებისთვის რო თავი დამელნია, ღარიბი რო არ ვყოფილიყავი, ამის ნამდვილი სურვილი მქონდა თუ არა ოდესმე. ამაზე ვფიქრობდი. მე ცაში ბედის ვარსკვლავისთვის არასოდეს დამინყია ძებნა და არც სიღარიბიდან თავის დაღწევისთვის მომიკლავს თავი. უფრო უიღბლობაზე ვწუხუნებ, უფრო იმაზე ვფიქრობდი, რო მთავარი იყო ტკბილი ლუკმა გვექონდა და სიყვარულს ეტრიალა სახლში. რაღაცნაირად ჩემი ბიჭისა „შემშურდა“. თითქოს ეხლა ამეხილა თვალი, რო ყველანაირ ცხოვრებას შენ თავს შენ უსჯი. ცდა ბედის მონახევრეო, ტყუილია კი არ უთქვამთ, მაგრამ ეს ყველაფერი ანდაზაზედა დამრჩა და ცხოვრებაში ვერ გამოვიყენე.

— მამ უნდა გამდიდრდე? — გამეცინა და თავზე ნაწუთათუნე.

ამომხედა და ჩაილაპარაკა:

— უნდა გავმდიდრდე.

— რას მიყიდი რო გამდიდრდები? — ჩამოუფიქრე კვერდით, მამაჩემის გაკეთებულ სკამზე, — ჰა, რას მიყიდი? — ჩავაცივდი.

— ყველაფერს გიყიდი.

— მაინც... — არ მოვეუბნი.

— სახლს ავიშენებ.

— სახლი ხო გვაქვს.



— დიდ სახლს აგიშენებ, სამსართულიანს, აუზი ექნება, ლამაზი განათებები. მაგარ მანქანას გიყიდი...

სიცილი ამივარდა. ჩვენი ჩალისფერი ქოფაკი თითქოს ჩემს სიცილზე გაბრაზდა, უადგილოდ წამოიყვება.

— არა გჯერა? — ნანყენი ხმით მითხრა პაპუნამ.

— როგორ არა მჯერა.

— ნახავ თუ არ ვიქნები მდიდარი კაცი, — თქვა და წამოდგა.

— აბა, შენ იცი, რაც დამპირდი არ გადაიფიქრო მერე.

რო დავენქი, სულ ჩვენს საუბარზე ვფიქრობდი. ვგრძობდი, რომ ახალი ცხოვრების დაწყება დაგვიანებული არასოდეს არი, მთავარია, გინდოდეს.

\*\*\*

— ყველაფრის გაყიდვამ რომ მომიწიოს, ამას უსწავლელს არ დავტოვებო, — რუსიკომ უფრო ივაჟკაცა, რომ პაპუნა სასწავლებლად გამეშვა.

რა უნდა გაგვეყიდა, რა დიდი ქონება და ავლადიდება მე მქონდა, მაგრამ ქალაქში ცხოვრება ვერ იოლი არ იყო, ჩაბარებით კი ჩააბარა, სკოლის მასწავლებლები სულ იმის ქება-დიდებაში იყვნენ, მაგრამ მართო ჩაბარება ხო არ არი. ჭამა გინდა, ბინა გინდა, ხელის შეწყობა გინდა, მე კიდე... მეშინოდა, ჯიბეში რო კაპიკი არ გიჭყავის, რა გინდა, გააკეთო. ჩემი ნათესავეების იმედი ტყუილია მქონდა, მეგონა, რომელიმე მაინც შეიფარებდა, მაგრამ სუფრაზე დაპირებული...

მთავარანგელოზთან ერთი ნაკვეთი მქონდა, ხუთი დიდი კაკალი იდგა, მომიჯნავე მყავდა ცალთვალა ყიშა, გარშემო რაც ნაკვეთები იყო, სულ ყველა მიიერთა, დაადგა თვალი და ყბა ამ ჩემ კაკლებს. დღე ერთი იყო და უთვალავჯერ ამოდიოდა.

— მომიყიდე, მომიყიდე, მომიყიდე.

თავიდან ფეხები გაფუჭიკე, იმ კაკლებიდან სულ ისა ცენცავედა, მე ხეირი არა მქონდა, მაგრამ გასაყიდად მენანებოდა, ბოლოს, პაპუნას ამბავმა გადამანწყვეტინა და... — ჩაეღიმა ბადრიას, — სიმართლე გითხრა, მიფიქრია, რაც ის ნაკვეთი გაყიდე, ჩემი ოჯახი წინ-წინ წავიდა, ცხოვრებაში ბევრი უცნაური რამ ხდება შენ ირგვლივ, რო დაუკვირდე.

მთავარანგელოზის გარშემო საცა ჩვენი ნაკვეთი იყო, ყიშას მინების სიახლოვეს, კაციშვილი ცოცხალი აღარ იყო, ის უბანიც ნახევრად დაცარიელდა, ხატის ადგილი ყოფილა დალოცვილი, თუ რავი... ავდექი და გავეყიდე ჩემი ნაკვეთი, რაც არი არი, ბიჭ უსწავლელს ვერ დავტოვებ-მეთქი.

რამდენიმე ღამე არ მეძინა, სულ მამაჩემი მესიზმრებოდა და მსაყვედურობდა, მაგრამ გადავგორე ეგ ამბავი. სიზმრებით ცხოვრება სიზმრებში გამყოფებს ადამიანს. რა ჩემ ფეხებზე მიხდოდა ის ნაკვეთი, თუ ბიჭი უსწავლელი დამორჩებოდა და სილარიბეში ამოვიჩრხოვდი.

ჩამიკეცა ყიშამ ფული და წავიდა პაპუნა ქალაქში.

ხო ვთქვი, ყველა ადამიანს თავისი ბედი მოჰყვება-მეთქი. არ დაგიშალავ, რაღაც ნაირად მიგებდა გული, რომ პაპუნა სხვანაირ მარიფათს გამოიჩინდა და მაგარი კაცი დადგებოდა... აჰა, — ვეება სამსართულიანი სახლისკენ გაიშვირა თითი ღიმილით ბადრიამ, — ისწავლა, ბევრი ხალხი გაიჩინა, შნო უნდა ყველაფერს, შნო და სურვილი, ვისაც უნდა საქმეს ეძებს, ვისაც არა და მიზეზსაო. მაგარი გამოდგა ეს შობელძალი. ერთი ებრაელი ძმაკაცი ჰყავს, ამკენაზი ებრაელია, აქა ჰყავდა ერთხელ ჩამოყვანილი. იმან მითხრა:

— შენ არ იცი, როგორი მაგარი ბიჭი გყავს, თავში სულ ფულის შოვნის ფორმულები უტრიალებსო.

— რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა ბადრიამ, — ვის დაემგვანა, მიფიქრია, იქნებ მეც მქონდა ფულის შოვნის ნიჭი და არ მოვიხდომე-მეთქი.

საკუთარი თავიდან ჩაძირული გემივით უნდა ამოათრიო საქმის კეთების სურვილი. შვილს საკუთარი თავის აღმოსაჩენად გაძლევს უფალი. თან მიხაროდა, თან ვერ ვიჯერებდი, შენს თავს რო უჩვეულო ამბავი ხდება, სიზმარში გგონია თავი. მეც ვერ ვიყავ. ასე მეგონა, ან ახლა გამომეღვიძება, ან ახლა და ყველაფერი გაქრება-მეთქი, არადა არ მიხდოდა გამომეღვიძება. ის ჩვენი ახუხულავებული სახლი, ცხოვრებულმა მამაჩემმა მეზობლების ჯიბრზე რო დაად-

გა მეორე სართული და თივა გვეყარა, სულ მაფიქრებდა, ვინ იცის, იქნებ მამაჩემივით მეც ვერ მოვესწრო ამ სახლის გამართვას და მეც პირველ სართულიდან გამაღილიწონ-მეთქი.

მოვიდა პაპუნა და... სახლი უნდა დავანგრიო, თავიდან მეგონა, რომ მიამუნობდა, მაგრამ ხო უყურებ ეხლა, მოაყენა ბუღლოზერები და მიხასთან გაასწორა სილატაკები წვალზე-წვალეებით აშენებული სახლი.

\*\*\*

— რასაც მიჩვევი, ყველაფრის დამთავრება ძნელია, ცუდი ცხოვრების დამთავრებაც კი გჭირს. მეც ვერ ვიყავ. იმ სახლის გარეშე თითქოს არსებობა არ შემეძლო. თან გულს ვიკიტრებდი, რა გენანება, წვალეებისა და უბედურების მეტი რა გინახია ამ სახლში, ჩემო თავო-მეთქი. მარჩენალი ძროხის დაკვლას რო ვერ უყურებ, გული რო არ გიშვებს, ვერ ვიყავ. ტრაქტორები მოაყენა პაპუნამ და წავიდე ჩემი არემარედან, იქაურობას გავცილდი.

ჩემი ბიჭის თვალებს რა გამოეპარებოდა, შემატყო, რომ ვერ ვიყავ ჩემ დაყაბზე და უკან გამომეღვიძა.

\*\*\*

— რა გატირებს, კაცო? — ჩაეცინა პაპუნას და ცრემლიან თვალეებში ჩაშხედა.

— როდისა ვტირივარ?! — ისტიბარი არ გავიტყე, — სილარიბე და გაჭირვება როგორ უნდა დამენანოს. გაჭირვებულ კაცს კაი ცხოვრება ეხამუშება... როგორც კაი ცხოვრებას მიჩვეულ კაცს უჭირს გაჭირვებასთან შეგუება.

— ეგ დრო აღარასოდეს დაბრუნდება, — ჩაიციხა პაპუნამ, — გაჭირვებაზე აღარ იფიქრო, გაიგე? კაი ამბებზე იფიქრე, მოლხენაზე, ჩაცმებაზე და დახურვაზე, ტკბილ ცხოვრებაზე, — მოვიდა, ჩამეხუტა, შემომხვია ხელები და ბუმბულივით ამიტაცა, თან ყვიროდა, — ხო გითხარი, უნდა გავმდიდრდე-მეთქი.

სუნთქვა შემეკრა, რომ დამსვა, ძლივს ამოვისუნთხე.

— გასსოვს? — ვთქვი და თვალეებში ცრემლი მომადგა.

— ნუ ტირიხარ-მეთქი.

— პატარა რო იყავი, ღამე რო ცას ასცქეროდი და ბედის ვარსკვლავს დაეძებდი. — ვიპოვე მერე ის ვარსკვლავი, — ჩაიციხა პაპუნამ, — იმის პოვნამ ქნა ყველაფერი.

რო გავხედე მოტიტვლებულ ალაგს, საცა მამაჩემის აშენებული სახლი იდგა, გული ღამის გამისკდა, ცოტაც და ჩავიკეცებოდი. კიდევ კარგი, დედაჩემი და მამაჩემი არ მოესწრნენ ამ ამბავს-მეთქი. რეტი დამესხა. ტრიალი მიხდოდა იყო, თავი სიზმარში მეგონა.

— რა ფერი-ფური მიგდის, ორ თვეში ნახავ, რა იქნება აქა, — ხელი დამკრა პაპუნამ.

რუსიკო თავისებთან გადავიდა და ჩემი გოგოც იქ წაიყვანა, დროებით რო ეცხოვრათ. მე... — შემომხედა ბადრიამ და გაეცი-

ნა, — იქ რა წამიყვანდა, სულ რო ფიანდაზები დაეგოთ. ხო დიდი დრო იყო გასული, ამხელა შვილები გვეყავდა მე და რუსიკოს, მაგრამ... ვერ წამოილიყო გულიდან და სულიდან ჩემი სიამარის ზიზლიანი გამოხედვა და ტუჩების ცმაცუნე, შეფურთხებას რო მიპირებდა. ისე, სიმართლე გითხრა, ძანაც არ უხვეწნიათ ჩემებს, იცოდნენ ჩემი ხასიათი. თუ ჯიუტი ხარ, ბოლომდე ჯიუტი უნდა იყო, — გაიციხა და პაპიროსს მოუკიდა, — ქალაქში წაგიყვანო, ჩემმა ბიჭმა, აბა, ბა, ბა, ბა... რა ქალაქი, რა მინდოდა სოფელ კაცს ქალაქში. ტაურის ბიჭი და ვანცა მომეხმარნენ, ხელათ დადგვიტბოსლების გვერდით ფიცრული.

პაპუნა ახტა და დახტა.

— თავს ნუ მჭრი კაცო, რისთვის მინდა ფული, აქ რო შეხვიდე მთელი სოფელი ჩემზე აღიზლიზდებაო.

ჩემ სიტყვას არ გადავსულვარ, სანამ ახალი სახლი წამოჭმია ჩემმა ბიჭმა, იქ ვცხოვრობდი, დღისით რუსიკო და თეკლაც იქ იყვნენ. ქალაქიდან ჩამოიყვანა მშენებლები, ორ თვეზე ცოტა მეტ ხანს მოუნდნენ, ტრაქტორების გარაჟში მეგონა თავი. ეჰ, — ჩაიციხა ბადრიამ, — ფული მითხარი თორემ...

შევერებდი ჩვენს არემარეზე წამოჭიმულ სამსართულიან სახლს და ვერ ვიჯერებდი, რომ აქ უნდა მეცხოვრა. ოთხივე მხარეს აივანი ჰქონდა, ეზოში დიდი ბასეინი გააკეთეს, გარშემო ვეებერთელა გალავანი შემოავლეს.

ბოსელი გალავანს გარეთ მოექცა.

— აქ რანაირად ვიარო, საქონელს როგორ მივხედო-მეთქი, როდის-როდის გამახსენდა. ჩემი ფიცრული და ბოსელი საცოდავად დარჩა ძველ ნაფუძარზე.

— მამაჩემო, — პაპუნამ ხელი გადამხვია, — კაი ცხოვრებას ხო ნატრობდი ხოლმე, — თქვა და ჩაიციხა, — პაპაჩემს გაატანე ეგ საქონელი.

თურმე იქვე იდგა ჩემი სიმამრი, ჩუმად მოგვიახლოვდა, ვერ დავინახე. გავბრაზდი, ცეცხლი წამეკიდა.

— გავატანო კი არა, გამოვატანო, რაც მაგან... — მივტრიალდი და... თითქოს ვილაცხვია იდგა მის ნაცვლად. მთასავით კაცი იყო გურამა და ისე შეეჭამა სიბერეს, კაი ნაკვერი ცელივით გალეულიყო.

მიყურებდა და ილიმებოდა. რას მოიფიქრებდა, ერთ დროს, როცა რუსიკო სალოგინოდ მივყავა და ზიზლით მიყურებდა, რო ეს ნუთებიც დადგებოდა მის ცხოვრებაში. შემეცოდა, მეც გამელიძა.

\*\*\*

ყველაფერი თავზე გადავვიდოდა, ყველაფერი, უფრო სწორად გადავდის. ცოდო როგორა ვთქვა, ჩემმა ბიჭმა სასწავლებლები გააკეთა, ბევრი ფული იშოვა. დედაჩემზე იტყოდნენ ხოლმე ცხოვრებულზე „უკუღმა რო დათესოს რამე, ნაღმა ამოიყვანსო, სხვანაირი ხელი აქვსო“. პაპუნას ფულის შოვნაში ჰქონდა ეგითი ხელი. სიმდიდრეში, ფუფუნებაში ვიძინებდი და ვიღვიძებდი, შემწვარ-მოხრაკულები არ გვაკლდა, — ჩაეცინა, — დახურვა და დასვენება,



მაგრამ... უნდა ვთქვა, რომ ცხოვრების შიში, გაჭირვების შიში ვერ ამოვიგდე თავიდან. ასე მეგონა, ვილაც უცხო კარზე ვცხოვრობდით და ეს ამოდენა ქონება ჩვენ არ გვეკუთვნოდა.

სიმდიდრე მეხამუშებოდა და მეგონა, რომ ერთ დიდ სიზმარში ვიყავი. მინდოდა, რომ დამეჯერებინა, მინდოდა, რომ თავიდან ამომეგდო ცხოვრების შიში. ეს შიში ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს. ცხოვრება მომინაურებული ნადირივით არი, შეიძლება მთელი ცხოვრება ფეხები გილოკოს, მერე კი, ერთ დღეს წამოუაროს და უცხოსავით შეგჭამოს. ჰუნ, ეს შიში და სიფრთხილე ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს, მაგრამ არა ისე, როგორც მე და ჩემნაირებს.

ვგრძობდი, რომ ამ შიშმა ყველაფრის გემო დამაკარგვინა. მწყურვალე კაცი წყაროს რო გემრიელად დაარაკრავებს, იმ წყლის გემოთი ტკბება, აი, უდაბნოდან გამოსული სოფლის სულ ერთია, მთავარია, წყალი ერქვას და გინდა წყაროსი იყოს და გინდა გუბისა. იმას მხოლოდ სწყურია, მისთვის ყველა წყალს ერთი გემო აქვს. ცხოვრების შიშმა ბედნიერების შეგრძნებაც გამოიქრო. არადა, ყველა კარგი ნუთით უნდა დატკბე.

ძველი, ძირგამოხულები ტუფლები რო გადასაყრელად ვერ გავიშვებდი, მივხვდი, რომ ისევე იქ ვიყავი, ამ ცხოვრებაში ჩარჩენილი. ცხადში პაპუნას აშენებულ სასახლეში ვცხოვრობდი, სიზმარში ისევე მამაჩემისეულ გასამართ სახლში ვიყავ, საცა თივა გვეყარა ხოლმე...

\*\*\*

მეგონა, რომ ცხოვრება გადავვიხვია გამჩენმა და თავიდან გვაყურებინებდა. ნამდინარევივით ვიყურებოდი. ახალი შებინდებული იყო, უკვე აენთოთ შუქები, ჩახახებდა ქალაქი.

— პაპა უნდა გახდე, ჰა, ეხლა გაგძვრება ტყაპა, — ხითხითებდა ტაურის ბიჭი, თუმცა რაღა ბიჭი, ერთი თმა აღარ ჰქონდა შავი, სიბერის ნამქერი ედო.

დალევის მიჰყო ხელი, ვუშლიდი, ვეჩხუბებოდი, ფულითაც ვეხმარებოდი, იცოდა პაპუნამ ჩვენი ძმაკაცობის ამბავი და თქმაც არ უნდოდა ჩემი, შალვასთვის გადადებდა ხოლმე ფულსა, მაგრამ სასმელი... დალევის ამყოლი კაცი რას მოენევა...

— გასსოვს, აქ რო ვიყავი, — თითი გაიშვირა ტაურის ბიჭმა იქ, სადაც ოდესღაც დიდი ვერხვევი იდგა, სამშობიაროს წინ, — როგორ უცხაბთ გაიბრინა დრომ, — თავი გააქნია, — გაგიჟდება კაცი, ასე მგონია, გუშინ იყო-მეთქი. თუმცა რა მგონია... სანყალ გოგასთან რო წავედით... გეგონება, ეკლები მერჭობოდა სულში და მიგნიდან როგორც ძქვევებზე წამოდებულნი ქსოვილი, ისე მეძქვებოდა ყველაფერი.

ვილაც თეთრხალათიანს ელაპარაკებოდა რუსიკო. პაპუნა, ჩემი გოგო, ჩვენი სანათესაო, პაპუნას ძმაკაცები, ტევა არ იყო. დაელმებულივით ვაკვირდებოდი სამშობიაროს კედლებს, ბევრი რამე შეეცვალათ, ბევრი რამე გადაეკეთებინა, მაგრამ მე თითქოს ისევე ისეთს ვხედავდი, როგორც ჩამრჩენოდა. ასე მეგონა, გაიღებოდა კარი და თეთრხალათიანი ქალი პაპუნას დაბადებას მახარებდა, რომელსაც ნასესხ ფულს ჩაუფლებდი ხალათის ჯიბეში. ცარიელი ჯიბეების სიცილე ვიგრძენი.

— რას გაჩუმებულხარ, ბიჯო, — არ მასვენებდა ტაურის ბიჭი.

სამშობიაროს ეზოში ძვირფას-ძვირფას მანქანებს გავხედე, სულ ჩვენების იყო. შეცვლილიყო ცხოვრება, უფრო სწორად ჩვენი ცხოვრება, მაგრამ...

ორი-სამი საათი ვიყურებოდი, ვიდექი ამ ჩემს ტკივილებში გამოკეტილი, მინდოდა, რომ ამ რაღაცებისგან გავთავისუფლებულიყავ, მაგრამ არ შემეძლო.

— შამპანურები რო მოგვიტანა პაატა-მა, გასსოვს? — არ მეშვებოდა შალვა და თვითონ ვერც ხვდებოდა, ისე მიძლიერებდა ტკივილს.

— მასსოვს, მასსოვს... — უაზროდ ვუპასუხე.

ჩოჩქოლი შევნიშნე, რუსიკო ხელს მიქნევდა.

— მოდი აქა, მოდი...

პაპუნამ მისვლა არ დამაცადა, ჩემსკენ გამოექანა, როგორც მამინ, სახლის შენების დროს, ისე ამიტაცა ხელში და პირველად მამინ ვიგრძენი, რომ შვილის კოცნაზე ტკბილი არაფერია ამქვეყნად.

— მამა გავხედი, მამააა! მამრონილებდა და მკოცნიდა.



პაპა

შიშისაგან მეღვიძება. გული საშინლად მიცემს. პირი გამომშრალი მაქვს და მთელი სხეული ცივი ოფლითაა დაცვარული, ცივიბანივით ვკანკალებ. ვგრძნობ, როგორ მეტყუება ყელის ძარღვები, სუნთქვა მეკვრის. ვჯდები საწოლზე და სულს ოდნავ ვითქვამ.

სრულიად შიშველი ვზივარ და შიშით ვუცქერი, როგორ თენდება კიდევ ერთი სევდიანი დღე. ნუხანდელმა ვნებიათა ღამემ ისე მომთენთა, რომ დამეზარა საღამურის ჩაცმა. ჩემი ქმრის, ბათუს, მხურვალე ტანის სიახლოვეს ვგრძნობ და ეს ცოტა მაამაზებს.

ისევ ის საშინელი ზმანება ვნახე, რომელიც თითქმის მთელი თვეა, არ მასვენებს და ძილს მიკრთობს. მესიზმრება ხოლმე, ვითომ ჩემი ორი ვაჟიშვილი უკვე ზრდასრული ყმაწვილკაცები არიან. ჩვენი პატარა ოჯახი შეკრებილია ოქროთი მოვარაყებულ თვალუნებულ ტაძარში, სადაც ჯვარი უნდა დაინეროს ჩემმა უმცროსმა შვილმა. სიამაყით მეგვება გული, როდესაც იღება ეკლესიის უზარმაზარი კარი და შემოდის ნითურთიანი პატარძალი უმანკო სახით.

უნებურად გავიხედე უფროსი ვაჟისაკენ, რომელიც ცივი, ოქროსფრად მზინავ კედელს იყო მიყრდნობილი. ჩემს მუდამ პირმცინარ აკიას ვეღარ ვცნობ, ფერგამკრთალი სახე ერთიანად ჩამოუხშირა რაღაც უსაშველო ვარცხნი. გაბოროტებული თვალებით უყურებს თეთრ სადგაროვლო კაბაში გამონყობილ ახალგაზრდა ქალს. ტურქებს ისე ამოდრავებს თითქოს რაღაცის თქმა სურსო.

— დე, მართლა ამ ქალის ცოლად შერთვა უნდა უბედურ ვაჩის?! ის ხომ კახაა სულითა და ხორციით, — უცრად ამოიხრიალა ჩემს გვერდით მდგარმა აკიამ ეს შემადრწუნებელი სიტყვები, ცოტა ხნის მერე კი თითქოს თავისთვის ჩაიჩურჩულა ძლივს გასაგონი ხმით, — ყველასთან წვება ჩემს გარდა...

მოულოდნელობისაგან ერთიანად გავეკვავი. ენა ნამერთვა, სიტყვას ვერ ვპოულობ, მხოლოდ თვალის გაყოლება მოვასწარი პირგამეხებულ აკიასათვის, რომელიც ცაქებანა თავისი ძმისკენ. გზად წამოავლო ხელი დიდ, ტყვიასავით მძიმე ბრინჯაოს სასანთლეს და მთელი ძალით ჩაარტყა თავში საკურთხეველთან მდგარ ვაჩეს. უცებ წამიერი გაოგნებისაგან გამოვერკვიე და თავზარდაცემული გავექანე თავგახეთქილ შვილისაკენ, რომელსაც უკვე პირში სული აღარ ედგა.

— აკია, წყეული იყავ შენ და მთელი შენი შთამომავლობა. არამი იყოს შენზე დედის რძის ყოველი წვეთი. სიკვდილს დავინყებოდე, მაგრამ ეული და მიუსაფარი ყოფილიყავ, რომ დარჩენილი წლები სულიერ ტანჯვასა და შფოთვაში გაატარო. არვინ იყოს, ვინც წრფელი გულით შეგიყვარებს და ოდნავ მაინც შეგიმსუბუქებს იმ უძიმეს ტვირთს, რომელიც ეს წუთია და იდე მხრებზე...

როგორც კი დავასრულე ამ უსაზარლეს წყევლას, მაშინვე გულგახეთქილს მეღვიძება ხოლმე.

უცებ მომეჩვენა, თითქოს ჩემმა პატარა ვაჩემ წამოიჭრებოდა. საწოლიდან წამოვდექი, სწრაფად მოვისხი ხალათი და მივედი მის პანია ლოგინთან. შეშინებული დავიხარე შვილისაკენ და კარგა ხანს ვაყურადებდი, მაგრამ ბავშვს მშვიდად და უშფოთველად ეძინა. ნითლად უღუოდა ფუნჩულა ლოყები, რომლებზედაც რძის ნაზი, მოტკბო სურნელი ასდიოდა.

ნუთუ მომავალში შესაძლებელია ჩემი ბუთხუზა, ოქროსთიანი ბიჭუნა საკუთარმა ძმამ გამოასალმოს სიცოცხლეს ვიღაც კახა ქალის გამო?! თუმცა სიზმარი ხომ მძინარე გონების ჩვენებაა, რომელსაც არავითარი ზეგავლენა არა აქვს რეალურ ცხოვრებაზე. და თუ ნამდვილად მთვლემარე ტვინის ნაბოძვარია ეს ყოველივე, მაშინ რად ვგრძნობ ასე ძლიერ, რად გავცქერი მერმისს შიშამდგარი თვალებით?! რატომ ვხედავ გამუდმებით მაინცდამაინც ერთსა და იმავე ზმანებას? ვაითუ წინასწარმეტყველური აღმოჩნდეს ის ავბედითი ხილვა და ოდესმე მართლაც სინამდვილედ იქცეს.

უცრად შიშის უზარმაზარი ტალღა მომანყდა და ერთიანად წამლეკა. გული შემეკუმშა. საშინელი სისუსტე ვიგრძენი. მუხლებს ცახცახი გაუდის, ფეხზე ძლივს



გიორგი მაგლობლიშვილი სილვა

ვდგავარ. სადმე თუ არ დავჯექი, უსათუოდ ნავიქვეცი. რამდენიმე ნახიჯი ძლივს გადავდგი, კედელს მივუყვები, მეშინია, არ დავეცე. ბოლოს, როგორც იქნა, მივალნიე ლოგინამდე და თითქმის ცნობამიხილი ჩამოვჯექი. ტყვიასავით დამძიმებული თავი ათროლებულ ხელებში ჩავმალე. დაბინდულ გონებას წამსვე შემოეჯარა ავი ფიქრები.


რა მეშველება, ისე თუ მოხდა ყველაფერი, როგორც ამას ვხედავ იმ ზარდამცემ სიზმარში? არ მინდა, დავიჯერო, რომ აკია როდისმე ხელს აღმართავს მისი ერთადერთი ძმის მოსაკლავად, რომელსაც ახლა ტურქები საყვარლად გაუბუშტია და მშვიდად სძინავს. მაგრამ ვაი, რომ არავინ იცის, ბედისწერა რას ჩაადენინებს ადამიანს.

ბათუ

უცებ რაღაც გაურკვეველმა ხმაურმა გამაღვიძა. ნახევრადმძინარემ ხელი გავწიე იქითკენ, სადაც ჩემი ლამაზი ცოლი მეგულბოდა, მინდოდა, ჩავხუტებოდი, მაგრამ ამაოდ — ლოგინის მეორე ნახევარი ცივი და ცარიელი დამხვდა. თავს ძალა დავატანე და თვალები გავახილე. საწოლის კიდზე ჩამომჯდარი ევა დავინახე. ოდნავ ირწვია ნინ და უკან, თითქოს კალთაში ჩვილი ბავშვი ჰყავს ჩანვენილი და უნანავებს. მის შემხედველს გული დამეწვა, ისე შესაბრალისად იყო აბუზული. უკვე სამი-ოთხი კვირაა, ძალზე ცუდად სძინავს, სულ შფოთავს და ვერ ისვენებს. რომ ვეკითხები, რა მოგდის-მეთქი, სიტყვას ბანზე მიგდებს ან საერთოდ არ მპასუხობს. ექიმთან ხომ არ ნავიყვანო?

ფრთხილად მივჩოჩდი ევასთან და ვკითხე — როგორ ხარ, ძვირფასო? ხომ არაფერი განუხებს? თავს ცუდად გრძნობ?

რამდენიმე წამი ისევ განაგრძობდა რწევას, მაგრამ მერე გაჩერდა, ნელ-ნელა ასწია ჩაქინდრული თავი და ისე უაზროდ შემომხედა, თითქოს უცებ ვერ მიხვდა, ვინ ვიყავი. სახეზე ფერი არ ედო. მშფოთვარე ღამის მისვლაც ვერ მოვასწარი. ხომ არ შევივინე თვალებს.



— ნუ გეშინია, ბათუ, — დალილი ხმით მომიგო ევამ და მკრთალად გამიღიმა, — უბრალოდ ძალზე ცუდ სიზმრებს ვხედავ ღამლამობით.

— არ გინდა, მომიყვებ, რა სიზმრებია ასეთი? თუ მიაბობ, იქნებ უფრო დამშვიდდებ და ასე არ დაიტანჯო, — შინაგანი მღელვარება რომ დამეფარა, ისეთი გულგრილი ტონით ვთქვი ეს სიტყვები, თითქოს მართლაც არ მადარდებდა, მეტყოდა თუ არა.

— მეც მინდა, ყველაფერი გიამბო, მაგრამ ძალიან მეშინია... ასე მგონია, ვინმეს თუ მოვუყვები იმ შემადრწუნებელ ხილვას, მაშინ უსათუოდ ახდებ... — ჩაიჩურჩულა ევამ. წამით სასონარკვეთილი მზერა მიაპყრო ბავშვის საწოლს, მერე ისევ მე მომიბრუნდა და მუდარით დაამატა, — გთხოვ, უბრალოდ მომეხვიე და მეტს ნურაფერს მკითხავ...

პაპა

დილის თერთმეტი საათია, მაგრამ მაინც საშინელ დალილობას ვგრძნობ. ვაჩის ცოტა ხნის წინ ვაჭამე და უმაღ ჩაეძინა. ჩემმა ქმარმა და უფროსმა ვაჭამა მსუბუქად ისაუზმეს და სახლიდან გავიდნენ. აკიას სკოლა ახლოს არის ბათუს სამსახურთან, ამიტომ ყოველდღე მას მიჰყავს სკოლაში, შემდეგ კი მის საყვარელ ლიტერატურის მუზეუმში მიდის სამუშაოდ.

უაზროდ დავბოდიხდი დაულაგებელ ოთახებში და არაფრის გაკეთების თავი არ მაქვს. საშინელებამ, რომელიც აგერ უკვე ერთი თვეა, ყოველდღე მესიზმრება, ლამისაა ჭკუიდან შემშალოს. თითქმის დავიჯერე, რომ ეს უბედურება აუცილებლად მოხდებდა. აკიას ახლავე გავაგზავნიდი სადმე შორს სამუდამოდ, ეს რომ მომეხიდივს, მაგრამ ალბათ ძმები როდისმე მაინც შეხვდებიან ერთმანეთს.

იქნებ რომელიმე შვილი მოვკლა საკუთარი ხელით? ეს გაუგონარი, უსაზარლესი აზრი იმე უცრად მომივიდა თავში, რომ გონს მისვლაც ვერ მოვასწარი. ხომ არ შევიშალე, ასეთი რამ როგორ გავიფიქრე?!

აკია

პატარა მაგიდასთან ვზივარ და ასობის ლამაზად გამოყვანას ვსწავლობ. ერთი თვეა, რაც სკოლაში დავინყე სიარული. ჩემს თითებს ჯერ კიდევ უჭირს კალმისტრის დაჭერა, მაგრამ მაინც გულმოდგინედ ვწერ.

უცებ ვიგრძენი, ვიღაც მიცქერდა. ავნიე თავი და დავინახე კარს მიყრდნობილი დედა, რომელიც არ მაცილებდა შემფოთებულ თვალებს. მისი უცნაური, დაჟინებული მზერის ძალიან შემეშინდა. საშინლად დავიბენი, ვერ მივხვდი, როგორ უნდა მოექცეულიყავი. წერის გაგრძელებას შევეცადე, მაგრამ თითები ვეღარ დავიმორჩილე. უცრად სასტუმრო ოთახიდან მოისმა ვაჩის ტირილი. დედაჩემი შეშინებული გაექანა იქითკენ. მეც მინდოდა, მასთან ერთად გავექცეულიყავი, მაგრამ ფეხის განძრევაც ვერ მოვახერხე. მერე ნელ-ნელა დავმშვიდდი და იმ უჩვეულო გამეშების შეგრძნებაზე გამიარა.

დედა ბოლოსანს ძალზე გულცივად მექცევა, მგონი, აღარ ვუყვარვარ. არადა, ადრე ასე არ იყო, სულ მეფერებოდა და მანებიერებდა, ახლა რა მოუვიდა ნეტავ? ალბათ რაღაც დავაშავე.

ეს კი არა და, დედამ ლამის ვაჩისთან თამაშიც ამიკრძალოს, ყოველნაირად ცდილობს, მასთან მართო არ დამტოვოს. რატომ აკეთებს ამას, ვერ გამოვიგია. იქნებ ჰგონია, რომ რაიმეს დავუშავებ? ჰო, მაგრამ მე ხომ არასოდეს ვაჯავრებ მას.

წერას განვაგრძობ. ძალიან დავილაღე, მთელი სხეული მიჭრუნის დალილობისაგან. ხანდახან გაორებულად ვხედავ ასობებს, თითქოს თვალები ცრემლით მქონდეს საცხე. კალმისტარი მაგიდაზე დავდე და ცოტა ხნით დასასვენებლად მივეყრდენი სკამის მაღალ საზურგეს.

ჩემს პატარა ოთახში მოულოდნელად შემოხობდა ვაჩე, რომელსაც დედაც შემოჰყვა თან. მაგრამ ამჯერად მისი დანახვისას შიში არ მიგრძნია. სახე აღარ ჰქონდა ისეთი ცივი და შიშის მომგვრელი, უფრო კეთილი მოჩვენა, ალერსიანიც კი. ძმა სულ ახლოს მიმოვირთხდა. მაგდის ფეხს აქეთ-იქიდან მოკიდა პანია ხელები, წამოდგა, შემომხედა თავისი დიდი, ლამაზი თვალებით და საყვარლად გამიცინა.

— აკია, შეხე შენს ძმას, როგორ ყოჩაღად დგას. აქამდე არასოდეს შემიმჩნევია, რომ თვითონ დამდგარიყო ფეხზე, — უწინდებური სინაზით თქვა დედაჩემმა, — შენ რას შვრები, ჩემო ბიჭუნავ, გაკვეთილები მოამზადე? მაპატიე, რომ უკანასკნელ ხანს სულ მიტოვებული მყავხარ. ეს დღეები ცუდად ვგრძნობ თავს...

— მასწავლებელმა არა დავალებაც მომცა, ყველაფერი შევასრულე, — ისე ამაღლე დედის თბილმა სიტყვებმა, რომ ძლივს დავძარი ენა პასუხის გასაცემად. იქნებ ავად არის და ამიტომაც ასე უხასიათოდ, გავიფიქრე, — დე, ექიმთან უნდა წახვიდე, ცუდად თუ ხარ.

— ჰო, ორშაბათს აუცილებლად წავალ ექიმთან, ჩემო ჭკვიანო. სულ სამი დღეა დარჩა იქამდე, — მომიგო დედამ და ხელში აიყვანა პანია ვაჩე, — ახლა კი დანეჭი ლოგინში და დაისვენე, დალილი იქნები. ხვალ დილით ადრე უნდა ადგე.

დედაჩემმა მუხლზე წაზად მაკოცა, ძილი ნებისა მისურვა და აუჩქარებლად გავიდა ოთახიდან. სასკოლო ნივთები ჩანთაში ჩავალაგე. წამით ფანჯრისაკენ გამექცა თვალი. უმთვარო, ღრუბლიანმა ღამემ პირქუშად შემომხედა. ახლა მართლა ძალიან გვიანაა, თითქმის თორმეტი საათი სრულდება უკვე. ფანჯარას მოვცილდი და ტანსაცმლის გახდა დავინყე. უცბად ელვამ გაანათა ოთახი და ისე ახლოს დავეცა მეხი, რომ მთელი სახლი შეაზანზარა, კინაღამ გამისკდა შიშით გული. სწრაფად ჩავაქრე შუქი, შევხტი ლოგინში და ნავიფარე თავზე საბანი.

ბათუ

ნახევრად დაბუჭული თვალებით ვუცქერი ევას. ღამის სამი საათი იქნება ალბათ, მაგრამ ვერ ვიძინებ. ოდნავ ჩავთვლემ თუ არა, მაშინვე ისეთი ჭქა-ქუხილი ატყდება, რომ უმალ მაფხიზლებს.

ჩემს ცოლს ღრმად, მაგრამ ძალზე მოუსვენრად სძინავს. სულ შფოთავს, რაღაცას გაუგებრად ნაიბუტბუტებს ზოგჯერ და წამსვე ჩუმდება. მარცხენა მხარი განუწყვეტილად უკრთის. დროდადრო თავს ისე გააქნევს აქეთ-იქით, თითქოს ვიღაცა აწინ-



დეს სილას. ალბათ ისევ იმ კომპარულ სი-  
ზმრებს ხედავს. საბანი გადახდოდა შიშვე-  
ლ მკერდზე, რომელსაც ცოტა ხნის წინ  
ნახად ვეალერსებოდი.

— ნუ გეშინია, ჩემო საყვარელო, ნუ...  
აი, ახლა გაიღვიძებ და ყველაფერი კარგ-  
ად იქნება... გაქრება ის ავი ჩვენებაც... —  
თავადაც არ ვიცი, რას ჩავჩურჩულებ ევას,  
რომელიც ძილში ტირის, გაფითრებული  
ღანვები სულ სველი აქვს.

— კარგია, რომ გამაღვიძე, ბათუ, —  
წამოიღვლილულა ჯერ კიდევ ბურანში მყოფ-  
მა ქალმა.

— ორშაბათს უსათუოდ უნდა ნახვიდე  
ფსიქოლოგთან, როგორც შემპირდი, —  
ვუთხარი შიშისაგან აკანკალებულ ევას და  
მაგრად ჩავიხუტე.

**აპია**

რამდენიმე წუთის წინ გამეღვიძა. ჯერ  
არ გათენებულა. ფანჯრიდან მთვარის მკ-  
რთალი შუქი შემოდის ოთახში. გულაღმა  
ვწევარ ლოგინში და კედლებზე უცნაური  
ფორმის ჩრდილების თამაშს ვუცქერი.

უცბად დავინახე ნელა, უხმაუროდ რო-  
გორ გაიღო კარი. ოთახში შემოვიდა დედა-  
ჩემი, რომელსაც წითელი ღამის პერანგი  
ეცვა და ბალიში ეჭირა ხელში. ფეხაკრეფი-  
თ მიახლოვდებოდა. თავი მოვიმძინარე, არ  
მინდოდა, დედას მღვიძარე ვენახე.

ცხვირზე ოდნავ ვიგრძენი რაღაც რბი-  
ლი საგნის შეხება. შეშინებულმა თვალები  
გავახილე. სხვას ვერაფერს ვხედავ გარდა  
დედი, თეთრი ბალიშისა, რომელიც ჩემს  
სახესთან სულ ახლოს ღრუბელივით ჰკიდ-  
ია ჰაერში. ელდისაგან დავემუწვდი, მივეყი-  
ნე ლოგინს, ველარ ვინძრევი. მერე უცებ  
სადღაც გაქრა ბალიში და გამოჩნდა დედა-  
ჩემის დაზაფრული სახე.

**ჰესა**

ბოტანიკურ ბაღში ვასეირნებ ვაჩეს,  
რომელიც საბავშვო ეტილიდან ცნობისმო-  
ყვარედ იყურება. სახეტილოდ ორი-სამი  
საათი კიდევ მაქვს, ვიდრე ბათუ და აპია  
მივლენ სახლში. რომ შემეძლოს, აღარასო-  
დეს დაავბრუნდებოდი შინ.

აქიას ამ დღით ველარ გაუსწორე თვა-  
ლი. რამ შემალა ჭკუიდან, არ ვიცი. რო-  
გორ შევედი ჩემი შვილის საძინებელ ოთახ-  
ში, ვერ ვიხსენებ. ახლა მხოლოდ ის მაგონ-  
დება, რომ ვიღაცის სახარული ხმა ჩამძა-  
ხოდა ყურში: — მოკალი შენი უფროსი ვა-  
ჟი, მოკალი! — და მეც მის ნებას ღამის  
უსიტყვოდ დავემორჩილე. მაგრამ კიდევ  
კარგი, ბოლო წამს მოვეგე გონს და ბალიში  
გვერდზე მოვისროლე. არასოდეს დამავი-  
წყდება აქიას შიშით სავსე თვალები.

უცებ ჩემი ყურადღება მიიქცია ხის სკა-  
მზე მჯდომმა ხანში შესულმა მამაკაცმა,  
რომელიც სურვილით ატანილ მხერას არ  
აშორებდა ლახტით მოხტუნავე პატარა  
გოგონას. ბავშვმა მოულოდნელად შეწყვი-  
ტა თამაში და იმ მამაკაცთან მიიბრინა...

წამით ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თი-  
თქოს თავში კეტი დამკრეს. ქვეცნობიერის  
ჯურღმულიდან უეცრად გამოაღწია ოცი  
წლის წინ მომხდარმა ამბავმა, რომელიც  
სამუდამოდ დავიწყებული მეგონა.

თვალწინ დამიდგა მშობლების დიდი,  
ორსართულიანი სახლი. პირველ სართუ-  
ლს ვაქირავებდით, რათა მცირედი შემო-  
სავალი მაინც მიგვეღო და თავი როგორმე  
თვიდან თვემდე გაგვეტანა.

ათი წლისა ვიყავი, როდესაც ვიღაც  
დურგალმა ჩვენს სახლში დაიქირავა ოთ-  
ახი. სახელად ჯაბა ერქვა. მიუხედავად იმ-  
ისა, რომ ორმოცდაათ წელზე მეტის არ იქ-  
ნებოდა, ღრმად მოხუცებულს ჰგავდა. სა-  
შინელი შესახედაობისა იყო, სახე სულ ნაწ-  
იბურებით ჰქონდა დაფარული. ამბობდა:  
„მდულარე წყალი გადავისხი ბავშვობაში“.  
ყოველთვის, როცა ჩავდიოდი ეზოში  
სათამაშოდ, ჯაბა თვალმოუშორებლად მი-  
ყურებდა. ასე გრძელდებოდა კვირების მა-  
ნძილზე.

ერთხელ ეზოში კლასობანას ვთამაშო-  
ბდი. უცებ დავინახე ჯაბა, რომელიც სახე-  
ლოსნოს ღია ფანჯარასთან იჯდა და თვა-  
ლს არ მაცილებდა. თვითონაც არ ვიცი,  
რატომ გავნიე მისკენ.

სახელოსნოში შევედი, ოთახში თამბა-  
ქოს მოიხფრო კვამლი იდგა. ნელა მივდი-  
ოდი ჯაბასკენ და კოჭებამდე მეფლობო-  
და ნახერხში ფეხი. როდესაც მივუახლოვ-  
დი, უცნაური ღიმილი გაუკრთა ტუჩის კუ-  
თხეებში და ხელი ფრთხილად შემახო სახ-  
ეზე. დურგლის უხეში თითები ისე სწავლო-



ბდენ ჩემს ყოველ ნაკვთს, თითქოს მათი  
პატრონი ბრმა ყოფილიყო. მერე მიბრუნ-  
და იქვე მდგარი მაგილისაკენ, აიღო ფანქა-  
რი და დაიწყო ხატვა.

მე ცნობისმოყვარეობით მელოდა გუ-  
ლი, მინდოდა, გამეგო, რას ხატავდა, მაგრ-  
ამ ისე იყო დახრილი მაგიდაზე, რომ მისი  
ხელის სწრაფ მოძრაობას ვხედავდი მხოლო-  
დ. რამდენიმე წუთის შემდეგ გამოჩინო-  
და გაყვითლებული ფურცელი, რომლიდა-  
ნაც შემოძვქროდა ჩემი შავ-თეთრი ორე-  
ული.

— მოგნონს?  
— ჰო, ძალიან... — დაბნეულმა მიუგე  
და თან თვალს ვერ ვაშორებდი გასაოცარი  
სიზუსტით შესრულებულ ჩემს გრაფიკულ  
პორტრეტს.

— თუ გინდა, ხვალაც მოდი და კიდევ  
დაგხატავ, ოღონდ ერთი უცნაურობა მჭი-  
რს, — ჩურჩულით თქვა დურგალმა, — მე  
არაფრის დახატვა არ შემიძლია ისე, თუ  
ჯერ ხელით კარგად არ შევიგრძენი ის, რა-  
საც ვხატავ...

იმ დღის შემდეგ ხშირად ვსტუმრობდი  
ჯაბას სახელოსნოს. თავიდან საკმაოდ მო-  
კრძალებით მეცქეროდა, მაგრამ თანდათა-  
ნობით გამიშინაურდა და სულ უფრო და  
უფრო თამამ პოზებში მხატავდა.

ვგრძნობდი, რომ რაღაც ძალზე ცუდი  
ხდებოდა ჩემს თავს, მაგრამ ძალა არ მყოფ-  
ნიდა, დურგლისთვის უარი მეთქვა და იქ  
საერთოდ აღარ შემედეგა ფეხი. ერთ დღეს  
სახელოსნოში როდესაც შევედი, სრული-  
ად მიშველი ჯაბა დამხვდა და მეც თომთო-  
ხვა, გამეხანდა ყველაფერი. ისეთი თავზარ-  
დაცემული გამოვვარდი იქიდან, რომ გონს  
კარგა ხანს ვერ მოვეგე.

ჯაბამ იმავე საღამოს აკრიფა მთელი  
თავისი გულა-ნაბადი და მეტად აღარასო-  
დეს გამორჩენილა. ეტყობა, შეეშინდა, რომ  
მშობლებისთვის არ მომეყოლა ყველაფე-  
რი. ამ ამბის შემდეგ დამჩემდა შიშები და  
კომპარული სიზმრები, რომლებიც თითქმ-  
ის ერთი წლის მანძილზე მანამებდა.

**აპია**

სკოლიდან მამამ მომიყვანა სახლში  
ორი საათის წინ, მერე კი მეგობრის დაბა-  
დების დღეზე წავიდა. ამ საღამოს არ მაქვს  
მოსამზადებელი გაკვეთილები, რადგან  
ხვალ შაბათია, თუმცა დიდად ესეც არ მიხა-  
რია და მოწყენილი ვაგორებ ახლა ბურთს  
ეზოში.

დედაჩემის შეშინებული სახე სულ თვა-  
ლწინ მიდგას, ვერ ვივინყებ ღამით მომხდ-  
არ ამბავს. როდესაც დედამ შეამჩნია, რომ  
მეღვიძა, ასწია სახნის კიდე და შემომიწვა  
ლოგინში. უხმოდ მომეხვია, შუბლზე ვიგ-  
რძენი მისი ცრემლით დასველებული სახ-  
ის შეხება. მალე ჩამეძინა და დამეხიზმრა  
ვითომ გზაჯვარედინზე მარტო ვიდექი,  
აქეთ-იქით ვიყურებოდი, საით წავსული-  
ყავი, არ ვიცოდი. ირგვლივ ჩამოქცეული  
ნაგებობები იყო. ერთგან ნანგრევებადქ-  
ცეული უზარმაზარი შენობა მთავრით  
აღმართულიყო, რომლის წვერზე სანოლი  
იდგა. ძლივძლივობთ ავძქერი იმ მრავალ-

სართულიანი სახლის სახურავზე და დავინ-  
ახე ჭუჭყისაგან მთლად გამავეზულ ლოგ-  
ინში მხოლოდარე შიშველი ქალი, რომელიც  
დედაჩემს ძალიან ჰგავდა. თვალებშილუ-  
ლულ ქალს ჩახუტებული ჰყავდა ვიღაც  
ჩემთვის უცნობი მამაკაცი. უეცრად სანო-  
ლის ქვეშიდან კივილით გამოძვრა ორი-  
სამი წლის ბიჭი, მაგრამ წამოდგომისთან-  
ავე ისე მოწყვეტილი წაიქცა, თითქოს ფეხ-  
ქვეშ მინა გამოსცლოდა. ბავშვი დაგორდა  
ჩამონგრეულ კედელზე და კლდის ქიმივი-  
თ გამოშვერილ ქვაზე დაეწარცხა. ხმაუ-  
რზე სანოლიდან წამოვარდა შეშინებული  
ქალი და ნანგრევებს მოავლო გაოგნებუ-  
ლი მზერა. ქვემოთ ჩაიხედა, მნიფე ბრო-  
ნეულივით ორად გახლეჩილი პატარა თავი  
შეამჩნია. უცებ მე დამინახა, გაავებული  
მომვარდა და ყელში წამიჭირა ხელი, ჩემი  
დახრჩობა სურდა, მაგრამ იმ უცნობმა კა-  
ცმა დროზე მომიხსრო, მიხსნა მისი მარწუ-  
ხებისაგან...

— ბიჭუნა, შენ გაზრდას, ერთი ნაჭერი  
პური მომე. მთელი დღეა, არაფერი მიჭა-  
მია, — უსიამოვნო ფიქრები გამიფანტა ამ  
სიტყვებმა, რომლებიც ჭიშკართან უეცრ-  
ად ასვეტილმა მოხუცმა მათხოვარმა წარ-  
მოთქვა.

ბერიკაცმა თავისი გარეგნობით ძალი-  
ან შემაშინა; სახე ერთიანად დაუქსელავს  
წვრილ-წვრილ ნაიარევებს, მხრებში საშ-  
ინლად მოხრილია, დაკონკილი ტანსაცმე-  
ლი ძლივს უფარავს გაძვალტყავებულ სხ-  
ეულს, მარჯვენა ხელზე სამი თითი არ აქვს.

— ახლავე მოიტანე პურსაც და ყველ-  
საც, — ვუთხარი მოხუცს და ის იყო, უნდა  
გავცეულიყავი სახლისაკენ, რომ ამ დრ-  
ოს დედაჩემი გამოვიდა ეზოში და თოკზე  
გაფენილი სარეცხის ჩამოსხნა დაიწყო. მა-  
გრამ როდესაც შენიშნა ჭიშკართან მდგარი  
მათხოვარი, გაფითრდა, სწრაფი ნაბიჯით  
მომიახლოვდა, მომიკიდა ხელი და მის ზუ-  
რგს უკან დამშალა.

— ევა, შენს კარგ მეგობარს არ შეიპა-  
ტიყებ შინ? — ჰკითხა ბერიკაცმა.

— მობრძანდით! — მორჩილად მიუგო  
დედაჩემმა.

ორივენი სახლისკენ დაიძრნენ და მეც  
თან მივეყვი, მაგრამ უცებ მომესმა ჩემი  
მეგობრის, ბაჩანას, ხმა — წამოიღე ბურთი  
და გამოდი, ფეხბურთი ვითამაშოთ.

მაშინვე დაავლე ბურთს ხელი და გავ-  
ვარდი ეზოდან. ბიჭები შევთანხმდით —  
ვინც ათ გოლს გაიტანდა მონინალმდეგ-  
ის კარში, ის იქნებოდა გამარჯვებული. ორ  
გუნდად დავიყავით, თითოეულში სამ-სამი  
ბიჭი იყო, მე ერთ-ერთი გუნდის მეკარეო-  
ბა მერგო, რაც კარგად მეხერხებოდა და  
მეტოქის ყოველ ორ-სამ შემოტევაზე მხო-  
ლოდ თითო ბურთს ვუშვებდი კარში.

ბაჩანამ ეს-ესა კიდევ ერთი გოლი გა-  
იტანა და ანგარიში გახდა ცხრით რვა ჩე-  
ენს სასარგებლოდ. გამარჯვებამდე ერთა-  
დერთი ბურთის შეგდება დაგვრჩა, წამ-  
იერად გავიფიქრე მე და სიხარულისაგან  
ხტუნვას მოვეყვი, მაგრამ ჯერ ეს შეტევა  
უნდა მოვიგეოთ.

თორნიკემ ერთმანეთის მოყოლებით

მოატყუა ჯარჯი და ბაჩანა ულამაზესი  
ფინტებით და ჩემს პირისპირ აღმოჩნდა.  
ფეხი დაკრა ბურთს, რისი მოგერიებაც მე-  
შტებით მოვახერხე, მაგრამ ისე ძლიერად  
იყო დარტყმული, რომ წონასწორობა და-  
კვარგე, ასფალტზე დავეცი და მარცხენა  
მუხლი მთლიანად გადავიტყავე.

— უჰ, ეს რა მოგსვლია! ახლავე წადი  
სახლში. ასეთი ფეხით ვერ შეძლებ მეკარე-  
ობას, — მეუბნება ბაჩანა და თან წამოდ-  
გომში მესმარება. — ცოტა ხნით გვათხო-  
ვე ბურთი და როცა მოვრჩებით თამაშს,  
დაგიბრუნებო.

მე უსიტყვოდ დავუქნიე თავი და კოჭლ-  
ობით შევედი ეზოში. როდესაც მივუახ-  
ლოვდი სამზარეულოს ღია ფანჯარას,  
ქარმა დაუბერა და ფარდები ჰაერში ააფ-  
რიალა. წამით მოვკარი თვალი შიშველ  
ქალსა და კაცს, რომლებიც ერთმანეთს  
ჩახვეოდნენ. ამ დროს ჩემი ძმის კივილის  
ხმა გაისმა. დედაჩემი შეკრთა, აქეთ-იქით  
დაბნეულად მიმოიხედა, თითქოს ახლად  
გამოიღვიძა ტკბილი სიზმრისგან. მამაკა-  
ცი ხელისკვრით მოიშორა, სწრაფად გა-  
დაიცვა კაბა და გავარდა ოთახიდან.

**ჰესა**

გულგახეთილი შევრბივარ საძინებელ  
ოთახში, სადაც მძინარე ვაჩე მყავს დატო-  
ვებული. აჩხვალეულ ბავშვს ვიყვან ხელ-  
ში და ვუნანავებ, მაგრამ ის მაინც არ ჩერ-  
დება. იქნებ შია, ვფიქრობ მე და ამიტომ  
ვერ ვაჩუშებ. მაშინვე ვაძლევ ძუძუს. ვაჩე  
უმაღლესად დახარბდა და ხარბად იწყებს წოვას.

რა ვუთხრა ბათუს? როგორ ჩაგხედო  
თვალეებში? მე არასოდეს მილაღატია ჩემი  
ქმრისთვის. მაშინაც კი, როდესაც ჯაბა მე-  
ფერებოდა, ისეთი გრძობა მქონდა, თით-  
ქოს ვიღაც სხვას ეალერსებოდა და არა —  
მე. ქალი, რომელიც მას ჰყავდა თავის მკ-  
ლავებში მოქცეული, მე არ ყოფილივარ,  
იგი ჩემი ორეული იყო. ყველაფერი მაინც  
აკიას ბრალია, ის რომ არ გასულიყო დღეს  
გარეთ, არაფერი მოხდებოდა.

უცებ ისევ წამოიტრია ვაჩემ, უფრო  
ღრმად ვუღებ ძუძუს შოშიასავით დაღებ-  
ულ პირში და მაშინვე ჩუმდება.

თუ ვეცხვი ამ უნებური ღალატის შესა-  
ხებ ქმარს, ის ვერ გამიგებს და უსათუოდ  
მიმატოვებს. იქნებ ჯობდეს, რომ საერთოდ  
არაფერი ვთქვა. არა, არ შემიძლია დუმი-  
ლი, ამაღალ ყველაფერს მოვეყვები ბათუს,  
მერე კი მოხდეს, რაც მოხდება...

ვაჩეს, მგონი, რაღაც მოუვიდა, აღარ  
სუნთქავს. ოჰ, ღმერთო, ძუძუთი ხომ არ  
გავვუღე? არა, მე არ მომიკლავს, აკიამ მო-  
კლა, მე — არა.

**აპია**

მთელი ეს ხანი გაოგნებული ვდგავარ  
და ვფიქრობ, ხომ არ მომეჩვენა ყველაფე-  
რი. სურვილი მიჩნდება, რომ კიდევ ერთხ-  
ელ შევიხედო ოთახში. ფეხისწვერებზე ვი-  
წევი, ოდნავ ვწევ ფარდას და ვიჭვრიტები  
ნახევრად ჩაბნელებულ სამზარეულოში,  
მაგრამ იქ უკვე აღარავინაა.

ფანჯარას ვშორდები და სახლის კარს  
მივაშურე. უცებ ვხედავ, მათხოვარი ნელი  
ნაბიჯით გამოდის ეზოში. სუნთქვაშეკრუ-  
ლი ვეკერი კედელს, არ მინდა, დამინახოს,  
მაგრამ ის ისე მივლის გვერდს, რომ ვერც  
კი მაშინვე.

ფეხაკრეფით შევედივარ სახლში, სრული  
სიჩუმეა, მხოლოდ აბეზარი ბუზების ბზუ-  
ილი ისმის. ვეძახი დედას, მაგრამ არავინ  
მცემს პასუხს. გავიარე შემოსასვლელი და  
სასტუმრო ოთახები და მშობლების საძი-  
ნებლის ღია კარის წინ ვჩერდები.

დედაჩემი თავდახრილი ზის ლოგინზე  
და ხელში უჭირავს ვაჩე, რომელიც საერთ-  
ოდ არ ინძრევა, ფართოდ გახელილ თვა-  
ლებსაც არ ახამხამებს. რუხი ცვილისფერი  
გადაკრავს სახეზე. საზარლად დაფრენი-  
ლი პირი სანახევრად რძით აქვს სავსე.

დედა უეცრად ზემოთ სწევს თავს და  
მეუბნება — ჩემი პატარა ჩიტი მოკვდა. აწი  
ველარასოდეს გაიზრდება და ველარ იფრე-  
ნს ცაში ლაღად.

— ჩიტი მოკვდა?! ჰო, მაგრამ, დე, აქ  
ხომ არანაირი ჩიტი არ არის. შენ ახლა ხე-  
ლში გიჭირავს ჩემი ძმა. ვაჩე მოკვდა?! —  
შეშინებულმა ვკითხე დედაჩემს.

— არა, ეს ჩემი პანია ჩიტუნიაა, რომე-  
ლიც შენ მოკალი, მე — არა. მარად წყეული  
იქნები ამ მკვლელობის გამო, — თქვა დე-  
დამ და ისევ დადუმდა.

მე შიშისაგან კართან ჩავიკეცი და ტი-  
რილი დავინყე.





მაჰმუდ დარვინი

დაივინყები...

დაივინყები, ისე, თითქოს, არც კი ყოფილხარ... ისე, როგორც ჩიტის სიკვდილი, ისე, როგორც მიტოვებული ეკლესია, დაივინყები... როგორც გამვლელის სიყვარული, ვარდი ქარში, ვარდი თოვლში დაივინყები...

მე გზას ვადგავარ და ისიც, ვისი ნატერფალებიც წინ უსწრებენ ჩემს ნაფეხურებს, ვისი ხილვებიც ჩემს ხილვებზე დღეგრძელებია, ის, ვინც სიტყვები, თავისი ზნის და ბუნებებისაებრ, მიმოაბნია, რომ მონათხრობში გადაეცურა ანდა აენტო იმისათვის, ვინც შემდგომ მოვა, სამიჯნურო სიმღერად თუ ზარის წკრიალად...

დაივინყები... ისე, თითქოს არც კი ყოფილხარ არც პიროვნება და არც ტექსტი... დაივინყები...

მე მივდივარ სალი ჭკუის ხელმძღვანელობით, თითქოს მოთხრობას ვაძლევდე ავტობიოგრაფიას და მიმიძღვიან ფრაზები და მე მათ ვუძღვები, მათი ფორმა ვარ, ისინი კი — თავისუფალი განსხეულება... მაგრამ თქმულია, რასაც კი ვიტყვი: მე წინ მისწრებს განვლილი ხვალი.

ექოს მეფე ვარ — აშეების გარდა, არსად არ მიდგას ტახტი...

გზა კი გზა არის. ვგონებ, უწინდელთ გადაავინყდათ, აღწერათ რაღაც, რაც მასში ველურ გრძნობას გააღვიძებდა...

დაივინყები... ისე, თითქოს, არც კი ყოფილხარ არც ამბავი... და არცა ნაშთი დაივინყები...

მეც გზისა ვარ და ისიც, ვისი ნატერფალებიც ჩემს ნაკვალევს გამოუყვება და სამომავლოდ გამოწყვება ჩემს ზმანებამდე, ვინც სახლის წინ იტყვის ლექსებს გადასახლების ბაღთა სახოტბოდ, თავისუფალი დამსხვრეული ჩემი ხვალისგან, ჩემი უხილავისა თუ ხილულ ქვეყნისგან, თავისუფალი გუშინდელის მონობისაგან და ჩემი დედამინიერი სამოთხისაგან, ჩემი ნართაულებიდან, ჩემი ენისგან...

და ვამონებ, რომ თავისუფალი ვარ და ცოცხალი, მაშინ, როცა მივიწყებენ... როს ვივინყები...

ქარავენთა მტვერში

ჩვენ დაივინყებისათვის მოვედით ხოტბათა აღსავლენად ღვთაებისათვის, რომელიც კარვიდან გამოგვექცა და დაგვემალა, გარეთ რომ გამოვედით, რათა მისთვის ნანადირევი შეგვეგროვებინა.

\* ნუ გეშინიათ, მაღალ მთათა მკვიდრნო, აქ ორიოდ ღამეზე დიდხანს არ დავრჩებით! თანა გვაქვს წყალი, პური და ჰაერი, თან გვაქვს ჩვენი ხმები, თან გვაქვს ის, რაც ჰაერს ორ ნაწილად აპობს! ეჰეჰე, მკვიდრნო მთებისაო!

\* ჩვენ არც შიგ შევსულვართ და არც გარეთ გამოვსულვართ. მაგრამ ძალას საგნებისას საგნებში გადავისვრით. განა ბევრჯერ მოგვედით, რომ ჩვენი სიკვდილისა გეშინოდეთ? განა იმიტომ დავხატეთ ნადირის სურათი გამოქვაბულში, რომ მას შევჩვეოდით? მაშ, დაიცავით თქვენი ხეები ღრუბლისაგან, რომელიც ქარავნის მიღმიდან ნამოფრინდა. ჩვენ არც შევსულვართ და არცა გამოვსულვართ, ბინადარნო გამოქვაბულისა!

\* ჩვენ ხომ ჩვენს ზღაპრულ წინაპრებს არა ვგავართ, ჩვენ ვართ დაივინყებისათვის. ბევრი ვებრძოლეთ თქვენს ძრწოლას ჩვენს ძრწოლამი.

განაგრძეთ, ამ დამსხვრეული სანაპიროს მკვიდრნო, მობოდიშების ომი მცენარეებთან, რომლებიც ტანის სიმალეებში აგვიყვავდნენ, მაშინ, როცა თქვენ შორის ჩავიარეთ. განაგრძეთ თქვენი მღვიძარება ან თქვენი ქალწულები გენერლებს მიათხოვეთ. აჰა, ისინი მესამე სქესს შობენ კარნავალისათვის.

\* ჩვენ ვართ დაივინყებისთვის. აქ დიდხანს არ დავრჩებით. დოლს არ დავცემთ. არ შეგანუხებთ. ჩვენს ოცნებებს ვერ გაიგონებთ. ძილს არ გავაჭრებთ თქვენს სოფელში. ყვავილსაც კი არ მოვწყვეთ თქვენს ბაღნარში. არ ვილოცებთ თქვენთან ერთად. არ შევაშფოთებთ უფალს, რომელმაც თქვენ აგირჩიათ ხალხად, ხატად თვისად. სისხლის ერთ წვეთსაც კი არ დავატოვებთ მაგ თქვენს მოედნებზე. ჩვენ მანამდე წავალთ, სანამ თქვენ გამოიღვიძებდეთ, სანამ აქ ხოსრო ან სხვა ვინმე მოვიდოდეს.

\* ჩვენი ნუ გეშინიათ, ამ მინდვრის ბინადარნო, ჩვენ არაფერს ვიგალობებთ, თქვენში ხელახლა აღარ აღვადგენთ წინასწარმეტყველს. აი, თქვენი კერპები და უზორვეთ, როგორც გსურდეთ! ჭამეთ ფინიკი! გადაიღეთ და მიირთვით ჩვენი სახელები! ჩვენ იმისთვის არ მოვდივართ, რომ დავრჩეთ! ჩვენ იმისთვის არ მივალთ, რომ დავბრუნდეთ! ქარმა გადმოგვაგდო შეცდომით თქვენს უბანში და, დაე, ის შეინირეთ მსხვერპლად უანგაიანი მახვილებით და დაიცავით თქვენი ცოლები ჩვენს სხეულებში ჩაბუდებული ჩიტის, ფენიქსისგან. და დაიცავით ქვიშა ბალახისგან, რომელიც შეცდომით გაცვივით ჩვენი ფრაზებიდან. და დაიცავით თქვენი პალმის ხე ჩვენი მფრინავი ჩრდილისაგან. დაგვივინყეთ და იძინეთ მოსვენებით.

\* ჩვენ ვართ დაივინყებისთვის. მოვედით მსხვერპლთა შესანიშნად ღვთაებისათვის, რომელიც კარვიდან გამოგვექცა და დაგვემალა, როცა ჩვენ მისთვის ცეცხლის ასანთებად გარეთ გამოვედით. ჩვენ ვართ დაივინყებისათვის. თუ მდინარესთან მივალთ, წავიღებთ მას, როგორც ხელს სიმღერისთვის. თუ მინდორთან მივალთ, დავიპყრობთ მას სივრცედ სიმღერისთვის. ჩვენ ვართ ყველა სახე, რომელიც კი კლდეში იკვეთება! ჩვენ ვართ ყველა სტივრი, რომელსაც თავისი მდებრი ვერ უპოვია, ჩვენ ვართ ყველა სიზმარი, რომელსაც თავისი პირველი დამსიზმრებელი ვერ უნახავს. ჩვენ ვართ დაივინყების რესპუბლიკა. არც შიგნით შევსულვართ და არც გარეთ გამოვსულვართ. ჩვენ ვართ... ჩვენ ვართ... დაივინყებისათვის.

მაგრამ მგზავრობა...

„ალარაფერი აღმიტაცებს!“ — ამბობს მგზავრი ავტობუსში, — „არც რადიო, აღარც დილის გაზეთები და აღარც ციხე-სიმაგრეები გორაკებზე, მინდა, ვიტყვი!“ ეუბნება მძღოლი: „სადგურამდე მისვლას დაელოდე და იტირე მარტო, რამდენიც შეგეძლება!“ ამბობს ქალბატონი: „მეც ასევე. მეც ალარაფერი აღმიტაცებს, ჩემი ვაჟი ჩემს სამარესთან მივიყვანე. ალტაცებული დარჩა, დაეძინა და არც გამოემშვიდობა.“

ამბობს უნივერსიტეტელი: „და აღარც მე არაფერი აღარ აღმიტაცებს. შევისწავლე არქეოლოგია, მაგრამ ისე, რომ მეობა ქვებში ვერ აღმოვაჩინე. განა მე მე ვარ ჭეშმარიტად?“ და ამბობს ჯარისკაცი: „მეც ასევე. მეც ალარაფერი აღმიტაცებს. მუდმივად რაღაც არდილს ვიმწყვდევე ალყაში, რომელმაც თავის ალყაში თვითონ მომიწყვდია“. ამბობს გალიზიანებული მძღოლი: „აი, აჰა! მოვედით ჩვენს ბოლო სადგურთანაც! ჩასვლისთვის მოემზადეთ!“ და უყვირიან:



„სადგურის იქით გვინდა!  
გაიარე!“  
მე რაც შემეხება, ვამბობ:  
„მეც,  
მათ მსგავსად,  
უკვე აღარაფერი აღმიტაცებს,  
მაგრამ მგზავრობამ ქანცი გამაცალა  
და აქ ჩამომსვი!“

**ესაა მთელი ჩემი შიშველობა**

განვჩხრიკე ჩემი სული და შეკითხვამ უკან მიმბრუნა,  
არაფერს მივყავარ არაფერთან,  
სივრცე ფარდასავით ეშვება ჩემზე  
სიმძიმედ და შეუმჩნევლად ძვრება ვადა  
მიჯნური ნემსის ყუნწში.

განვჩხრიკე ჩემი სული: მშვიდობა მათ,  
ვინც მე მჭმუნვარედ მიყვარდა.  
მშვიდობა იმათ, რომელთაც ჩემი ჭრილობა აანთეს,  
ჰაერში სიყვარულად ...  
და სად არის სული იმას შორის,  
რაც თავს ესხმის ჩემს სულს და რაც  
მარმარილოდ აღმართავს მას მტერისათვის...

ესაა მთელი ჩემი შემოდგომა.  
მოოქროვილ ხეზე უფრო მაღლა,  
საით მივდივარ, როდესაც მივდივარ?  
ჩემი ქალბატონის მკერდში ვრცელი ადგილია  
ორი ლექსისათვის  
და ვარსკვლავის სიკვდილისთვის.  
ქუჩამ ყველა ჩემ გარდა ცის მხარეს წაიყვანა,  
მე კი სად მივდივარ, როდესაც მივდივარ?  
ქუჩამ ყველა ისინი ჩაყარა მატყუარა სითეთრეში  
დასაწყისსა და დასასრულს შორის.  
დედაჩემი ვერცხლის ანდა ბრინჯაოს სინზე  
დილას გამიმზადებს.  
არავინ არის დედაჩემში, გარდა დედაჩემისა,  
იქვე რომ მელოდება.

და აქ არის ხელიც, რომელიც  
ჩემს დღეზე ძალადობს და  
იპარავს იმას, რაც მე გავამზადე სიტყვათაგან.  
ჩამოხმა სიტყვები და გამიფრინდა მტრედების სიმღერა.  
და ჩაეძინა იმასაც, ვინც მოვამზადე  
ჩემი სიმღერის მოსასმენად.

და ჩაეძინა ძილსაც... ჩაეძინა.  
და არაფერია ახალი საგალობელთან და  
არც რჩევები არ არის მსხვერპლთათვის,  
არც დასაწყისია დასასრულისათვის და  
არც დასასრულია დასაწყისისათვის.  
სულო, ამაღლდი ზემოთა და ზემოთ!  
ხეო, გაგიგონე  
ჩემი დამსხვრეული მისალმება,  
როგორც ჩემი პირველი აღმები.

და ხეო, ო, ხეო, იბრწყინე,  
რათა დაგინახო ნაცრის გარიჟრაჟში.  
და ვეძებ ჩემი სული და მიმბრუნა შეკითხვამ  
ქვეყნისაკენ, რომელსაც ქვეყანა არ გააჩნდა.  
ქვეყნისკენ ქვეყნისათვის.  
არა, არ ვყოფილვარ იგი, ვინც ვიყავი,  
მაგრამ როცა ხიდან ღრუბელი ვარდებოდა,  
მე ვეძებდი მინას, რომ ზედ დავყრდნობოდი,  
ქვეყანას ქვეყნისათვის.  
არა, არ ვყოფილვარ იგი, ვინც ვიყავი,  
მაგრამ მუდამ, როცა კი დავკარგე ვარსკვლავი,  
დაიკარგა გზაც ვარსკვლავებისაკენ.  
და ჩავიკარგე ჩემს თავში, მაგრამ სად არიან ისინი,  
ვინც იყვნენ ჩემთან ერთად? სად არის  
სასონარკვეთილების აფეთქება ორ სხეულში?  
სად არიან წინასწარმეტყველნი?

ო, ხეო, გახში, ჩამოხში ჩემში.  
რათა გამოვსახო ჩემი სული ჩემივე აღვირიდან,  
ო, ხეო, გადატყედი,  
რათა დაგინახო ჩემივე ნაკვალევი, ჩემს გაყოლებასზე,  
ჩემში. ო, ხეო, აფეთქდი!  
რათა ჩემში გამოვხსნა სარკმელი სარკმელისთვის  
და აფეთქდე.  
ჩემი თავისუფლება — ჩემი ენა.  
მშვიდობა მათ, ვინც მე მჭმუნვარედ მიყვარდა,  
მშვიდობა მათ, რომელთაც ანათებს ჩემი ჭრილობა,  
მშვიდობა ჰაერს და  
სიყვარულს მშვიდობა!

**მხოლოდ და მხოლოდ კიდევ ერთი წელიწადს**

ჩემო მეგობრებო, ვინ დამრჩა თქვენგან ისეთი,  
რომელიც საკმარისი იქნება იმისათვის,  
რათა ვიცოცხლო კიდევ ერთ წელიწადს.  
მხოლოდ და მხოლოდ კიდევ ერთ წელს,  
წელიწადს, რომელიც მეყოფა იმისათვის,  
რომ შევიყვარო კიდევ ოცი ქალი და ოცდაათი ქალაქი;  
ერთი წელი, რომელიც მეყოფა,  
რათა ფიქრს სოსნის სხეული ვუნყალობო,  
და რათა ვიცხოვრო რომელიმე მინაზე  
ვინმე გოგონასთან  
და ერთად წავიდეთ რომელიმე ზღვისკენ  
და გოგონამ მხრებიდან მომცეს  
ყველა ადგილის გასაღები.

ერთი წელი მეყოფა, რომ  
მთელი ჩემი სიცოცხლე ვიცოცხლო  
ერთ ჯერად,  
ერთ კოცნად,  
ან ერთადერთ გასროლად,  
რომელიც ბოლოს მოუღებს ჩემს შეკითხვებს  
ანდა დროთა აღრევაზე ფეხის დაცურებას.  
ჩემო მეგობრებო,  
ნუ დაიხოცებით ისე, როგორც აქამდე კვდებოდით.  
გთხოვთ, ნუ მოკვდებით,  
დამელოდეთ კიდევ ერთ წელიწადს.

წელიწადს.  
მხოლოდ ერთ წელიწადს.  
მგონი, დავასრულებთ საუბარს, რაც დაიწყო,  
მოგზაურობას, რაც დაიწყო  
და მგონი, გადავცვლით ფიქრებს ქუჩაში სიარულზე.  
დროისა და დროშებისაგან  
აზატქმნილნი.  
ვინმეს ვულაღატეთ,  
რომ ყველა ბელურისათვის ქვეყანა დაგვერქმია,  
და ყველა მიწისათვის, ჭრილობის გარეთ,  
ნაღები დაგვეძახა

და შეგვმინებოდა ზრიალისა,  
თითქოსდა, ვიცავდით ენას  
იმ ფორმისაგან, რომელიც არ გვიგულისხმია.  
და საგალობლისაგან, რომელიც არ ადგვივლენია  
მღვდელმთავრებისათვის.  
ჩემო მეგობრებო, ჩემო მოწმენო,  
მდგარნო ჩემი სარცელის თავთან  
და იმ გოგოს ბარძაყებზე,  
რომლისთვისაც ჯერ გემო არ გამისინჯავს  
და ჩემი ლოცვები მისი წვივებიდან  
ჟასმინის უფლისათვის არ აღმივლენია.  
ცოტა ხანს ნადით ჩემგან.  
ჩვენ გვაქვს უფლება ყლუპებზე შევსვათ ყავა  
შაქრით და არა — სისხლით  
და რომ გავიგონოთ ხმები ჩვენი ხელებისა,  
როცა ისინი თანდათანობით ექაჩებიან  
მოქვითინე მწყრებს

ჩვენსკენ და არა — ციხეთა დაცემისკენ.  
და ჩვენ გვაქვს უფლება, რომ  
დავითვალთ ძარღვები, რომლებიც დულს  
ქრონიკული ვნების ქართ  
და ჩვენ გვაქვს უფლება, რომ  
მადლობა გადავუხადოთ ამ მოყვავილე ღინლს  
რძიან მუცელზე  
და რომ დავამსხვრიოთ მორწმუნე სიმღერების რიტმი.  
ჩემო მეგობრებო, ჩემო მოწმეებო,  
ნუ დაიხოცებით მანამ, სანამ  
არ მოუბოდიშებთ ყვავილს,  
აქამდე რომ თვალი არ მოგიკრავთ.  
ქვეყნებს, ჯერ რომ არ გინახავთ  
და სანამ არ მოგიბოდიშებთ ვნებისათვის,  
რაც არ განგიცდიათ

და ქალებისათვის, რომელთაც  
ყელზე არ ჩამოუკიდებიათ თქვენთვის  
ზღვის ხატი  
და სვინრინების მინარეთისა.  
ნუ დაიხოცებით მანამ, სანამ არ იკითხავთ იმას,  
რასაც არ კითხულობს მინაზე დარჩენილი:  
რატომ ჰგავს დედამინა კომპს  
და რატომ ჰგავს ქალი იმას, რასაც არა ჰგავს დედამინა  
და არა — ორი შეყვარებულის მონატრებას და  
მიხაკთა მდინარეს

და რატომ შემიცნეს,  
როცა მოვკვდი სრულად... შემიცნეს  
და რად უარმყვეს, მაშინ,  
როცა მოგზაურობიდან ცოცხალი მოვბრუნდი?  
ო, ღმერთო, ჩემმა გვამმა მათ ჩემზე მიუთითა,  
მათ კი ის დამიბრუნეს და  
თავიანთ შორის ჩაიშენეს, როგორც საკვამური.  
ჩემო მეგობრებო, ჩემო მოწმეებო,  
იფიქრეთ ცოტა ჩემზე  
და ცოტა შემიყვარეთ  
და ნუ დაიხოცებით ისე, ვით კვდებოდით.  
გთხოვთ: არ დაიხოცოთ!

დამელოდეთ კიდევ ერთი წელი,  
წელი,  
მხოლოდ წელიწადი.  
ნუ მოკვდებით ახლა, ნუ გახვალთ ჩემგან,  
შემიყვარეთ, რომ დავლიო ეს თასი,  
რათა გავიგო, რომ თეთრი ტალღა არ არის ქალი  
ან კუნძული.  
რას ვიზამ თქვენს შემდეგ?  
რას ვიზამ უკანასკნელ ცხედართა შემდგომად?  
და რატომ ვეტრფი მინას,  
რომელიც თქვენ გიპარავთ ჩემგან  
და გმალავთ თქვენ ზღვისაგან?  
რატომ ვეტრფე ზღვას,  
რომელიც გადაეფარა მლოცველთ  
და მინარეთზე...  
და ვისთვისაა გავლიო საღამო შაბათისა,  
ვინდა გააღებს ჩემს გულს კატებისთვის  
და ვიღასთვის ვაქო მთვარე,  
ხმელთაშუა ზღვის თავზე რომ მჟავდება?  
ვიღას მივუტანო გამვლელი,  
მაცდური ქალების რამეები  
და ვის დავუტოვო ეს ყოველდღიური ფორიაქი?

რა აზრი აქვს სიცოცხლეს,  
მაშინ, როცა მეყრდნობა ჩემი ჩრდილი  
ჩემი ჩრდილის კედელზე, როცა თქვენ გადინართ.  
ვინლა წამიყვანს მე საკუთარ სულთან  
და ვინ დაიყოლიებს მას, რომ დარჩეს ჩემთან?  
არ მოკვდეთ! არ მოკვდეთ! ისე,

როგორც იხოცებოდით! — თხოვნაა:  
ნუ გამითრევთ მე ვაშლიდან — მდედრიდან  
ელეგიათა მოგზაურობისა  
და ლტოლვით გაჯერებულ  
გადალახვათა ცერემონიებისკენ.  
გული იმისთვის კი არ მაქვს,  
რომ გადმოგიგდოთ, როგორც მისალმება,  
სხეული იმისთვის კი არ მაქვს,  
რომ ახალ კუბოდ შევკრა და დაგიტოვოთ.  
ხმა იმისთვის კი არ მაქვს, რომ  
ჩახმახის წვერზე შემართული ეს ქუჩა გადავკვეთო.  
დამინდეთ, მეგობრებო!  
და დაინდეთ მხიარულ მოძახილთა დედა,  
რომელიც სხვა სამხიარულო მოძახილს დაეძებს  
ერთი ნამსხვრევიდან სარკეების დაბადებისათვის.  
და დაინდეთ კედლები, როცა მათ ბალახი ენატრებათ.  
და მწერლები აღსასრულთა კარში.  
დაინდეთ ხალხი, რომელსაც დავპირდით, რომ მათში  
ვარდს შემოვიყვანდით მწარე ფერფლის კარიდან.  
ნუ გახვალთ ახლა ისე,

როგორც გადის პოეტი მჩიბავის კეპიდან.  
ვინლა მოკრეფს ყვავილებს მონამეთათვის?  
დამელოდეთ და დამინდეთ, მეგობრებო!  
ჩვენ სხვა საქმეცა გვაქვს,  
გარდა საფლავისა და ელეგიის ჩხრეკისა,  
რომელიც პირველს არ ჰგავს.  
რა პატარაა ეს ყვავილი!  
და რა დიდია ეს სისხლი!  
და რა ლამაზები ხართ, ჩემო მეგობრებო,  
როცა დედამინას იპყრობთ შესაქმის სასნაულით.  
ანდა პოულობთ წყაროებს  
შესაძლებელ ზედაპირთა კლდეში.

ჩემო მეგობრებო, ვინ დარჩება თქვენგან,  
რომ მეყოს, რათა ვიცოცხლო ერთ წელიწადს.  
მხოლოდ და მხოლოდ კიდევ ერთ წელიწადს.  
წელიწადს, რომელიც გვეყოფა, რომ ვიართო ერთად,  
მდინარე ბოშევივით მხრებზე წამოვისხათ  
და ერთად დავანგრიოთ მარადიული ტაძარი,  
ქვა ქვაზე...  
და დავაბრუნოთ სული ემიგრაციიდან,  
როცა ერთად ვივლით  
და როცა მცირე გაფიცვას მოვუწყობთ  
სურათთა მსახურებას.  
და თუკი ახლა თქვენ ჩემგან ნახვალთ,  
ჩემო მეგობრებო,

და თუკი ნახვედით  
და თავისქალის ბურუსში დასახლდით,  
აღარ დაგიძახებთ და არ გიგლოვთ ხმამაღლა  
და ერთ სიტყვასაც არ დავნერ თქვენ შესახებ.  
მე ახლა არ ძალმიძს, ვინმე ხმით დავიტირო.  
ქვეყანა სხეულში ან სხეული გასროლაში  
ან მუშა გამაერთიანებელი სიკვდილის ქარხანაში.  
არავინ,  
არავინ...  
მაგრამ ამ სიმღერამ  
დაახმო ცრემლი ყველა თქვენგანზე,  
გამცემო მეგობრებო,

თქვენთვის მზამზარეულ ხმით ნატირალად.  
ამიტომ:  
არ მოკვდეთ, მეგობრებო!  
ახლა ნუ მოკვდებით.  
არცერთი ვარდი არ არის სისხლზე ძვირი ამ მინდორში.  
თქვენი დრო არ არის.  
ნუ დაიხოცებით ისე, ვით კვდებოდით,  
გთხოვთ, არ დაიხოცოთ!  
დამაცადეთ კიდევ ერთ წელიწადს,  
ერთი წელიწადი.  
ვინც დარჩება თქვენგან, ის მეყოფა,  
რომ ვიცოცხლო ერთ წელიწადს.

მხოლოდ და მხოლოდ კიდევ ერთ წელიწადს,  
წელიწადს, რომელიც მეყოფა, რომ  
ოცი ქალი კიდევ შევიყვარო.  
და ოცდაათი ქალაქი;  
წელიწადი, რომელიც მეყოფა,  
რომ ჩემს მწუხარე დედას შევუარო  
და დაეუძახო:  
დამბადე ხელახლა,  
რათა ვნახო ვარდი თავის დასაწყისში  
და რათა სიყვარული ხელახლა შევიყვარო  
საგალობლის ბოლომდე.  
მხოლოდ და მხოლოდ კიდევ ერთი წელი.  
წელი, რომელიც მეყოფა,  
რომ მთელი ჩემი ცხოვრება ვიცხოვრო.

ერთ ჯერად,  
ერთ კოცნად,  
ან ერთ გასროლად,  
რომელიც ბოლოს მოუღებს ჩემს შეკითხვებს.  
მხოლოდ და მხოლოდ კიდევ ერთი წელი...  
კიდევ ერთი წელი...  
წელიწადი...



ინგლისელი ნილ გეიმანის შემოქმედებამ დროთა განმავლობაში ხელოვნების თითქმის ყველა ჟანრს მოიცვა. რომანების გარდა, იგი მუშაობს კომიქსებსა და ფილმებზე, წერს პიესებსა და ესსეებს.

რა თქმა უნდა, წარმატებული კარიერის განმავლობაში არაერთი საპატიო ჯილდო დაიმსახურა და კრიტიკოსები მას დღემდე უდიდეს პატივს სცემენ.

გეიმანი თავის ფიქრებს, გრძნობებსა და ცხოვრების თავგადასავლებს პატარა ბლოკნოტში იწერს, შემდეგ კი — მათ უფრო გრძელ, ჩამოყალიბებულ სახეს აძლევს. ალბათ სწორედ მისი გულწრფელი, ჭკვიანური და წარმოსახვით სავსე წერის სტილია ის ჯადოსნური თვისება, რომლითაც მწერალი ყოველწლიურად მილიონობით მკითხველს ამახსოვრებს თავს და დიდ კვალს ტოვებს ხელოვნების ყველა სფეროში.

მთარგმნელი

ნილ გეიმანი

# საიდან ჩნდება შენი იდეები?

მეცამეტე პროფესიას თავისი სირთულე ახლავს. მაგალითად, ექიმებს სულ უფასო სამედიცინო რჩევებს ეკითხებიან, ადვოკატებს იურიდიულ ინფორმაციას სთხოვენ, დამკრძალავი ბიუროს მუშაკონტაქტებს ეუბნებიან, ალბათ რა საინტერესო პროფესია გაქვთო და შემდეგ თემას ცვლიან ხოლმე. მწერლებს კი გვეკითხებიან, თუ საიდან ჩნდება ჩვენი იდეები.

თავიდან ხალხს სწრაფად და სერიოზულად ვპასუხობდი ხოლმე: ყოველთვიური იდეების კლუბიდან, ან ბოგნორ-რიჯისის პატარა იდეების მალაზიიდან ან იდეების მტკრიანი ნიგნიდან, რომელიც ჩემს სარდაფში იმალებოდა, ან თუნდაც პიტ ატიკის-ისგან-მეთქი (ეს უკანასკნელი ცოტა უცნაურია და შეიძლება ახსნა დასჭირდეს. პიტ ატიკისი ჩემი მეგობარი, სცენარისტი და ნოველისტია. დიდი ხნის წინ გადავწყვიტეთ: როცა ამ კითხვას დაგვისვამდნენ, მე ვიტყვოდი, რომ იდეებს მისგან ვიღებ, ის კი იტყვოდა, რომ ჩემგან). იმ დროს ეს ჭკვიანურად გვეჩვენებოდა.

შემდეგ ძალიან სერიოზულმა პასუხებმა დამალა და ახლა ხალხს უკვე სიმართლეს ვუზიარებ:

— ვიგონებ, — ვამბობ ხოლმე, — ჩემს თავში.

ხალხს ეს პასუხი არ მოსწონს. არ ვიცი, რატომ. სევედიანებს ჰგვანან, თითქოს მათგან თავის დაღწევას ვცდილობდე. თითქოს, პასუხი უზარმაზარი საიდუმლოა და გარკვეული მიზეზების გამო არ ვუმხელ.

რა თქმა უნდა, არც ვუმხელ. უპირველესად, მე თვითონაც არ ვიცი, საიდან ჩნდება იდეები, ან რატომ, ან შენსთვის თუ არა ისინი ერთ დღეს გამოჩენას. მეორეც, ეჭვი მეპარება, ამ კითხვის დამსმელებს მართლა უნდოდეთ სამსაათიანი ლექციის მოსმენა წერის პროცესის შესახებ. შესამეც, იდეა ისეთი მნიშვნელოვანი არც არის. მართლა არ არის. ყველას აქვს ნიგნის, ფილმის, ამბის ან სერიალის იდეა.

ყველა მწერალს, რომლის ნიგნიც გამოცემულია, ჰქონია ასეთი შემოთავაზება: მოდის შენთან ადამიანი და გეუბნება, რომ იდეა აქვს. და ღმერთო, გასაოცარი იდეა! იმდენად გასაოცარი, რომ აუცილებლად უნდა გაგიზიაროს. ეს ამბები სულ ერთნაირია — იდეას გიზიარებენ (ეს რთული ნაწილია) შენ წერ და ნაწარმოებად აქცევ (ეს მარტივი ნაწილია). ბოლოს კი, თქვენ ორი შემოსავალს იყოფთ.

ასეთ ადამიანებს საკმაოდ გულისხმიერად ვექვეყნებ ხოლმე. ვეუბნები, რომ ჩემივე იდეებიც საკმარისზე ბევრი მაქვს, დრო კი — ზედმეტად ცოტა, და დიდ წარმატებას ვუსურვებ.

იდეები რთული ნაწილი არ არის. ისინი მთლიანი საქმის მცირე კომპონენტია. დამაჯერებელი პერსონაჟების შეთხზვა, რომლებიც იმას უნდა აკეთებდნენ, რასაც შენ ეუბნები, უფრო რთულია. და ყველაზე რთული კი წერისთვის დაჯდომის პროცესია, რომლის დროსაც ერთი სიტყვა მეორეს უნდა მიაყოლო და როგორმე ის ააშენო, რაც გინდა. ეს საინტერესოც უნდა იყოს და ახალიც.

მაგრამ ხალხს მაინც ამ კითხვის პასუხი აინტერესებს. ჩემს შემთხვევაში, დამატებით ისიც აინტერესებთ, იდეები სიზმრებში თუ მაფიქრდება (პასუხი: არა. სიზმრის ლოგიკა ნაწარმოების ლოგიკას არ შეესაბამება. ჩაინერეთ თქვენი სიზმრები და ამასი თავად დარწმუნდებით. ან, მოუყევით ვინმეს თქვენი მნიშვნელოვანი სიზმარი: „რალა ცახლში ვიყავი, რომელიც ამასთანავე ჩემი ძველი სკოლაც იყო. იქ ვილაცქვითანი დამხვდა, რომელიც ამასთანავე ძალიან ბებერი ჯადოქარიც იყო. შემდეგ ეს ქალი გაქრა და რალაც ფოთოლი დაინახე, რომელსაც ვერ ვუყურებდი, მაგრამ ვიცოდი, რომ თუ შევხვდებოდი, რალაც ცუდი მოხდებოდა“... დააკვირდით, ან სიზმრის მოყოლის შემდეგ რა ცარიელი თვალებით შემოგხევენ).

ადრე პირდაპირ არავის ვპასუხობდი. ეს ახლაა შევცვალე.

ჩემმა შვილმა, ჰოლიმ, რომელიც შვიდი წლისაა, მთხოვა, ამის კლასთან მესაუბრა. მასწავლებელი ამით ძალიან ბედნიერი იყო: — ბავშვები ბოლო დროს სულ თავიანთ ნიგნებს წერენ, იქნებ შეძლოთ და პროფესიონალურ მწერლობაზე ესაუბროთ. იქნებ ბევრი ამბავიც მოუყევთ. ამბები უყვართ.

ჰოდა, წავედი. ბავშვები იატაკზე ისხდნენ, მე — სკამზე და ორმოცდაათი შვიდი წლის ბავშვის თვალი მიყურებდა.

— როცა თქვენხელა ვიყავი, მეუბნებოდნენ, რომ რალაცები არ მომეგონებინა, — ვუთხარი მე, — ახლა კი ამისთვის ფულს მიხდიან.

ოცი წუთის განმავლობაში ვისაუბრე. შემდეგ კითხვები დამისვეს. ბოლოს ერთ-ერთმა მკითხა:


— საიდან ჩნდება თქვენი იდეები?

მივხვდი, რომ ვალდებული ვიყავი, მეპასუხა. ბავშვები ამ კითხვის არდასასმელად საკმარისად დიდები არ იყვნენ. თანაც ეს გონივრული კითხვაა, თუ მას ყოველ კვირა არ გისვამენ. მე ვუთხარი:

— იდეები ოცნებისას ჩნდება. იდეები მოწყენილობისას ჩნდება. იდეები ნამდაუნუმ ჩნდება. ერთადერთი განსხვავება მწერლებსა და სხვა ადამიანებს შორის ის არის, რომ ჩვენ, მწერლები, იდეებს ვამჩნევთ.

იდეები მაშინ მოდის, როცა თქვენს თავებს მარტივ კითხვებს უსვამთ. ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვაა: რა იქნებოდა?..

(რა იქნებოდა, ფრთებით რომ გაგელვიდა? რა იქნებოდა, შენი და თავგად რომ გადაქცეულიყო? რა იქნებოდა, რომ გაგეგო,



თქვენი მასწავლებელი სემესტრის ბოლოს რომელიმე თქვენგანის შექმას აპირებდა, მაგრამ არ იცოდი, რომლის?)

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კითხვაა „ნეტავ“...

(ნეტავ, როგორი იქნებოდა ცხოვრება, ჰოლივუდის მიუზიკლში რომ გვეცხოვრა. ნეტავ, როგორი იქნებოდა, ლილივით პატარა რომ გავმხდარიყავი. ნეტავ, მოჩვენებას ჩემი სამინაო დავალების გაკეთება შეეძლოს)...

და შემდეგ სხვა კითხვებიცაა: „მინტერესებს“... (მინტერესებს, რას აკეთებს ხოლმე, მარტო როცაა)? და „თუ ეს ამბავი გაგრძელდება“... (თუ ეს ამბავი გაგრძელდება, ტელეფონები თავად დაიწყებენ ერთმანეთთან ლაპარაკს და ადამიანებს მოიშორებენ) და „არ იქნებოდა საინტერესო“... (არ იქნებოდა საინტერესო, მსოფლიოს მმართველები ადრე კატები რომ ყოფილიყვნენ)?

ეს და მსგავსი კითხვები და კითხვები, რომლებიც ამ კითხვებს პასუხად მოსდევს („კი მაგრამ, თუ ადრე კატები მსოფლიოს მმართველები იყვნენ, ახლა რატომ აღარ არიან? და რას ფიქრობენ ამის შესახებ?“) კიდევ ერთი ადგილია, საიდანაც იდეები ჩნდება.

საჭირო არ არის, რომ იდეა გამოგონილი ისტორია იყოს. უბრალოდ, ამბის ნამონწყების საშუალება უნდა გქონდეს. ხშირად, ამბავი თავის თავს მაშინ ქმნის, როცა მწერალი საკუთარ თავს ეკითხება, სად იწყება ეს ამბავი.

ზოგჯერ, იდეა ადამიანი („ბიჭი, რომელსაც მაგია აინტერესებს“). ზოგჯერ — ადგილი („დროის დასასრულში კომპია, ამ კომპიის გარდა კი არაფერი არსებობს“). ზოგჯერ — სურათი (ბნელ ოთახში ქალი ზის, მის გარშემო კი ცარიელი სახეები).

ხშირად იდეა იმ ორი რალაცისგან მოდის, რომლებიც აქამდე ერთად ვერავის წარმოუდგინა („თუ ადამიანი, რომელსაც მაქცია უკბინა, მგლად გადაიქცევა, რა მოხდება, მაქცია ოქროს თევზს რომ უკბინოს? რა მოხდება, მაქცია მსკამს რომ უკბინოს)?

ყველანაირი პროზა ოცნების პროცესია. რასაც არ უნდა წერდე, ნებისმიერ ჟანრსა ან სტილში, შენი მოვალეობაა, ყველაფერი დამაჯერებელი, საინტერესო და ახალი იყოს.

და როცა იდეა გებადება, რომელიც, უკვე შევთანხმდით, რომ ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ დასასწავლისთვის გჭირდება, შემდეგ რა ხდება?

შემდეგ წერას იწყებ. ერთ სიტყვას მეორე

რეს აბამ მანამ, სანამ ამ რალაცას არ დამთავრებ.

ზოგჯერ ეს შეიძლება არ გამოვიდეს, ან შეიძლება ისეთი არ გამოვიდეს, როგორც წარმოგედგინა. ზოგჯერ საერთოდ არ გამოდის ხოლმე. ზოგჯერ ყველაფერი უნდა გადაყარო და თავიდან დაიწყო.

მახსოვს, რამდენიმე წლის წინ „სენდმენისთვის“ იდეალური ამბავი მომიფიქრდა. ქალ დემონზე იყო, რომელიც მწერლებს, მხატვრებსა და კომპოზიტორებს იდეებს მათი სიცოცხლის ფასად აძლევდა. ამბავს „სექსი და იები“ დავარქვი.

მეგონა, რომ მარტივი ამბავი იყო და მხოლოდ წერის დაწყებისას აღმოვაჩინე, რომ მისი დაწერა წვრილი ქვიშის შეკავების მცდელობას ჰგავდა: რამდენჯერაც მეგონა, რომ გამოვივიდა, იმდენჯერ თითებს შორის მიცურავდა და ქრებოდა.

მაშინ დავწერე: ამ ამბის წერა უკვე ორჯერ დავიწყე და ორივეჯერ მუშავედ მივიღე მხოლოდ იმისთვის, რომ შემდეგ ეკრანზე მისი სიკვდილი დამენახა.

„სენდმენი“, ხშირად, საშინელებათა ჟანრის კომიქსია. მაგრამ აქამდე არაფერი დამინერია, რაც ისე მომიშლიდა ნერვებს, როგორც ეს ამბავი, რომლის მიტოვებაც მომიწევს („დედლიანი“ უკვე წარსულს ჩაბარდა). ალბათ იმიტომ, რომ ძალიან ნაცნობი ამბავია.

ჩემი იდეები და მათი ფურცელზე გადტანისა და ისტორიებად ქცევის პროცესი მწერალს მხდის. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ დღით ადგომად ჩემთვის უცნობ ხალხთან ერთად მეტროთი მგზავრობა არ მინებს იმ სამსახურში წასასვლელად, რომელიც მძულს.

ჩემთვის ჯოჯოხეთი ცარიელი ფურცელია. ან ცარიელი ეკრანი. და მე, რომელიც მას ვაშტერებდი, სათქმელს ვერ ვპოულობ, ვერც ისეთ პერსონაჟს ვიგონებ, ხალხს რომ მოეწონოს, ვერც ისეთ ამბავს, რომელიც აქამდე არავის მოუყოლია.

ცარიელ ფურცელზე მიშტერება — სამუდამოდ.

მაგრამ ამას თავი წერით ვაპირებ. სასწრაფო კითხვა კითხვაზე: „საიდან ჩნდება შენი იდეები“ — „სასწრაფო კითხვა“... „მოწყენილობასა“ და „დედლიანთან“ ერთად მაქვს მომზადებული. ყველა ეს პასუხი ზოგჯერ სიმართლეა. ჩემივე ტერორი და მთავარი იდეა შევკრიბე და შევქმენი ამბავი სახელად „კალიოპე“, რომელიც, ჩემი აზრით, ზუსტად აღწერს, თუ საიდან მოდის იდეები. ეს ამბავი ნიგნია, სახელად „Dream Country“. თუ გსურთ, შეგიძლიათ ნაიკითხოთ. და სადაც, ამ ამბის წერის შუაში, ჩემი იდეების გაუჩინარების აღარ მემინოდა.

საიდან ჩნდება ჩემი იდეები? მე მათ ვიგონებ. ჩემს თავში.

თარგმანი

ელისაბედ შირცხალაშვილი